დანართი №3

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის „იმედი“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო რამიშვილი

წევრები:

თინათინ ბურძენიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

(წევრი);

მედეა ზურაბიშვილი- დარგის ექსპერტი (წევრი) - "საფინანსო სერვისები";

ქეთევან ღვანიძე- დარგის ექსპერტი (წევრი) - "აღმზრდელი";

ხათუნა მაისაია - დარგის ექსპერტი (წევრი) - "საექთნო საქმე";

ნანა ვერულაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ფარმაცია (სააფთიაქო)";

ალექსანდრე კეკენაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ინფორმაციის ტექნოლოგია";

თეა ნარეკლიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "შრომის უსაფრთხოებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები".

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☒ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის № MES 7 25 0001615787 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 2,3 და 4 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მრავალპროფიალიან საზოგადოებრივ კოლეჯში „იმედი“(ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, No47-49/ ბოჭორმის No8). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო		პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
„აღმზრდელი“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8
„ინფორმაციის ტექნოლოგია“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8
„ფარმაცია(სააფთიაქო)“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8
„საექთნო საქმე“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8
„საფინანსო სერვისები“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8
„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49/ ბოჭორმის №8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
"აღმზრდელი"	40	40	10	1
"საექთნო საქმე"	60	59	12	1
"ფარმაცია(სააფთიაქო"	144	129	20	0
"საფინანსო სერვისები"	28	30	10	0
"ინფორმაციის ტექნოლოგია"	44	37	18	1

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის „იმედი" საუკეთესო გამოცდილებად მიჩნეულ იქნა, დაწესებულებაში არსებული „საბავშვო სივრცე".

კოლეჯში გააქტიურებულია, მხარდაჭერის მექანიზმი იმ სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, რომლებიც შეფასების პროცესში ან სხვა გადაუდებელ სიტუაციებში ხვდებიან ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ბავშვის დატოვების ალტერნატიული შესაძლებლობა არ აქვთ. ამ მიზნით, შექმნილია დროებითი საბავშვო სივრცე, რომელიც არ წარმოადგენს ყოველდღიური მოვლის დაწესებულებას, არამედ ფუნქციონირებს როგორც დამატებითი სოციალური მხარდაჭერის ინსტრუმენტი განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სივრცე მოეწყო უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის ძირითადი სტანდარტების გათვალისწინებით. მუშაობის პროცესს კოორდინაციას უწევს სპეციალურად დანიშნული საბავშვო სივრცის კოორდინატორი, რომლის პასუხისმგებლობაა გარემოს გამართული ფუნქციონირება, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბავშვების ასაკის შესაბამისი მშვიდი საქმიანობების ორგანიზება და მშობლებთან კომუნიკაცია.
მექანიზმი მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასების პროცესში მონაწილე სტუდენტებისა და თანამშრომლების სტრესს და ზრდის მათი წესების შესაბამისად ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა, ასახავს კოლეჯის დამოკიდებულებას სოციალური პასუხისმგებლობისადმი და უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ხელმისაწვდომობას, რაც თვითშეფასების ჭრილში პოზიტიურად აისახება როგორც მხარდაჭერის, ისე თანასწორი პირობების შექმნის მიმართულებით.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„აღმზრდელი“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„ფარმაცია(სააფთიაქო)“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„საექთნო საქმე“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„საფინანსო სერვისები“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„ინფორმაციის ტექნოლოგია“	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

წარმოების ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

წარმოების ფარგლებში სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 5.2.2.2 - განმავითარებელი რეკომენდაცია:*სასურველია, დაწესებულებამ, დოკუმენტბრუნვის პროცედურები განახორციელოს სრულად ელექტრონულად, რადგან იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემას ,,eflow".*

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

II სტანდარტთან მიმართებით, განმავითარებელი რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი იმედი არის მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და მისი მისიაა: „თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია.“ შესაბამისად, კოლეჯი მუდმივად ცდილობს რომ თანხვედრაში იყოს პროფესიული განათლების მიზნებთან: მათი როლი არის არა მხოლოდ განათლების მიწოდება, არამედ იმ საჭიროებების გაცნობიერება, რომლებიც საყოველთაო შრომის ბაზარზე წარმოიქმნება, აქედან გამომდინარე, კოლეჯის საქმიანობა მიზნად ისახავს, სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, რასაც სხვადასხვა აქტივობების, პრაქტიკების, ტრენინგებისა და კარიერული კონსულტაციების გზით ახორციელებენ, ორიენტირებულნი არიან შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, არამარტო თეორიული ცოდნის გაღრმავების, არამედ შესაბამისი პრაქტიკული უნარების, გამომუშავების გზით. მისია ლაკონურია, ნათლადაა ჩამოყალიბებული და გასაგებია პერსონალისა და სამიზნე ჯგუფებისთვის, რასაც ადასტურებს პერსონალთან გასაუბრების და პსდ-ს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიც.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.1.1.1 პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს; - დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია - პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის მისიით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებები ნათლად გამოხატავს დაწესებულების პროფილს, მის მახასიათებლებს და იმ როლს, რომელსაც იგი ასრულებს პროფესიული განათლების სისტემაში. კოლეჯი მუშაობს პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა უზრუნველყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება. საქმიანობის ყველა მიმართულება ორიენტირებულია განვითარებაზე, ინოვაციებსა და ისეთი საგანმანათლებლო პროცესის შექმნაზე, რომელიც ზრდის მათი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობასა და დასაქმების შესაძლებლობებს.

   მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანასწორობის პრინციპს: კოლეჯი განსაკუთრებულად ზრუნავს, რომ თითოეულმა სტუდენტმა/მსმენელმა მიიღოს თანაბარი საგანმანათლებლო მომსახურება. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი პირების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ინტერესები და მათი სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში. კოლეჯი მუდმივად ეფუძნება სახელმწიფოს მიერ დადგენილ პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების სწრაფ განვითარებასთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას, რადგან ეს თანამშრომლობა აძლიერებს შრომის ბაზარზე სტუდენტების ინტეგრაციის პროცესს. საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის კავშირში განვითარება კოლეჯი აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებთან ინტეგრაციას. ამ მიზნით რეგულარულად იკვლევს დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და კმაყოფილების დონეს, რათა პროგრამები მაქსიმალურად მოერგოს რეალურ მოთხოვნებს და სტუდენტები მზად იყვნენ პროფესიული საქმიანობის დასაწყებად. დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფს სწორი პროგრამების დაგეგმვას, სწავლის პროცესში პრაქტიკული გამოცდილების ჩართვას და სტუდენტების რეალურ სამუშაო გარემოში აქტიურ მონაწილეობას. ზემოთთქმულიდან გამომდინარე კოლეჯის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს პროფესიული განათლების სახელმწიფო მიზნებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს ქვეყნის განათლების სისტემის მიზნების განხორციელებას და უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას. კოლეჯის კოორდინირებული ძალისხმევა მიმართულია სტუდენტთა კონკურენტუნარიანობისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ, რაც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით იპოვონ საკუთარი ადგილი სამუშაო ბაზარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება **ინდიკატორი 1.1.1.2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან; - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის ხედვაა: კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით იყოს 2026- 2027 წლისთვის ერთ-ერთი წამყვანი მრავალპროფილიანი კოლეჯი. უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება. კოლეჯის ღირებულებები: კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება. კოლეჯის ხედვა ეფუძნება ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს, და სწორედ ამიტომ კოლეჯი ორიენტირებულია, სტუდენტებს მიაწოდოს სწავლის მაღალი ხარისხი, რომელიც დაეხმარება მათ გახდნენ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრები, რაც გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

კოლეჯის ღირებულებებია: 1.სამართლიანობა და ჰუმანიზმი: კოლეჯი ყველას სთავაზობს სამართლიან, ხელმისაწვდომ გარემოს, სადაც სტუდენტებს/მსმენელებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა და შესაძლებლობებისა, აქვს თანაბარ პირობებში სწავლის შესაძლებლობა; 2. კონკურენტუნარიანობა: კოლეჯი პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების გზით, ზრუნავს, რომ სტუდენტები/კურსდამთავრებულები იყვნენ მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალები; 3. ხელმისაწვდომობა: კოლეჯი მიმართულია იმაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლება იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის. მათთვის პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების გარდა, მნიშვნელოვანია, მათი პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ და ინკლუზიური გარემოს შექმნა, რაც ყველა დაინტერესებულ პირს მისცემს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას.; 4.ინოვაცია: კოლეჯი ეცდება, რომ ყოველ მომდევნო სასწავლო პროცესში სვადასხვანაირი ინოვაციები და პრაქტიკები დანერგოს, რათა განათლების ხარისხი განისაზღვროს არა მხოლოდ თეორიით, არამედ რეალურ და პრაქტიკულ საჭიროებებზე; 5.პარტნიორობა და თანამშრომლობა: კოლეჯი განსაკუთრებით დიდი ყურადღებას უთმობს ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობას და სტუდენტების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა წარმოადგენს, განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ხედვა და ღირებულებები მუდმივად ერგება და იცვლება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.1.1.3.-ის - დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯი აქტიურად ზრუნავს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებასა და მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე. დაწესებულების ძირითადი მიზანია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტები/მსმენელები, მასწავლებლები, თანამშრომლები, შრომის ბაზრის წარმომადგენლები და საზოგადოება, კარგად იცნობდნენ კოლეჯის მისიასა და ხედვას, სწორად შეაფასონ მათი ღირებულებების შესაბამისობა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებთან და მიზნებთან.

   მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ფოიეში, ცენტრალურ ადგილას და მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომობას. კოლეჯი რეგულარულად ატარებს შეხვედრებსა და პრეზენტაციებს, სადაც სტუდენტები/მსმენელები, თანამშრომლები, პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები განიხილავენ მისიისა და ხედვის შესაბამისობას მათ საჭიროებებთან. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს ღირებული მენეჯმენტის სისტემების დანერგვას. კოლეჯი ცდილობს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიღება და გაზიარება იყოს არა მხოლოდ ერთჯერადი პროცესი, არამედ მუდმივი კომუნიკაციის ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. მათი მიზანია, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა როგორც კოლეჯის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში, ისე მათ განხორციელებაში.

   წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებებისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, **ინდიკატორი 1.1.1.4. პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულების მისია,ხედვა, ღირებულებები;
2. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი 2020-2027წწ;
3. ერთწლიანი (2025-26 წწ) სამოქმედო გეგმა;
4. დაწესებულებუს ვებგვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მტკიცებულებები;
6.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება;
7.გასაუბრების შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან,

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯს „იმედი“, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს “სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია”, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და სრულად შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს. სტრატეგიული გეგმა ციკლური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ იგი შეიმუშავებულია შვიდწლიანი პერიოდისათვის და შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა იქნება. დასაბუთებული აუცილებლობა შეიძლება იყოს კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნული სტრატეგიების მიღება ან დაწესებულების მენეჯმენტის ცვლილება, რაც ხელს უწყობს გეგმის გამართლებულობის შენარჩუნებას და სხვა.

შემუშავება-სტრატეგიული გეგმის ამოცანების მიღწევის პერიოდი განისაზღვრება 7 წლიანი ვადით; სტრატეგიული გეგმის მე-7 წელს იწყება ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი, წინამდებარე მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგაგმვის ციკლის უწყვეტობას.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპებია: ა) სამუშაო ჯგუფის ფორმირება; ბ) გეგმ(ებ)ის პროექტის შემუშავება; გ) გეგმ(ებ)ის პროექტის განხილვა/გაზიარება, უკუკავშირის მიღება; დ) გეგმ(ებ)ის დამტკიცება; ე) გეგმ(ებ)ის განხორციელებაში ჩართული პირების ინფორმირება/გეგემების გაზიარება;

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის თაობაზე ანგარიშგება ხორციელდება წელიწადში ორჯერ(შუალედური ზეპირსიტყვიერი და საბოლოო წერილობითი). სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი ხდება შუალდეური და დასკვნითი ანგარიშის სახით, თუმცა წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშიც შეიძლება იყოს განხილული, როგორც სტრატეგიული გეგმის შუალედული ანგარიში.

შესაძლო ცვლილებები: სტრატეგიული გეგმის ცვლილებები ხდება განსაზღვრული პროცედურების მიხედვით, მეთოდოლოგიის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

გაზიარება: სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები სრულად განსაზღვრულია. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართულობას და ინფორმირებულობას. კოლეჯის სტრატეგიული განვითრების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მონიტორინგი: მონიტორინგის პროცედურა ასახავს ინტენსივობას და კონკრეტული მეთოდების გამოყენებას. მონიტორინგი ხდება როგორც ყოველწლიურად, ისე სხვა პერიოდულობით, რათა მუდმივად იყოს შეფასებული სტრატეგიული გეგმის შესრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი მიმდინარეობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მიერ, რაც უზრუნველყოფს პროცესების მართვისა და შესრულების ეფექტურობას.

შეფასება: მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი ხდება დეტალურად და საფუძვლიანად, ხოლო მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. თითოეული პასუხისმგებელი სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრულია, რათა თავიდან იქნას აცილებული პასუხისმგებლობის გადაფარვა და არასწორი გადაწყვეტილებები.

დაინტერესებული მხარეები: თუ სტრატეგიულ გეგმაში განხორციელდება ცვლილებები, დაწესებულება უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას გამჭვირვალე გზებით. ეს პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულება იზრუნებს შედეგების სწორი გააზრებისა და განხორციელების თვალსაზრისით.

პერსონალის სამუშაო აღწერილობები: სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურები, რომლებიც სრულად თანხვედრაშია პერსონალის სამუშაო აღწერილობებსა და სტრუქტურების ფუნქციებთან, რაც გამორიცხავს პასუხისმგებლობის არასწორ განაწილებას.

დამტკიცება: სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, შესაბამისად, ყველა პროცედურა ასახავს სამართლიანობას და გადამოწმებულ პროცესებს.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით, პერსონალთან გასაუბრებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის ოქმები/მასალები, სამოქმედო გეგმის შესრულების საინფორმაციო შეხვედრის დოკუმენტები, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები) დგინდება, რომ დაწესებულება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს დაგეგმვის პროცესებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.1.1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კოლეჯი სრულ შესაბამისობაშია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მოთხოვნებთან, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს მიზნების ფორმულირებას მისია, ხედვა და ღირებულებებთან შესაბამისობას. ყველა მოქმედი პროგრამის განხორციელება ხდება მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის პროფესიული განათლების მასწავლებლების/ პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ. სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებული პროცესის უზრუნველსაყოფად. კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და დამსაქმებლების ჩათვლით ყველა ჩართულია მუდმივი განვითარების პროცესში.

სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებით დგინდება, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართული იყო:დაწესებულების ყველა ფუნდამენტურ პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

პსდ-ს დირექტორის განმარტებით, სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული იქნა დაინტერსებული მხარეების მოლოდინები და დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელდა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების შესაბამისი ღონისძიებები ასახულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.1.2. - სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაეფუძნა SWOT ანალიზს, რომელიც შესრულდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე. ჩატარებულმა SWOT ანალიზმა კოლეჯს საკუთარი შესაძლებლობების და რესურსების შეფასებისა და მათი ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრის საშუალება მისცა, რომლის საფუძველზე 2020-2026 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია კოლეჯის პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა შედგენილია კოლეჯის საქმიანობის სუსტი მხარეების გაუმჯობესების დროში გაწერილი მიზანმიმართული ქმედებებით და ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს, ისე დაინტერესებული მხარეთა მოლოდინებს. ფორმულირება ხდება ისე, რომ მიზნებს შორის არ არსებობს წინააღმდეგობა კოლეჯის დეკლარირებულ პრინციპებთან. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ექვს მიზანს :სტრატეგიული მიზანი 1 - ორგანიზაციული განვითარება; სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა განვითარება; სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება; სტრატეგიული მიზანი 4: პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა; სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები.

კოლეჯი განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებიც ემსახურება მიზნების შესრულებას. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფა(დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება) ადამიანური რესურსების განვითარება; ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება მატერიალური რესურსების განვითარება საბიბლიოთეკო/საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და სხვა. შემდგომ ეს ამოცანები სამოქმედო გეგმაში იშლება კონკრეტულ აქტივობებად.

კოლეჯის სამოქმედო გეგმა შეესაბამება სტრატეგიული გეგმის მიზნებსს. იგი ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, რესურსებს და პასუხისმგებელ პირებს. ყოველ აქტივობას აქვს განსაზღვრული ვადა, ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სწორედ ამ აქტივობების საშუალებით ხდება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების აქტივობების განხორციელება დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. დაწეებულება სრულად აკმაყოფილებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმულირებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სრულად შეესაბამება მისიის, ხედვის და ღირებულებების დეფინიციას, ხოლო თითოეული აქტივობა და მიზანი სწორად განსაზღვრულია, რათა უზრუნველყოს სტანდარტების სრული და ეფექტური შესრულება.

2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც იწყება ყოველი წლის მეცხრე თვიდან და სრულდება მეორე წლის მეცხრე თვეს მოიცავს, მიმდინარე წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, შესაბამისად გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

პერსონალთან გასაუბრებით, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და სამოქმედო გეგმების ანგარიშებით დასტურდება პსდ-ს მიერ სამოქმედო გეგმების შესრულება/საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.1.3-დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

2. სტრატეგიული დაგეგმარების

3. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები და მუშაობის ამსახველი დოკუმენტები;

4. სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების გაზიარების მტკიცებულებები;

5. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი 2020-2027წწ) გეგმა;

6. დაწესებულების ერთწლიანი (2025-26 წწ)სამოქმედო გეგმა;

7. დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ფუნქციონირებს როგორც სტრატეგიული მართვის ორგანული ნაწილი. კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესის მეთვალყურეობას, რათა უზრუნველყოს მათი მიზნობრივი და ეფექტური შესრულება. მონიტორინგის პროცესში ხდება აქტივობების მიმდინარეობის სისტემატური დაკვირვება, დაგეგმილი ვადების, შედეგებისა და გავლენის შეფასება. მიღებული მონაცემები დეტალურად განიხილება და საჭიროების შემთხვევაში მიღებულია გადაწყვეტილებები გეგმების კორექტირების შესახებ. მონიტორინგის მეშვეობით კოლეჯი დროულად აიდენტიფიცირებს გადახრებს დაგეგმილი აქტივობებიდან. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მიმართულება შეფერხდა ან საჭირო გახდა დამატებითი რესურსები, დაწესებულება იღებს სწრაფ და ადეკვატურ ზომებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს, არა მხოლოდ გეგმების დროულ შესრულებას, არამედ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გაზრდას და ინდივიდუალური უკუკავშირის სისტემურ გამოყენებას. შეფასების პროცესი ეფუძნება მონიტორინგის შედეგების ანალიზს და მოიცავს, როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმების შესრულების ხარისხის შეფასებას.ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯი მუდმივად ახდენდეს საკუთარი საქმიანობის ადაპტირებას და ეფექტურ მართვას. მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად — რაც შესაძლებელს ხდის დროული რეაგირების მექანიზმების გამოყენებას. ყოველწლიურად ტარდება კომპლექსური შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია დაწესებულების წლიურ ანგარიშში. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების საჯაროობასა და გამჭვირვალობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებასა და გათვალისწინებას. კოლეჯი რეგულარულად იკვლევს, როგორც სტუდენტების, ისე დამსაქმებლების კმაყოფილებას, რის საფუძველზეც ხდება პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების დახვეწა.

   კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, უზრუნველყოფს დროულ რეაგირებასა და საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესის გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და შედეგების საჯაროობა უზრუნველყოფს სტრატეგიული მართვის მდგრადობას და ხელს უწყობს კოლეჯის ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.2.1. პსდ-ს ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში რეგულარულად მიმდინარეობს, როგორც დაგეგმილი, ისე შესრულებული აქტივობების შედარება, რის შედეგადაც დროულად იკვეთება ნებისმიერი შეუსაბამობა ან შეფერხება. დოკუმენტურად ფიქსირდება ყოველი შემთხვევა, როდესაც აღმოჩენილია, რომ რომელიმე აქტივობა ვერ შესრულდა ან დაგვიანებით შესრულდა. ასეთ შემთხვევაში კოლეჯი იღებს შესაბამის ზომებს: ხდება სამოქმედო გეგმის კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება ვადები. იმ აქტივობების შემთხვევაში, რომლებიც რეალობასთან შეუსაბამო აღმოჩნდა, კოლეჯი ახორციელებს მათ შეცვლას ან ამოღებას. რეაგირების პროცესში მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელი პირების ჩართულობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ თითოეული პასუხისმგებელი სუბიექტი თავისი როლის მიხედვით, პასუხს აგებდეს დაგეგმილი ამოცანების შესრულებაზე. საჭიროებისამებრ, გამოყენებულია, როგორც დისციპლინური ზომები, ისე წახალისების პრაქტიკა. წარმატებით განხორციელებული აქტივობების შემთხვევაში თანამშრომლები დადებითად ფასდებიან და მოტივაციას იღებენ. ყველა ცვლილება და მიღებული რეაგირება დოკუმენტურად აისახება, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და მკაფიო მტკიცებულებებს ქმნის, რომ სამოქმედო გეგმის შესრულება უწყვეტად მიმდინარეობს. კოლეჯის მიერ განხორციელებული რეაგირების პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ დაწესებულება რეალურად ზრუნავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნობრივად შესრულებაზე და მინიმუმამდე ამცირებს მნიშვნელოვან გადახვევებს.

   კოლეჯი ეფექტიანად და დროულად რეაგირებს შეფასების შედეგებზე, უზრუნველყოფს გეგმების მოქნილ კორექტირებას და პროცესების უწყვეტობას. აღნიშნული პრაქტიკა აძლიერებს, როგორც შიდა მართვის სისტემას, ასევე ზრდის დაინტერესებული მხარეების ნდობას და ხელს უწყობს ხარისხის მართვის მუდმივ გაუმჯობესებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.2.2 პსდ-ს სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. - დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ყოველწლიურად კოლეჯი ამზადებს ანგარიშს, რომელშიც ასახულია, როგორც დაგეგმილი აქტივობების შესრულების მდგომარეობა, ისე კონკრეტული შედეგები და მიღწევები. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის, თანამშრომლებისთვის, პარტნიორებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. გარდა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისა, საჭიროების შემთხვევაში ანგარიში გაზიარებულია პარტნიორებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია შიდა საინფორმაციო არხებითაც, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს, პროცესის მონიტორინგი და შედეგებზე დაკვირვება. აღნიშნული პრაქტიკა ხაზს უსვამს, კოლეჯის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს – გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც აძლიერებს ნდობას და ზრდის ინსტიტუციური მართვის ხარისხს.

კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გასაჯაროება უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და ინარჩუნებს დაინტერესებული მხარეების მაღალი დონის ინფორმირებულობას. ეს პრაქტიკა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.2.3 სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია - დაკამყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
3. რეაგირების მტკიცებულებები;
4. დაწესებულების ვებგვერდი;
5. შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც მიზანმიმართულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებათა დაცვას და მათთვის კანონით გათვალისწინებული გარანტიების რეალიზებას. მათ შორისაა: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“, „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“ აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის, შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ფორმალური განათლების აღიარების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და სხვა. აგრეთვე, შიდა და გარე მობილობის წესები. სტუდენტთა უფლება-მოვალეობები ასევე გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესშიც. კოლეჯში მოქმედებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა'', რომელშიც გაწერილია და მკაცრადაა განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების შესრულება დაწესებულების მხრიდან.

გარდა ამისა, კოლეჯის ყველა შიდა ნორმატიული დოკუმენტი მოიცავს ჩანაწერებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სტუდენტებისა და მსმენელების უფლებების დაცვასა და მათთვის უსაფრთხო, სამართლიანი და თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას.

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ასევე შემოწმდა, პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. აღნიშნული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ გაწერილ წესებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი 3.1.1.1 კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებების გაცნობას. ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების, ეთიკის კოდექსის, ბიბლიოთეკის დებულებისა და სხვა შიდა რეგულაციების შესახებ.

სტუდენტებს ასევე ეძლევათ გზამკვლევი, რომელიც მოიცავს დოკუმენტებსა და შესაბამის ბმულებს, რათა მარტივად მიიღონ წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე. ხელშეკრულების გაფორმებამდე ადმინისტრაციის წარმომადგენლები განუმარტავენ სტუდენტებს წესებსა და პირობებს, რაც უზრუნველყოფს მათი სრულ ინფორმირებას, პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და გადაწყვეტილებების მიღებას. არასრულწლოვან სტუდენტებთან აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება ასევე მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც აწერს ხელს ხელშეკრულებაზე.

ხელშეკრულების ხელმოწერით სტუდენტი/მისი კანონიერი წარმომადგენელი ოფიციალურად ადასტურებს, რომ მას დეტალურად გაუზიარეს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი წესები, პროცედურები და ყველა მნიშვნელოვანი პირობები, რომლებიც მის სწავლებასთანაა დაკავშირებული. ამით, სტუდენტი/კანონიერი წარმოამდგენელი აცხადებს, რომ ეთანხმება აღნიშნულ პირობებს და სრულად იღებს პასუხისმგებლობას თავისი სწავლის პროცესზე. სასწავლო წელი კოლეჯში თითოეულ ჯგუფთან გაცნობითი შეხვედრების ორგანიზებით იწყება. გაცნობითი შეხვედრის დროს სტუდენტებს ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავისი კომპეტენციის ფარგლებში აცნობენ, სტუდენტთა უფლებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს, განხორციელების მიდგომებს და სხვა. აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტისთვის ამ პროცესების გაცნობიერებაში და მისთვის საიმედო კონტაქტების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, სტუდენტი დარწმუნებულია, რომ მისი ინტერესები დაცულია და იცის, ვის უნდა მიმართოს ნებისმიერ შემთხვევაში, როცა მას დახმარება ან დამატებითი ინფორმაცია სჭირდება. ასევე პირველ შეხვედრაზე სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას. ამგვარად, კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს არ შეექმნას დაბრკოლებები ან გაუგებრობები მისი უფლებების და საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. ამ პროცესის გამჭვირვალობა და ინფორმირებულობა არის იმის გარანტია, რომ სტუდენტი გააზრებულად და შერჩეულ პირობებში იწყებს სწავლას. არასრულწლოვანის შემთხვევაში ეს ინფორმაცია ასევე მიეწოდება სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, მათთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. ინფორმირებულნი არიან შეფასების პროცედურებისა და გასაჩივრების წესების შესახებ, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების მხრიდან.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას და მათი ინტერესები და რჩევები ყოველთვის გათვალისწინებულია. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს დაკმაყოფილებულია**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლები 49–61) დეტალურად არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია. შეფასების სისტემა ორიენტირებულია კომპეტენციებსა და სასწავლო შედეგებზე, ეფუძნება პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, სამართლებრივი გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების მიმართულებებზე, კრიტერიუმებზე, მინიმალურ მოთხოვნებსა და აპელაციის, გადაბარების შესაძლებლობაზე. სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ, როგორც საინფორმაციო შეხვედრებზე, ისე ყოველი ახალი მოდულის დაწყებისას, ხოლო განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში წერილობითაც.

დაწესებულებაში კვლევების გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და დადებითად აფასებენ შეფასების სისტემას: ისინი მას სამართლიან, გამჭვირვალე და გასაგებ სისტემად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ აპელაციის მექანიზმის გამოყენება პრაქტიკაში არ ყოფილა საჭირო, სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აპელაციის პროცედურის შესახებაც. თუმცა, გადაბარების შემთხვევები ხშირია, რაც ბუნებრივად ასახავს სწავლების პროცესის სპეციფიკას და სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციების მიხედვით გაწერილი წესების შესაბამისად ახდენს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობას შეფასების სისტემის შეახებ.- **ინდიკატორი 3.1.1.3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ფორმალობა — იგი წარმოადგენს სამართლებრივ გარანტიას, რომ სტუდენტის ინტერესები, უფლებები და თავისუფლება დაცული იქნება სწავლის მთელ პროცესში. ხელშეკრულებაში კონკრეტულად გაწერილია კოლეჯის ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან უზრუნველყოფას, ისე უსაფრთხო და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას. მაგალითად, კოლეჯი ვალდებულია: უზრუნველყოს სტუდენტი შესაბამისი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით; უზრუნველყოს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მათ შორის თანასწორი მოპყრობა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის თავიდან აცილება; მისაწვდომი გახადოს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტები და მათი განახლების შემთხვევაში დროული ინფორმირება; უზრუნველყოს სწავლის უსაფრთხო პირობები და ობიექტური, სანდო და ვალიდური შეფასება; უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლება და პროფესიული კვალიფიკაციის მოპოვების შესაძლებლობა დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. კოლეჯის ხელშეკრულებაში გაწერილი მუხლები, მათ შორის აკადემიური თავისუფლება, კომუნიკაციის ფორმები, შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა და ცვლილებების შესახებ ინფორმირების მექანიზმები, რეალურად მოქმედებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას. პრაქტიკაში, ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს სტუდენტის ღირსების დაცვის სპეციალურ მექანიზმებს: სტუდენტს წინასწარ აქვს ინფორმაცია კოლეჯის ტერიტორიაზე მოქმედი ვიდეო-კონტროლის შესახებ, რომელიც გამოიყენება მხოლოდ უსაფრთხოებისა და კანონიერ უფლებათა დაცვის მიზნით; კოლეჯი იყენებს როგორც წახალისების, ისე დაცვის ღონისძიებებს, რათა სტუდენტს ჰქონდეს განვითარების სტიმული და დაცულობის განცდა. არასრულწლოვანი სტუდენტების შემთხვევაში, ხელშეკრულება ფორმდება მათი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. კოლეჯი ითხოვს წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ამ გზით უზრუნველყოფს არასრულწლოვანი სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის დაცვას.

ხელშეკრულება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ ქმნის რეალურ გარანტიას, რომ სტუდენტი სწავლობს უსაფრთხო, სამართლიან და ღირსების დამცველ გარემოში. იგი მოიცავს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი სტუდენტების უფლებრივი დაცვის სპეციფიკას და სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, ხელშეკრულება გაფორმებულია, კანონიერ წარმომადგენელთან და თანდართულად ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სტუდენტის ფოტოსურათი. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობისა და დაწესებულებაში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

ასევე, გადამოწმდა სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელთა შინაარსიც სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და კოლეჯის რეგულაციებთან. თითოეული პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებას ახლავს დანართი, რომ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი თანახმაა დაწესებულებამ სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენოს/დაამუშაოს მათი პერსონალური მონაცემები საქართველოს კანონის შესაბამისად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

ინდიკატორი 3.1.1.4პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა დაკმაყოფილებულია.

5. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ცალკეული მუხლები ეთმობა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც საგანმანათლებლო პროცესს მეტად ორიენტირებულსა და მოქნილს ხდის პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 41 არეგულირებს პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური მეცადინეობისა და კონსულტაციების ორგანიზებას. კოლეჯი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ როგორც დამატებითი მეცადინეობებით, ისე სხვადასხვა კომუნიკაციის ფორმით (ელექტრონული ფოსტა, ონლაინ პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვ.), რათა მათ შეძლონ სასწავლო შედეგების სრულად მიღწევა. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი. 43 განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევაში — სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობისას, ხანგრძლივი ავადმყოფობის, მობილობის, სტატუსის აღდგენის ან ფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში. პროცესი მოიცავს სამუშაო ჯგუფის შექმნას, ინფორმაციის შეგროვებას, კონსულტაციებს, საჭირო მოდიფიკაციებს და საბოლოოდ, დამტკიცებას კოლეჯის დირექტორის მიერ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს, როგორც სასწავლო პროცესის სამსახური, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ტარდება რევიზია/ოპტიმიზაცია. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

44 აწესრიგებს პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლას, მაგალითად, მცირე რაოდენობის სტუდენტთა ჯგუფის, განმეორებითი შეფასების, სტატუსის აღდგენის ან მობილობის შემთხვევაში. ამ მექანიზმის წყალობით, სტუდენტებს არ ეზღუდებათ სწავლა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჯგუფი არ არის რენტაბელური ან მათ გარკვეული კომპონენტის გავლა ვერ მოახერხეს სტანდარტული განრიგის ფარგლებში. კოლეჯის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს მექანიზმები რეალურად მუშაობს: ინდივიდუალური მეცადინეობებით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, უკეთ მოემზადონ შუალედური და განმსაზღვრელი შეფასებებისთვის; ინდივიდუალური გეგმები საჭიროების შემთხვევაში იქმნება, როგორც სსსმ/შშმ სტატუსის მქონე, ასევე მობილობით მოსარგებლე სტუდენტებისთვის; „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ არსებული ჩანაწერები ადასტურებს, რომ კოლეჯი ქმნის მოქნილ და სტუდენტზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს. ეს გარემო უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების დაცვას, სწავლების ხელმისაწვდომობას და სწავლების პროცესში მათი საჭიროებების მაქსიმალურ გათვალისწინებას.პრაქტიკა აჩვენებს, რომ კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება ძირითადად დგება, მობილობით გადმოსული ან სტატუსის აღდგენის შემთხვევაში დაბრუნებული სტუდენტებისთვის. აღნიშნული პროცესი ორგანიზებულია გამჭვირვალედ და მოქნილად, რაც სტუდენტების მხრიდან ყოველთვის პოზიტიურად ფასდება.

წარმოდგენილი დოკუმეტაციიის, ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ინტერესების გათვალისწინებით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.1.5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;*
- *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების , შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის მაგალითები.*
- *დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების და მექანიზმების გაცნობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ფოტო მასალა);*
- *პროფესიული სტუდენტების კვლევის შედეგების ანალიზი;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების აკადემიური წარმატების ხელშეწყობის მიზნით, სისტემატურად ახორციელებს მრავალფეროვან მხარდამჭერ ღონისძიებებს. ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ორგანიზება, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება სასწავლო პროცესში წარმოშობილი სირთულეების დაძლევასა და აკადემიური მიღწევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესებაში. კონსულტაციები ხორციელდება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ინდივიდუალური კონსულტაციისას სტუდენტები პირადად ეცნობიან თავიანთ შეფასებებს და იღებენ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისა და/ან მოდულის განმახორციელებელი პირისგან. ჯგუფური შეხვედრების დროს განიხილება სასწავლო პროცესში არსებული საერთო გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მოითხოვონ დამატებითი კონსულტაციები იმ თემებზე, რომლებიც მათთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. აკადემიური პროგრესის მართვის პროცესში, კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების დროულ და ეფექტიან კომუნიკაციას. შედეგები სტუდენტებს ინდივიდუალურად ეცნობებათ, რასაც თან ახლავს დეტალური განხილვა, განმარტებები და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციის შეთავაზება.

კოლეჯი ასევე მუდმივად აკვირდება სტუდენტთა აკადემიური შედეგების დინამიკას, რათა დროულად გამოავლინოს ინდივიდუალური საჭიროებები და დაგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე სტუდენტებისთვის შედეგებზე დაფუძნებული უკუკავშირის მიწოდებას, რასაც მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში. სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვა კოლეჯის პრიორიტეტს წარმოადგენს. შეფასების შედეგების საჯაროდ გამოცხადება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის შესახებ სტუდენტმა წინასწარ მისცა წერილობითი ან სიტყვიერი თანხმობა.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირების პროცესში გამოვლინდა, რომ დაწესებულება აქტიურად აწვდის ინფორმაციას მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით და როგორც ადმინისტრაციული პერსონალი ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თვალსაზრისით. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც პროფესიული მასწავლებელი ინდივიდუალურ კონსულტაციას უწევს მათ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებითაც.

გარდა, სასწავლო პროცესისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებისა, პროფესიულმა სტუდენტებმა და დაწესებულების კურსდამთავრებულებმა ყურადღება გაამახვილეს მათ ჩართულობაზე სხავადასხვა შემეცნებით ღონისძიებებში, ასევე მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი აღმოჩნა დაწესებულების მხრიდან მათი დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელთან დაკავშირებითაც ინფორმაციას აწვდის მათ დაწესბულების წარმომადგენლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.2.1.1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დაკმაყოფილებულია.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 40 ითვალისწინებს, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას/ მხარდაჭერას, რომლის მიხედვითაც, კოლეჯი სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციასა და მხარდაჭერის ღონისძიებებს შემდეგნაირად ახორციელებს: პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება, სასწავლო პროცესის დაწყებამდე; პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლი სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, ექვს თვეში არანაკლებ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში , რიგგარეშე შეხვედრები იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას; ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროების მიხედვით; კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან ან პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ჯგუფური ან იდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა და განხორცილების მხარდაჭერა; კონსულტაციები ადმინისტრაციულ პერსონალთან; ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოქნილობა, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ პროცედურებს. კოლეჯში არსებული ნებისმიერი პროცედურა არ უქმნის კოლეჯის სერვისებით მოსარგებლე პირებს ბარიერებს. კოლეჯში ადმინისტრაციული სერვისის მიღების ვადა მისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადას.

პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და განსახილველი საკითხის შინაარსის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურის ან პერსონალის ჩართულობას;

პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ შეხვედრებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სავალდებულოდ აწყობს თუ: შეიცვალა სასწავლო კალენდარი, მეცადინეობის განრიგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, იცვლება სასწავლო გარემო. მაგ.: იგეგმება საწარმოო პრაქტიკების განხორციელება ან სხვა, არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე, არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება.

გარდა აღნიშნულისა, კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტაციის პროცესის უწყვეტ მონიტორინგს, რათა დროულად გამოავლინოს სტუდენტთა საჭიროებები(ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს პროფესიულ სტუდენტთა საწიროებების კვლევას) და შესთავაზოს მათ შესაბამისი მხარდაჭერა. ამ მიზნით, რეგულარულად ტარდება უკუკავშირის შეხვედრები სტუდენტებთან, რათა შეფასდეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს სთავაზობს დამატებით კონსულტაციებსა და დახმარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების საჭიროებებს, რათა ყველა სტუდენტს/მსმენელს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. კოლეჯის მიზანია, ქონდეს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა სტუდენტი/მსმენელი თავს კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნობს, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, კოლეჯი ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და რეგულაციაში გაწერილი პუნქტების შესაბამისად მოქმედებს. მათ დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრები, როგორც სწავლის დასაწყისში ასევე, ზოგადად სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფარგლებშიც. აღნიშნული ფაქტი დასტურდება ფოტომასალით და გასაუბრებით ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

ინდიკატორი 3.2.1.2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწრაფ და ეფექტურ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს მათ საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და შესაბამისი სერვისების გონივრულ ვადებში მიწოდებას. ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოიცავს: სტუდენტთა მომსახურებას, ინფორმაციისა და კონსულტაციების გაწევას, ასევე ოფიციალური დოკუმენტაციის დამუშავებასა და გაცემას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ოპერატიულად მიიღონ ინფორმაცია რეგისტრაციის, ჩარიცხვის, ექსტრაკურიკულარული აქტივობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალური ცნობები და სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კოლეჯის სერვისებით სარგებლობისას ინფორმაცია ან მოთხოვნილი სერვისი სტუდენტებს მიეწოდებათ მოთხოვნის დღესვე ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრირების პროცესი დამატებით დროში საჭიროებს განხორციელებას, სერვისის გაწევის ვადა არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პერიოდს. სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესში ჩართულია საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა ადმინისტრაციული სერვისის დროულ, ეფექტიან და გამჭვირვალე შესრულებას. კოლეჯის მიზანია, ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის საშუალებით შექმნას, ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებული გარემო, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა პროფესიული სტუდენტისათვის ცნობის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებიც თანხვედრაშია კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მათ გონივრულ ვადებში და ყოველთვის აქვს ღიაობა მათ მხარდასაჭერად. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.2.1.3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება მრავალფეროვანი სტუდენტური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული, კულტურული, სპორტული და სოციალური უნარების განვითარებას. ღონისძიებები მოიცავს შეხვედრებს წარმატებულ პროფესიონალებთან – ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და კონკრეტული სფეროს ლიდერებთან, რომლებიც სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და კარიერული განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციებს. ასევე, ხორციელდება საგანმანათლებლო სემინარები და ტრენინგები. თემატური სემინარები და პრაქტიკული შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

კოლეჯში აქტიურად იმართება კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები – თემატური კინოჩვენებები, საგანმანათლებლო დისკუსიები და სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობები. განსაკუთრებული ადგილი უკავია კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს, სტაჟირებებსა და ინტელექტუალურ თამაშებს, ასევე თემატურ ექსკურსიებსა და კონფერენციებს, რომლებიც სტუდენტებს აძლევს ახალ გამოცდილებას, ავითარებს მათ პროფესიულ ხედვას და ამაღლებს მოტივაციას. რამდენიმე წელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებაში, რომელსაც მართავს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია წევრ კოლეჯებს შორის. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას. ეს მათ აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ ლიდერული უნარები, მიიღონ ახალი გამოცდილება და პრაქტიკული ცოდნა. „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ განსაზღვრავს, თუ რა წესით ხდება სტუდენტური ინიციატივების განხორციელება, რა ეტაპებს მოიცავს ორგანიზების პროცესი და ვინ არიან პასუხისმგებელი პირები. კოლეჯი გეგმავს როგორც თემატურ აქტივობებს, მაგალითად ექთნებისა და და ფარმაცევტებისათვის მედიცინის მუზეუმში ვიზიტი, ასევე საფინანსო სერვისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისათვის ექსკურსია ყვარელში-ფულის მუზეუმში, კოლეჯი ახორციელებს ეკომეგობრულ ვიზიტებს მწვანე ბულანჟერეაში, ასევე არათემატური ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა თვალთახედვის გაზრდას და მათთვის თვითშეფასების ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის დირექტორის მოადგილესა და სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი პროფესიული სტუდენტების არაფორმალურ ღონისძიებებში მონაწილეობისა და მხარდაჭერის კუთხით. მათ ისაუბრეს ზემოთაღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით და წარმოადგინეს მტკიცებულებები ფოტო მასალის სახით. პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუირების დროს დაადასტურეს მათი ჩართულობა და კოლეჯის მხარდაჭერა სტუდენტური ინიციატივების წახალისების კუთხით. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.2.1.4 პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

5.კოლეჯს დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ სავალდებულოდ, დამატებით საჭიროებიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სასწავლო პროცესი, მოდულის შეფასება, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კოლეჯის ინფრასტუქტურა, მატერიალურ/ტექნიკური რესურსი, პროცედურები, შეფასების სისტემა, სტუდენტური სერვისები და სხვა. თითოეული ასპექტით სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების შეფასება ეხმარება კოლეჯს გაუმჯობესოს სერვისების ხარისხი;

აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე, კოლეჯი აქტიურად იყენებს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირს სასწავლო პროცესისა და მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. უკუკავშირის შეგროვება ხორციელდება, წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად ატარებს სტუდენტთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევებს, რომლებიც მოიცავს ყველა სასწავლო ჯგუფს და უზრუნველყოფს მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების სრულყოფილ ანალიზს. ინფორმაცია მიიღება სხვადასხვა ფორმით: ანონიმური კითხვარებით, ფოკუს-ჯგუფური შეხვედრებითა და ინდივიდუალური ინტერვიუებით. მიღებული მონაცემები მუშავდება და განიხილება. მომზადებულ ანგარიშში ასახულია სტუდენტთა ძირითადი საჭიროებები, იდენტიფიცირებული გამოწვევები და სარეკომენდაციო ნაწილი, რომელიც განსახილველად გადაეცემა კოლეჯის ადმინისტრაციასა და შესაბამის განყოფილებებს. კვლევების შედეგების საფუძველზე კოლეჯი ახორციელებს მიზნობრივ ცვლილებებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირებასა და დამატებითი მოდულების/აქტივობების შეთავაზებას, სტუდენტური სერვისების ოპტიმიზაციას, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფური კონსულტაციების დამატებას, აგრეთვე სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. უკუკავშირის მექანიზმი ეფუძნება უწყვეტი განვითარების პრინციპს. მიღებული შედეგები რეგულარულად განიხილება კოლეჯის მმართველ გუნდში, ხოლო განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა მოწმდება შემდგომი კვლევებით. ეს უზრუნველყოფს მუდმივ პროგრესს და გაუმჯობესებას როგორც სასწავლო პროცესში, ისე ადმინისტრაციულ მომსახურებაში. კოლეჯი სტუდენტთა უკუკავშირის მიღებას სისტემატურად ახორციელებს შემდეგი კვლევების საშუალებით: პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების და საჭიროებების კვლევა; კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევა და ანონიმური სურვილების ყუთი, რომელიც განტავსებულია კოლეჯის ფოიეში. აღნიშნული კვლევები უზრუნველყოფს, რომ კოლეჯმა სრულყოფილად გაითვალისწინოს სტუდენტთა პოზიციები და საჭიროებები, და მათი საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი გაუმჯობესებები.

ხარისხის მართვის მენეჯერს კვლევის ანალიზი და მიღებული შედეგები გაზიარებული აქვს თითოეული ადმინისტრაციული პერსონალისათვის ელ-ფოსტის საშუალებით. კვლევების შედეგად გამოკვეთილ საჭიროებებზე ჩატარებული აქტივობები დაადასტურა, კოლეჯის პერსონალმაც. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დასტურდება ზემოთაღნიშნული პროცესების განხორციელება. **ინდიკატორი 3.2.1.5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *სასწავლო პროცესისი მარეგულირებელი წესი ;*
2. *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;*
3. *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი;*
4. *ბიბლიოთეკის დებულება;*
5. *პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევი;*
6. *პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;*
7. *ზ/აღნიშნული წესების და მექანიზმების გაცნობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;*
8. *აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებები;*
9. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
10. *გამოკითხვის შედეგები.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

o გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“, რომლის მუხლი 5 ითვალისწინებს, კარიერული მომსახურების მხარდაჭერას. სტუდენტების/მსმენელების კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს: პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებსა და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით (ვებ-გვერდის, სოციალური ქსელისა და ელ.ფოსტის საშუალებით); ეხმარება კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.; პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სთავაზობს დამატებით მომზადების/გადამზადების კურსებს;

აღნიშნულის დასაკმაყოფილებლად კოლეჯი ადგენს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს, მართავს საკომუნიკაციო სისტემას/გვერდს/დახურულ ჯგუფს (შესაძლოა ეს იყოს სივრცე კოლეჯის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის საშუალებით, ან

დამოუკიდებელ პლატფორმაზე), რომლის მართვაზე პასუხისმგებელი პირი არის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან ერთად.დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაცემები ახლდება ახალი სასარგებლო ინფორმაციის შესაბამისად.

დამსაქმებელთა მიერ კონკრეტული ინტერესის შემთხვევაში კოლეჯი კურსდამთავრებულს სთავაზობს წინადადებას და მისი თანხმობის შემდეგ აკავშირებს დამსაქმებელს. კოლეჯმა შესაძლოა, გამართოს დასაქმების ფორუმი ან მიიღოს მონაწილეობა სხვის მიერ ორგანიზებულ ფორუმში, სადაც პოტენციური დამსაქმებელები გააკეთებენ საკუთარი ორგანიზაციების წარდგენასა და დამსწრე საზოგადოებას გააცნობენ, თუ რა შესაძლებლობებს თავაზობენ პოტენციურ დასაქმებულებს.

დაწესებულება მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ტრენინგების, ასევე სხვა ღონისძიებების შესახებ (მაგალითად გამოფენები, პრეზენტაციები, ვიდეო რგოლების გავრცელება და სხვა). პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხიმგებელია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი, პროცესში ასევე მონაწილეობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. შესაძლოა სხვა ადმინისტრაციის წესვრებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კოლეჯი იმედი უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მოქნილ და ხელმისაწვდომ მომსახურებას პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის. აღნიშნული მომსახურება აერთიანებს როგორც საინფორმაციო, ისე საკონსულტაციო და მონიტორინგის კომპონენტებს, რაც მთლიანობაში ქმნის ეფექტიან მექანიზმს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშესაწყობად. კოლეჯში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერის პოზიცია, რომლის საქმიანობა მოიცავს სტუდენტთა ინფორმირებას დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე, საკონსულტაციო სერვისების უზრუნველყოფას კარიერული დაგეგმვის საკითხებში და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესის კოორდინაციას. კარიერული მხარდაჭერის სერვისები მრავალფეროვანია. კოლეჯის წარმომადგენლები სკოლებში ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც დაინტერესებულ პირებს აცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს, დამატებით სერვისებსა და დასაქმების პერსპექტივებს. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ ღია კარის დღეებს, გაეცნონ სასწავლო გარემოს, შეხვდნენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს და ადმინისტრაციას და მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროფესიების შესახებ. კოლეჯი ასევე აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც მუდმივად ქვეყნდება დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლებული ინფორმაცია. მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი. კოლეჯი სისტემატურად ამყარებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებთან კვალიფიკაციის მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ, ატარებს გამოკითხვებს მათი დასაქმების სტატუსისა და კარიერული განვითარების შესახებ, ხოლო მიღებული მონაცემების საფუძველზე აუმჯობესებს კარიერული მხარდაჭერის სერვისებს. აღნიშნული მექანიზმების საშუალებით, კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმატებულ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე და მუდმივად ზრუნავს კარიერული მხარდაჭერის სისტემის განვითარებაზე.

დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პრაქტიკის კოორდინატორებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ბევრი პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, ასევე მათ მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, სკოლებში ვიზიტების ამსახველი დოკუმენტაცია(დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა), დაინტერესებული პირების კოლეჯში ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათი დასაქმების ხელშეწყობას და ის ცოდნა და უნარები, რომელსაც კოლეჯში იღებენ ეხმარებათ შემდგომი კარიერული განვითარების კუთხითაც. **ინდიკატორი 3.2.2.1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობაზე დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ, როგორც კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც მუდმივად ქვეყნდება განახლებული ვაკანსიები და კარიერული განვითარების შესაძლებლობები, ასევე სხვადასხვა ტრენინგებისა და პროფესიულ-კულტურული ღონისძიებების შესახებ შეტყობინებებით. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, ყოველწლიურად აფართოებს პარტნიორთა წრეს და ორგანიზებას უწევს გაცნობით შეხვედრებს, რათა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეექმნათ, რეალური შესაძლებლობა დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის. კოლეჯის წარმომადგენლები უშუალოდ ერთვებიან დასაქმების პროცესში და სტუდენტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ ამ პროცესის მაქსიმალურ ეფექტიანობას. სტუდენტთა კარიერული პოტენციალის გაძლიერების მიზნით, თითოეულ პროფესიულ სტუდენტს უყალიბდება ინდივიდუალური პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია მისი სასწავლო შედეგები და დამატებითი უნარები. ამასთან, კოლეჯი სთავაზობს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც მოიცავს პრაქტიკულ თემებს, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენა, გასაუბრების წარმატებით გავლის ტექნიკები და სხვა კარიერული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები. კოლეჯი მუდმივად აძლიერებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ მხარდაჭერას და უზრუნველყოფს მათ წარმატებულ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე, როგორც ახალი პარტნიორების მოძიებით, ისე უნარების განვითარების თანამედროვე პროგრამების საშუალებით.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა ზემოთაღნიშნული პროცესების მიმდინარეობა.

ინდიკატორი3.2.2.2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია,.

3. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილი აქვს, ძირითადი და დამხმარე პროცესების განხორციელების შეფასების მექანიზმები, ინდიკატორები და ინსტრუმენტები, რომელშიც ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის ისეთი ინდიკატორების გამოყენება, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით და მოიცავს კომპონენტს, პროფესიით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობასთან დაკავშირებით (რამდენიმე წლის განმავლობაში). კოლეჯს შემუშავებული აქვს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება კვლევები პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული რეალიზაციის მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას აძლევს დაწესებულებას, სრულად შეაფასოს, როგორც კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია შრომის ბაზარზე, ისე დამსაქმებელთა დამოკიდებულება მიღებული განათლების მიმართ. კვლევის პროცესი მოიცავს: კითხვარების შევსებას, მონაცემების ანალიზსა და შედეგების დამუშავებას. მიღებული ინფორმაცია დამუშავების შემდეგ განიხილება და გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უფრო მჭიდრო დაახლოებისათვის. ძირითადი პარამეტრები კურსდამთავრებულთა კვლევებში მოიცავს შემდეგს: დასაქმების სტატუსი – მუშაობს თუ არა კურსდამთავრებული; სპეციალობით დასაქმება – მუშაობს თუ არა იმ სფეროში, რომელიც კოლეჯში შეისწავლა; მიღებული უნარების მნიშვნელობა – რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა კოლეჯში მიღებული ცოდნა; პრაქტიკული გამოყენება – იყენებს თუ არა კურსდამთავრებული მიღებულ უნარებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამსაქმებელთა კვლევისას ყურადღება გამახვილებულია:კმაყოფილებაზე კურსდამთავრებულთა კომპეტენციით;იმ უნარებზე, რომელთა განვითარებაც დამატებითაა საჭირო და პროგრამამ სრულად ვერ უზრუნველყო; კოლეჯის პროგრამების შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭირო ცვლილებებზე.

პასუხისმგებელი პირები კვლევების განხორციელებასა და მონაცემთა დამუშავებაზე არიან ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციები გადაეცემა კოლეჯის ადმინისტრაციას და გამოიყენება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესებისთვის.

წარმოდგენილი კვლევების მონაცემების, შემუშავებული კითხვარების, კვლევის მეთოდოლოგიისა და პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებით დასტურდება ზემოთაღნიშნული პროცესები.

ინდიკატორი 3.2.2.3პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია,

4. კოლეჯი პერიოდულად ატარებს კარიერული მომსახურების კვლევას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. კვლევის ფოკუსი ძირითადად მიმართულია იმ დამატებითი უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიცირებისკენ, რომელთა მოთხოვნაც შეიძლება ჰქონდეთ დამსაქმებლებს. მიღებული შედეგების საფუძველზე კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო უნარების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. მეთოდოლოგიურად გამართული კვლევების უზრუნველსაყოფად, კოლეჯს შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოიწვიოს კვლევითი ორგანიზაციები ან სპეციალისტები.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს ახორციელებს, დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შედეგების საფუძველზე კეთდება კორექტირება კარიერული მხარდაჭერის სერვისებში. კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი უმეტესწილად მაღალია. დამატებითი სანდოობისთვის, პროფესიული უნარების სააგენტომაც განახორციელა კვლევა: კოლეჯი გარდა საკუთარი კვლევისა ჩაერთო უნარების სააგენტოს კვლევაშიც.— მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს. 2024 წელს აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა საშუალოდ 76 %-მა, და შედეგებმა აჩვენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კოლეჯი ეფექტურად ახორციელებს კარიერული მომსახურების მხარდაჭერას.

ზემოთაღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კვლევის კითხვარებით, შედეგებითა და ანალიზით, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია რეკომენდაციები და განხორციელებულია შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 3.2.2.4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;*
2. *პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;*
3. *სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერის დაგეგმვა და განვითარების აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;*
4. *პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული მომსახურების კვლევის ანალიზი.*
5. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
6. *ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „დებულება“, რომლითაც დარეგულირებულია, კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, ფუნქცია-მოვალეობები და უფლებამოსილებები. დაწესებულების სტრუქტურა შედგება:ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელები/პროგრამების კოორდინატორები/პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დამხარე პერსონალისგან. კოლეჯის ხელმძღვანელს უფლება აქვს შექმნას დამატებითი სტრუქტურული ერთეულები და მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტები საჭიროების შემთხვევაში. კოლეჯს მართავს დირექტორი.

   პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია საშტატო განრიგით.

   სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს:თანამდებობის დასახელებას, სტრუქტურულ ერთეულს (არსებობის შემთხვევაში); ძირითადი ფუნქციებსა და მოვალეობებს; საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (განათლება/გამოცდილება); პიროვნულ თვისებებსა და უნარებს და სხვა. დამხმარე პერსონალის შრომითი ურთიერთობა განისაზღვრება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით, რომელიც მოიცავს კოლეჯის საჭიროებისთვის დაქირავებულ თანამშრომლებს.

   მოცემული დოკუმენტი შესაბამისი პოზიციის მიხედვით, ხელმოწერილი სახით ახლავს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართის სახით. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შემოწმდა თითოეული ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე და შეფასდა ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაკავებული პოზიციებისთვის წარმოდგენილი კვალიფიკაციის დოკუმენტების შესაბამისობა მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესწავლილი პერსონალის სამუშაო აღწერილობებიდან, კოლეჯის სტრუქტურიდან და პერსონალის პირადი საქმეებიდან დასტურდება, რომ პსდში მოქმედი სტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულის პერსონალთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ ისინი კარგად იცნობენ და მკაფიოდ აქვთ გააზრებული მათი ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია ისე, რომ უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა აუცილებელი აქტივობის ეფექტურ განხორციელებას. სამუშაო აღწერილობებში მკაფიოდ განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულების უწყვეტობა დაცულია – არ ყოფნის შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებელი ან პირდაპირაა განსაზღვრული, ან დირექტორის ბრძანებით ინიშნება; ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება უზრუნველყოფს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის ეფექტურ შესრულებას. პასუხისმგებლობების განაწილება ეფუძნება კოლეჯის რეგულაციებს და სრულად ფარავს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა აქტივობას. თანამშრომლები საქმიანობენ თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები თანხვედრაშია კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან, სადაც პასუხისმგებელი პირები და ჩართული მხარეები განსაზღვრულია მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში პროცესების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ აქტივობებშიც შესაბამისი ფუნქციის თანამშრომელს აქვს პასუხიმგებლობა კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე. მაგალითად, ხარისხის მართვის მენეჯერს ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი აქვს: „უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარებას, შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და მათი შესრულების მონიტორინგს ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად კომპეტენციის ფარგლებში;“

კოლეჯის 2025-2026 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც, სტრატეგიული მიზანი 1. ორგანიზაციული განვითარება, ამოცანა 1.2 ხარისხის უზრუნველყოფა(დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება), განსახორციელებელი აქტივობა არის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარგად აქვს გააზრებული ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების სწორად გადანაწილების მნიშვნელობის საკითხი. პერსონალის საქმიანობა რეგულირდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებით, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და თან ახლავს სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტი.

ინდიკატორი. 4.1.1.2პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს, როგორც ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, მათ სისტემურ შეფასებას, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას, მოსალოდნელი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა – ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით კოლეჯის საბაზისო ღირებულებები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია მოვალეობები, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:უზრუნველყოფს კოლეჯში ხარისხის მართვის ციკლის – "დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება" უწყვეტობას; შეიმუშავებს/განავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმას; უზრუნველყოფს კოლეჯში არსებული ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის რეგულირებისათვის შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს/შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში პროცესების გაუმჯობესების/პრევენციული და მაკორექტრებელი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებას; ამონიტორინგებს და აფასებს დაწესებულების ადამიანურ, მატერიალურ, ინფორმაციულ და ფინანსურ რესურსებს ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში; უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის უფლების მოპოვებისთვის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს/შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; უზრუნველყოფს კომპეტენციას მიკუთვნებულ შემოსული კორესპონდენციის გაცნობას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პასუხების მომზადებას; საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის პროექტის შემუშავებაში და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გეგმის შესრულების მონიტორინგს; უზრუნველყოფს კოლეჯის თვითშეფასების პროცესის კოორდინაციას და, შედეგებიდან გამომდინარე, კომპეტენციის ფარგლებში ახდენს დოკუმენტების, ინსტრუქციების და წესების შემუშავება/განახლების ინიცირებას;უზრუნველყოფს ავტორიზაციის, პროგრამის დამატების/ცვლილების, სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/ცვლილების პროცესების მონიტორინგს შესაბამის პერსონალთან ერთად, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით; ახორციელებს კოლეჯში პროფესიული სტუდენტ(ებ)ის/მსმენელ(ებ)ის სერვისების მონიტორინგს; უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას და პროცესში მონაწილეობას; უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარებას, შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და მათი შესრულების მონიტორინგს ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად კომპეტენციის ფარგლებში; უზრუნველყოფს პროცესების შეფასების შედეგების ანალიზის დაინტერესებულ პირთათვის გაცნობას და საჭიროების შემთხვევაში განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებას; ესწრება კომპანიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-ინსტრუქტაჟებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით; მონაწილეობს შიდა სამუშაო ჯგუფ(ებ)ის, კომისიის მუშაობაში კომპეტენციის ფარგლებში; უზრუნველყოფს თვითშეფასების მომზადებას, შედეგებიდან გამომდინარე კომპეტენციის ფარგლებში დოკუმენტების, ინსტრუქციების და წესების შემუშავებას/განახლების ინიცირებას; ასრულებს სხვა ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და კანონმდებლობით/ზემდგომი უწყების მიერ და დაკავშირებულია მისთვის დელეგირებული პროცესის განხორციელებასთან.

კოლეჯს აქვს გაწერილი რეგულაცია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება PDCA ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე) პრინციპის მიხედვით.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული დამოუკიდებლობის პრინციპს..ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯისყველა ადმინისტრაციულ ერთეულთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერი მონაწილეობს მხოლოდ თვითშეფასების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, ხოლო მონიტორინგისა და რეკომენდაციების გაცემისას ინარჩუნებს დამოუკიდებლობას. ძირითადი და დამხმარე პროცესების მონიტორინგი ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტებისა და კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. მიღებული მონაცემებისა და რეკომენდაციების შეფასება ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიუკერძოებლობას. ამ მიდგომით კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გამჭვირვალეა და დამოუკიდებელი, რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს. ზემოთაღნიშნული პროცესების განხორციელება შესაბამისი რეგულაციის მიხედვით დასტურდება ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუირების შედეგად. **ინდიკატორი 4.1.1.3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კოლეჯის სტრუქტურა; სტრუქტურა

1. კოლეჯის დებულება;
2. საშტატო განრიგი;
3. სამუშაო აღწერილობები;
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
5. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობები/ თანამდებობრივი ინსტრუქცია(დებულება);
6. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა;
7.ხარისხის მართვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8.შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები;
შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების საფუძველზე, მათ შორის „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ და „შინაგანაწესის“ შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, განსაზღვრავს:პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს; ახალი თანამშრომლების ინტეგრაციისა და სამუშაო პროცესში ჩართვის მექანიზმებს; პერსონალის შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასების წესებს; პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და წახალისების პოლიტიკას; პერსონალის კმაყოფილების კვლევის პროცესს; დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს; დასაქმების შეწყვეტისა და განთავისუფლების პროცედურებს და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“; საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ბრძანებები(მათ შორის კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია).

შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის ბრძანებით, არეგულირებს:ა) შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, დასაქმებულის დანიშვნას, თანამდებობრივ გადაადგილებას; ბ) მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობებს; გ) სამსახურებრივ მივლინებას, სამუშაო დროს და დასვენების დროს; დ) შვებულებას; ე) შრომითი ურთიერთობის შეჩერებას და შეწყვეტას; ვ) დასაქმებულის შრომის ანაზღაურებას, დამატებითი სარგებელს, წახალისებას; ზ) დისციპლინური პასუხისმგებლობას; თ) დავის/საჩივრის/განცხადების განხილვას; ი) დასკვნით და სხვა დებულებებს.

შინაგანაწესის გაცნობა ხდება შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების მკაფიო განსაზღვრას.

დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლიც წარმოადგენს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, თანხმობას იმ ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხიმგებლობების შესრულებაზე, რომელიც მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სამუშაოს სანიმუშოდ შესრულება ან არაჯეროვანი შესრულება შესაძლოა გახდეს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების - წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად ხორციელდება პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა, რომლითაც დაწესებულება ადასტურებს, რომ დასაქმებულთა ინტერესები დაცულია.

პერსონალის მართვის პროცესების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება რეგულარულად, რაც ხელს უწყობს მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და კოლეჯის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

შესწავლილი რეგულაციების, დასაქმებულთა პირადი საქმეების და კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე დაწესებულება კანონმდებლობასთან შესაბამისად ახორციელებს პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესებს. აღნიშნული ფაქტი დასტურდება კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.2.1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, პროფესიული მასწავლებლის შერჩევისას კი, დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

კოლეჯის პერსონალის შერჩევის პროცესების დაგეგმარების მიზანია, ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში ვაკანტური პოზიციის მიმართ სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შერჩევის პირობებისა და პროცესის შემუშავება. კოლეჯში პერსონალის შერჩევის დაგეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობაა: მოცემულ მომენტში ორგანიზაციაში წარმოქმნილი პერსონალის დეფიციტი; ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა; პერსონალის შეფასების შედეგები.

კოლეჯის პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი და ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით. პერსონალის შერჩევისას განსაზღვრავს საჭირო ვაკანსიების რაოდენობას და საჭიროების შემთხვევაში კონკურსის დასრულების სავარაუდო ვადას (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

მენეჯერი შესაბამის/ჩართულ სტრუქტურულ ერთეულთან კონსულტირების შედეგად განსაზღვრავს, არსებული ვაკანსიის შევსების ფორმას:

ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული ადამიანური რესურსის სარეზერვო ბაზიდან; პერსონალის მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვა კონკურსის წესით ან კონკურსის გარეშე.

პირის შერჩევის შემდგომ, პირთან იდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება, შესასრულებული სამუშაოების შინაარსის გათვალისწინებით.

კოლეჯში პერსონალის შერჩევის პროცესი დაფუძნებულია გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებზე, თუმცა პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით საჭირო არ გამხდარა ფართო კონკურსების გამოცხადება. ახალი თანამშრომლების მიღების აუცილებლობა ძირითადად ჩნდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაშინ, როდესაც კოლეჯი იწყებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ან ორგანიზაციული საჭიროებიდან გამომდინარე ჩნდება დამატებითი პოზიციები. ასეთ შემთხვევაში, დირექტორი აინიცირებს საშტატო განრიგის გადახედვას და თანამშრომლობს ადამიანის რესურსების მენეჯერთან, რათა მოხდეს შესაბამისი კადრების მოძიება. მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის პოლიტიკა ითვალისწინებს ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნებასა და კონკურსის ჩატარებას, პრაქტიკაში აქამდე საკმარისი აღმოჩნდა შიდა ბაზების გამოყენება და კოლეჯის თანამშრომლებისა თუ პარტნიორი ქსელების რეკომენდაციებზე დაყრდნობით კვალიფიციური კადრების მოძიება. ეს გზა ეფექტიანი აღმოჩნდა, ვინაიდან რეკომენდაციებით მოზიდული კანდიდატები უკვე იცნობდნენ კოლეჯის საქმიანობას, ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება და ადვილად ინტეგრირდებოდნენ სამუშაო გარემოში. ამასთანავე, კოლეჯი უზრუნველყოფს იმას, რომ შერჩევის პროცესი დარჩეს სამართლიანი და მიუკერძოებელი — თითოეული კანდიდატის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მოწმდება ობიექტურად. თანამშრომელთა დანიშვნა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების დაცვით. შრომით ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი შრომის კოდექსით განსაზღვრული პირობები, ხოლო პერსონალის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კოლეჯის მიზანია, მომავალშიც შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრების მოზიდვის გამჭვირვალე და თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მზად არის კონკურსის გამოცხადებისთვისაც.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში კონკურსის ჩატარების შემთხვევაში გაწერილია აპელაციის პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას.

ზემოთაღნიშნული პროცედურები დასტურდება შესწავლილი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებების შედეგად. ინდიკატორი **4.1.2.2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობებით, სადაც დეტალურად არის გაწერილი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მინიმალური მოთხოვნები. ეს ქმნის საფუძველს, რომ შერჩევის პროცესში მიღებულ იქნას მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც რეალურად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დაწესებულებისთვის კადრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევის პროცესში პრიორიტეტულია, არა მხოლოდ დიპლომით დადასტურებული ცოდნა, არამედ პროფესიული კომპეტენცია, პრაქტიკული გამოცდილება და ის უნარები, რომლებიც კონკრეტული ფუნქციის ეფექტურად შესრულებას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა ჯგუფმა, დეტალურად შეისწავლა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი პირადი საქმეები, რომლითაც დასტურდება, რომ ყველა თანამშრომლის პირადი საქმე და დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლეჯის შერჩევის პოლიტიკა სამართლიანი, გამჭვირვალე და პროფესიული სტანდარტების შესაბამისია, ხოლო დასაქმებული კადრები — კვალიფიციური და სანდო. კოლეჯი თვლის, რომ პერსონალის შერჩევის, დანიშვნისა და კვალიფიკაციის შეფასების არსებული პრაქტიკა სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ მხარეს, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს.

ინდიკატორი 4.1.2.3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ეს პრინციპები უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიან ადამიანური რესურსების მართვას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს: შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას; ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას; შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას; სამუშაოზე აყვანის სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე პროცედურას. პერსონალის შერჩევის პროცედურა შერჩევის პროცესი არის მკაფიოდ გაწერილი და გამჭვირვალე; კანდიდატების შერჩევა ხდება კოლეჯის რეგულაციების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; პერსონალის დანიშვნა ხდება კონკურსის ან შერჩევის პროცესის საფუძველზე; ყველა დასაქმებულთან ფორმდება შრომითი და/ან მომსახურების ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულებების პირობები შრომით ხელშეკრულებაში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნები, რაც მოიცავს: მუშაობის დაწყების თარიღსა და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობას; სამუშაო და დასვენების დროის რეგულირებას; სამუშაო ადგილის, თანამდებობისა და მოვალეობების განსაზღვრას;შრომის ანაზღაურების ოდენობას და გადახდის წესს; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობასა და მათ გაცემის წესს. კოლეჯის ყველა თანამშრომლის პირადი საქმე მოიცავს აუცილებელ დოკუმენტაციას, რომელიც შეესაბამება განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; პერსონალური მონაცემების შენახვა ხდება კონფიდენციალურობის

პრინციპების დაცვით. დაწესებულება მუდმივად აუმჯობესებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს კვალიფიციური, მოტივირებული და ორგანიზაციის მიზნებთან შესაბამისი პერსონალის მოზიდვა და განვითარება.

არნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომელთა გუნდური მუშაობის პრინციპებს და მათ ჩართულობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის დირექცია, ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად შეკრების საფუძველზე, ერთობლივად არიან ჩართულნი ისეთ პროცესებში, როგორიც არის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და ერთმანეთის მოსაზრებების გათვალისწინება, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ინიცირება(ფორმალური და არაფორმალური) და განხორციელება, პერსონალის შერჩევის პროცედურების წარმართვა, სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა, სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავება, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების განახლება/შემუშავებაში ჩართულობა და ა.შ.

აღნიშნული პროცესების წარმართვა დასტურდება კოლეჯის ადმინისტრაციულ და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც თანამშრომელთა გუნდურ მუშაობაზე მიუთითებს.

ინდიკატორი 4.1.2.4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაკმაყოფილბულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის „შინაგანაწესი“;
2. კოლეჯის დებულება;
3. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები;
4.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
5.პერსონალის მართვის პოლიტიკა;
6.პერსონალის პირადი საქმეები;
7.ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა;
8.შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელშიც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურები. პერსონალის შეფასების სისტემა მიზნად ისახავს, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის ანალიზს, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება, მოდულის დასრულებისას. შეფასების პროცესი მიმდინარეობს, მრავალგანზომილებიანი მეთოდით, რომელიც მოიცავს თვითშეფასებას, სტუდენტების/მსმენელების უკუკავშირს, პერსონალის ურთიერთშეფასებას, ხელმძღვანელთა შეფასებასა და სხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევით მეთოდებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კომპონენტებია:საქმიანობის ეფექტიანობა; კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები; მართვის სტილი და ორგანიზაციული უნარები; სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომსახურების ხარისხი. შეფასების მეთოდებად გამოიყენება:თვითშეფასება;ხელმძღვანელის შეფასება;თანამშრომლების (პირადი შემფასებლების) შეფასება;სტუდენტთა უკუკავშირი (არსებობის შემთხვევაში).შეფასების ინსტრუმენტებია:სტანდარტიზებული კითხვარები; საქმიანობის ანგარიშები; პერსონალური ინტერვიუები; ქეისების ანალიზი და პრობლემური სიტუაციების განხილვა. შეფასების შედეგების ანალიზი ხორციელდება შემდეგნაირად: მონაცემების დამუშავება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის მეთოდებით; შედეგების განხილვა ადმინისტრაციის შეხვედრაზე; ინდივიდუალური განვითარების გეგმების შედგენა მიღებული მონაცემების საფუძველზე.

შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგი მიზნით: პერსონალის პროფესიული განვითარება: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტრენინგების ორგანიზება; საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და მენტორინგის პროგრამები; ინდივიდუალური განვითარების გეგმების შედგენა. ორგანიზაციული გაუმჯობესება: პოლიტიკის ან პროცედურების კორექტირება შეფასების შედეგების საფუძველზე; სპეციალური სამუშაო ჯგუფების შექმნა გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად; ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპტიმალური გადანაწილება. მოტივაციის ამაღლება: პერსონალის წახალისება პოზიტიური შედეგების მიხედვით; წამახალისებელი პროგრამებისა და ბენეფიტების შექმნა მაღალი შეფასების მქონე თანამშრომლებისთვის.

დაწესებულებაში პერსონალის შეფასების სისტემა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ემსახურება ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. მიღებული შედეგები გამოიყენება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარებისა და ოპერაციული მართვის სრულყოფისთვის.

ზემოთ აღნიშნული პროცესების შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა:ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების ანონიმური კითხვარი და ანგარიში; ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზი; პროფესიული სტუდენტების კითხვარები და შედეგები მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით და პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადამინისტრაციული პერსონალის ციფრული უნარების თვითშეფასების კითხვარი და ანალიზი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შედეგად, განხორციელდა ტრენიგნი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით და სხვ, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, აღნიშნულ ტრენინგში მონაწილე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს კი დაწესებულებამ გადასცა ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ადმინისტრაციული პერსონალისთვისაც ჩატარდა ტრენინგი „ინოვაციური მართვა:ხელოვნური ინტელექტის როლი ადმინისტრაციის საქმიანობაში და სხვა.

ტრენინგების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციებისა და პროფესიული უნარების განვითარება. მოცემული უნარების განვითარების საჭიროება კი, გამოიკვეთა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

გარდა, აღნიშნულისა, კოლეჯი ხელს უწყობს, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ და სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვას, არაერთი სამუშაო შეხვედრისა და ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების, ციფრული კომპეტენციების განვითარების და სხვა საკითხებში. ასევე, მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია ინგლისური ენის მიმართულების ტრენინგი, რომელიც პროფესიულ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს დაეხმარება საბაზისო სიტყვების მნიშვნელობების გარკვევაში, რომელიც კომპიუტერულ პროგრამებთან სამუშაოდ არის საჭირო.

დაწესებულება ახორციელებს პერსონალის საქმიანობის ანალიზს, განსაზღვრავს მათი მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის პერსონალის გადამზადებისა და პროფესიული ზრდის აუცილებელ მიმართულებებს.

ზემოთაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის, რეგულაციების შესაბამისი წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ადმინისტრაციულ პერსონალთან/პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ დაწესებულა ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებების კვლევას.

ინდიკატორი 4.2.1.1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამის ბიუჯეტს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული ზრდის პროგრამების დაფინანსებას. პერსონალის განვითარების ფარგლებში, კოლეჯი რეგულარულად მართავს ტრენინგებს, სემინარებს და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი უნარების შეძენას. ასევე, დაწესებულება თანამშრომლებს რთავს სსიპ „განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თუ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პერსონალის განვითარება წარმოადგენს, კოლეჯის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაღალ სტანდარტებსა და სტუდენტთა უკეთეს შედეგებს. კოლეჯი გუნდურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელზე მუშაობის დროსაც ყველა მონაწილე მხარე აიდენტიფიცირებს საჭიროებებს, რომლებიც გამოვლენილია მუშაობის პროცესში, ამის მიხედვით ხდება გეგმის შემუშავება. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად ატარებს, საჭიროებების კვლევას და მიღებულ მონაცემებს ითვალისწინებს მათი განვითარების კუთხით. აღნიშნული პროცესები ასევე, დასტურდება ტრენინგებზე დასწრების დამადასტურებელი დასწრების ფურცლებისა და წარმოდგენილი კვლევის შედეგების საფუძველზე. **ინდიკატორი4.2.1.2პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მუდმივად განვითარდნენ და სრულყოფდნენ თავიანთ პროფესიულ კომპეტენციებს. ეს პროცესები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემსახურება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. კოლეჯის პოლიტიკა ორიენტირებულია, უწყვეტ განვითარებასა და ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით, მასწავლებლებს რეგულარულად სთავაზობს ტრენინგებს, სემინარებსა და სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სწავლების თანამედროვე მეთოდების, ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკის ათვისებაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება, გარე ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, მაგალითად: სსიპ „განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ განვითრების აქტივობებში/ღონისძიებებში. ეს მათ აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ ახალი უნარები და გაიღრმავონ პროფესიული გამოცდილება. კოლეჯი, უზრუნველყოფს ყველა საჭირო პირობასა და რესურსს იმისთვის, რომ მასწავლებლების პროფესიული განვითარება იყოს უწყვეტი, მიზანმიმართული და პრაქტიკული უნარების განვითრებაზე ორიენტირებული. ტრენინგების გავლის შესახებ ინფორმაცია, ასახულია მასწავლებელთა რეზიუმეებში, სერტიფიკატები განთავსებულია მათ პირად საქმეებში, შიდა და გარე ტრენინგებში მონაწილეობა დასტურდება, როგორც დასწრების ფურცლებით, ისე სერტიფიკატებით. ასევე, დაწესებულებაში დანერგილია ურთიერთგაზიარების პრაქტიკაც, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ერთმანეთთან პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას, სწავლების, შეფასებისა თუ სხვადასხვა კომპეტენციების ნაწილში საჭირო ინფორმაციის გაცვლას. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ადმინისტრაციული პერსონალისგან შეუძლიათ, როგორც უკუკავშირის მიღება, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციის გავლა, მათთვის საინტერესო საკითხებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროცესების განხორციელების რეალისტურობა დასტურდება, პროფესიული მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. **ინდიკატორი 4.2.1.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში ახალი თანამშრომლების მისაღებად, განსაზღვრულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს მათ სწრაფ და ეფექტიან ინტეგრაციას ახალ გარემოსთან. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-14 მუხლის მიხედვით: ახალდანიშნული პერსონალის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალდანიშნული პერსონალის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, კოლეჯის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი წესების/რეგულაციების, პროცედურების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და კოლეჯის საზოგადოებაში ადაპტაციას. ახალდანიშნული პერსონალის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები საკუთარი კოპეტენციის ფარგლებში. ახალდანიშნული პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოსაცდელი პერიოდი, რომლის ფარგლებში მასთან დაიდება დროებითი ხელშეკრულება.

   სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ფარგლებში, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი ახალდანიშნულ პერსონალს აცნობს კოლეჯის მიზნებს, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ რეგულაციებს, პროცედურებსა და წესებს. გადასცემს, თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს, თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მის მიმართ, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და ახალდანიშნულ დასაქმებულთან ერთად განიხილავს იმ საჭირო ორიენტირებს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის.

   საჭიროების შემთხვევაში, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი და უშუალო ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი პერსონალისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ- ჩვევები/პრაქტიკული კომპეტენციები უნდა განივითაროს თანამშრომელმა. გამოსაცდელი ვადის არსებობის შემთხვევაში, ხდება დაკვირვება, თუ რაოდენ ეფექტიანად და ჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ საქმიანობას და ხორციელდება შეფასება წინასწარ განსაზღვრული წესით.

   ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სასწავლო პროცესის მენეჯერის პოზიციაზე იყო ახალდანიშნული თანამშრომელი, რომელმაც გასაუბრებისას აღნიშნა, რომ კოლეჯის თითეული თანამშრომელი ზრუნავს მისთვის მეგობრული და სასიამოვნო პროფესიული სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოს შექმნაზე. ამასთანავე, აღნიშნა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის საჭიროებათა კვლევას, რათა გაიგოს საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც მას საშუალებას აძლევს მარტივად ადაპტირდეს სამუშაო გარემოსთან და მხარდამჭერი ღონისძიებები დაიგეგმოს მისთვის პროფესიული განვითარების კუთხით. ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს კოლეჯს უზრუნველყოს სამუშაო პროცესში ახალი თანამშრომლების წარმატებული ინტეგრაცია და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობა.

კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებების შედეგად, დასტურდება, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას და ახალ თანამშრომლებისათვის უკეთესი სამუშაო გარემოსა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსების მიწოდებას. - **ინდიკატორი 4.2.1.4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებას პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილი აქვს წახალისების მექანიზმები. შეფასების შედეგების მიხედვით, პერსონალის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, კოლეჯი იყენებს შემდეგიდან ერთ ან რამდენიმე წახალისების ფორმას: მადლობის გამოცხადება; ფულადი ჯილდო (პრემია); ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ხელფასის მომატება; მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების გაქარწყლება და თანამდებობრივი დაწინაურება. წახალისების გამოყენების უფლება აქვს დირექტორს, რომელიც განსაზღვავს წახალისების სახეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში დანერგილია პრაქტიკა და თანამშრომელთა წახალისების მიზნით, გამოყენებული თანამშრომლის დაწინაურება და ერთი პოზიციიდან მეორე გადაყვანა, მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო(პრემია), როგორც ადმინისტრაციული პერსონალის ასევე, პროფესიული მასწავლებლების ნაწილშიც.

გარდა აღნიშნულისა, კოლეჯი სისტემატურად უჭერს მხარს და აძლიერებს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე. პერსონალის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ რეგულარულად ხორციელდება კვლევევები, რათა ეფექტურად განისაზღვროს, თუ რა მიმაერთულებით ესაჭიროება განვიტარება მათ. შესაბამისად, პერსონალისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დაწესებულება უზრუნველყოფს, მრავალფეროვან ღონისძიებებს, რომელთა შორისაა პროფესიული ტრენინგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სემინარები, კონფერენციები და სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიზანია თანამშრომელთა ცოდნის და უნარების გასაუმჯობესებლად, შესაბამისი რესურსების მიწოდება მათთვის. თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ღონისძიებებში, რათა განავითარონ თავიანთი პროფესიული გამოცდილება და შექმნან, ურთიერთობები სხვა პროფესიონალებთან. პერსონალის განვითარების ინიციატივები კოლეჯში მიღებული პრაქტიკის ნაწილს წარმოადგენენ, რაც არა მხოლოდ თანამშრომლების პროფესიულ ზრდას, არამედ კოლეჯის საერთო საქმიანობის გაუმჯობესებასაც უწყობს ხელს.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში წარმოდგენილი პროცედურების განხორციელება დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პერსონალთან გასაუბრების შედეგებით. - **ინდიკატორი 4.2.1.5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
2. კოლეჯის „შინაგანაწესი";
3. კოლეჯის დებულება;
4. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები;
5. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარის ანალიზი;
6. პერსონალის განვითარების ხელშეწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
8.ხარისხის მართვის მენეჯერის სამომქედო გეგმა.
9.შესაბამის პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება ფლობს ფართს-2022 წლის 26 ივლისს „უძრავი ქონების იჯარის“ ხელშეკრულებით. გათვალისწინებული იჯარის საგანი - არასაცხოვრებელი ფართი 755.94 კვ.მ. მდებარე; ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N°47- 49/ბოჭორმის №8.

საოფისე ფართი N33ა სართული1, 103.90 კვ.მ; საკადასტრო კოდი - 01.17.01.132.005.01.03.033ა; საოფისე ფართი N33ბ, სართული2, 103.90 კვ.მ.; საკადასტრო კოდი - 01.17.01.132.005.01.03.033ბ; სარდაფი N2ა, სართული -1 97.57 კვ.მ ; საკადასტრო კოდი - 01.17.01.132.005.01.04.002ა; საოფისე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფართი N33, სართული 0, 97.57 კვ.მ; საკადასტრო კოდი - 01.17.01.132.005.01.03.033; შენობა-ნაგებობა N4 ფართი 353.00 კვ.მ. ; საკადასტრო კოდი - 01.17.01.132.005 .04.500. იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაცემული აქვს 2033 წლის პირველ ოქტომბრამდე.

კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის დადგენილ მოთხოვნას, რომ საქმიანობა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. კოლეჯის სასწავლო გარემო არის უსაფრთხო, ადაპტირებული და კომფორტული, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. თანამედროვე ინფრასტრუქტურა და რესურსები სრულად შეესაბამება განათლების მიღებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებს. ინფრასტრუქტურა მოიცავს, ყველა აუცილებელ კომპონენტს:თანამედროვე ლაბორატორიებსა და პრაქტიკულ სივრცეებს;კეთილმოწყობილ სასწავლო ოთახებს;თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკასა და სხვა მოწყობილობებს, რომლებიც აუცილებელია სწავლების მაღალი ხარისხისთვის და სხვა. ყველა სივრცე აღჭურვილია საჭირო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ და ეფექტიან მიმდინარეობას. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს ინვესტირებას ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს განახლებაში. ეს პროცესი ორიენტირებულია, როგორც არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ისე მომავალი გამოწვევებისთვის მზადყოფნაზე. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა ხდება უწყვეტად და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლისთვის საჭირო საშუალებებს. მათი შერჩევა ეფუძნება კოლეჯის საგანმანათლებლო სტანდარტებს და თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებს, რომლებიც აუცილებელია დღევანდელ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი უნარების შესაძენად. კოლეჯი თვლის, რომ არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები არა მხოლოდ აკმაყოფილებს, არამედ ბევრ შემთხვევაში აღემატება მინიმალურ სტანდარტებს.

დაწესებულების ფართების აზომვითი ნახაზების ანალიზით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, იჯარის ხელშეკრულებით და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, შემდეგი ფართების არსებობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი. შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. - **ინდიკატორი 5.1.1.1.-ის, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომლის შესაბამისადაც კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი წვდომა სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცეებზე, როგორიცაა სასწავლო კლასები, ლაბორატორიები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკები და სხვა სერვისები. დაწესებულების მიერ დადგენილი წესები არეგულირებს ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე წვდომას, რათა უზრუნველყოს მათი გონივრული და შედეგიანი გამოყენება. კოლეჯი იღებს ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა სწავლებისთვის აუცილებელ რესურსებზე, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპეციალიზირებული აღჭურვილობის გამოყენებაზე. კოლეჯში ყველა სტუდენტი იყენებს საერთო სარგებლობის სივრცეებს, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა აქტივობების და სწავლების პროცესების საჭიროებებს. ამ სივრცეებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ ინდივიდუალურად ან ჯგუფში. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს რომ ინფრასტრუქტურისა და რესურსების გამოყენება იყოს კომფორტული და ხელმისაწვდომი ნებისმიერი სტუდენტისთვის, მათი პროფესიული პროგრამის მიხედვით. დაწესებულების მიზანია, შექმნას პირობები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების განვითარებასა და ხელსაყრელი გარემოს შექმნას მათი სწავლა-განვითარებისთვის. ამგვარად, კოლეჯი მუდმივად ახდენს ყველა არსებული ინფრასტრუქტურის და რესურსების გაუმჯობესებას, რათა მათთან წვდომა მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.

მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომა დასტურდება პროფესიულ სტუდენტების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევების ანგარიშებით, რომლის მიხედვითაც, მატერიალურ რესურსებზე წვდომა, საერთო სივრცეებითა და მატერიალური რესურსით შეუზღუდავი სარგებლობა დადებითადაა შეფასებული. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის-დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს შენობის შიდა და გარე სათავსების, ინვენტარისა და მატერიალური რესურსის დალაგების წესსა და სიხშირეს, დასუფთავების და ნარჩენების მართვის საკითხებს, საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვის საკითხს, ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირებისა და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დასაქმებულია 2 დასუფთავების სპეციალისტი, რომლებსაც დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ევალებათ, უზრუნველყონ დაწესებულებაში სისუფთავის და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვა, კერძოდ, განახორციელონ სასწავლო და სამუშაო ფართის დალაგება-დასუფთავება, უზრუნველყონ კოლეჯის ტერიტორიის, დამხმარე სათავსოების დალაგება-დასუფთავება, მათ შორის აღნიშნულ ფართში განლაგებული სპეციალური აღჭურვილობის სათანადოდ დასუფთავება და სხვა.

პროფესიულმა სტუდენტებმა და დაწესებულების პერსონალმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ კოლეჯში ყოველთვის დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, აღნიშნული მოსაზრება განმტკიცებულია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებითაც.

ინდიკატორი 5.1.1.3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცე, ასევე საერთო სარგებლობის სივრცეები, აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემაზე დაერთებული რადიატორებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ კომფორტულ ტემპერატურას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და მაღალი ხარისხის გარემოს შექმნას. ცენტრალური გათბობის სისტემა რეგულარულად ინსპექტირდება, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერ შესაძლო პრობლემა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს, როგორც სტუდენტების/მსმენელების, ისე თანამშრომლების კომფორტსა და ჯანმრთელობაზე. ამისთვის გამოიყენება თანამედროვე სისტემები, რომლებიც ეკონომიურად ეფექტური და გარემოზე სასარგებლოა. თავდაცვისთვის, რომ გაზის საავარიო გათიშვის შემთხვევაში დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმი კოლეჯს დამონტაჟებული აქვს ასევე ელექტროგამათბობლები, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ყოველწლიურად შესაბამისი სამსახური ამოწმებს მის უსაფრთხოებას, რაც დასტურდება შესაბამისი დასკვნით. შესაბამისად, ყველა სივრცეში ტემპერატურა რეგულირდება და ადაპტირდება, რათა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროცესების საჭიროებებს და მოხმარებისთვის რაც შეიძლება კომფორტული იყოს, რისთვისაც კოლეჯი დადგენილი სიხშირით ახორციელებს ტემპერატურის საკონტროლო გაზომვას ყველა სივრცეში. ამგვარად, კოლეჯი მუდმივად ადევნებს თვალს ცენტრალური გათბობის სისტემის მუშაობას და უზრუნველყოფს, რომ იგი ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად და ეფექტურად, რათა ყველა სტუდენტის/მსმენელის, თანამშრომლის , ვიზიტორის კომფორტი და ჯანმრთელობა იყოს დაცული.

ცენტრალური გათბობის არსებობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და კომუნალური გადასახადის დამადასტურებელი ქვითრებით.

- **ინდიკატორი 5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯის შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, მოიცავს როგორც კანონმდებლობის მოთხოვნებს, ისე შიდა პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს სისტემურ მიდგომას რისკების შეფასების, შესაბამისი ტრენინგების ჩატარებისა და აღჭურვილობის განახლებაში. დაწესებულება თანამშრომლობს ორ სერტიფიცირებულ კომპანიასთან და ჰყავს ორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ისინი ახორციელებენ რისკების შეფასებას: კომპანიები უზრუნველყოფენ საველე შეფასებებს და დეტალურ ანალიზს კოლეჯის სამუშაო გარემოში არსებული პოტენციური რისკების შესახებ. მათი დახმარებით, უზრუნველყოფენ რეაგირებას, როგორც საერთო, ასევე კონკრეტული სამუშაო გარემოს რისკებზე.

ყოველწლიურად ხდება მიღებული ანგარიშების განხილვა და რისკების შესწავლა, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილებები რისკების შემცირების და ახალი დაცვითი ზომების დანერგვაზე. კოლეჯი სისტემატიურად ატარებს ტრენინგებს თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების სფეროში. ტრენინგები მოიცავს შემდეგ თემებს:სამუშაო ადგილის უსაფრთხოება: როგორ უნდა მოიქცნენ თანამშრომლები სასწრაფო სიტუაციებში; პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება: ტრენინგი მოიცავს ყველა აუცილებელი აღჭურვილობის გამოყენების სწორ ტექნიკას; რისკების შეფასება და რეაგირება: რისკების დროული გამოვლენის და ანალიზის პროცესი; კრიზისული სიტუაციები: როგორ უნდა იქცეოდეს თანამშრომელი საპასუხო ღონისძიებების დროს.

კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ ყველა უსაფრთხოების აღჭურვილობა იყოს სათანადოდ შემოწმებული და განახლებული. ამ პროცესის განსახორციელებლად თანამშრომლობენ ამ ორი კომპანიის ტექნიკურ ჯგუფთან, რომლებიც: ამოწმებენ აღჭურვილობის მდგომარეობას: ყოველწლიურად ტარდება სრულყოფილი შემოწმება ყველა უსაფრთხოების აღჭურვილობის, მათ შორის საფეხურების, სიგნალების, პირადი დაცვის მოწყობილობების და სხვა საჭირო ინსტრუმენტების; პროაქტიული კონტროლი: რეგულარულად ახორციელებენ აღჭურვილობის პროფილაქტიკურ-ტექნიკურ მომსახურებას. კოლეჯი უზრუნველყოფს გამართულ საპასუხო სისტემებს შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში. თითოეული თანამშრომლისთვის ჩატარებულია ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც, გაეცნენ ყველა აუცილებელ პროტოკოლს, საგანაგებო სიტუაცებში მოქცევის წესებს და ა.შ.

კოლეჯი რიგი მექანიზმებით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს როგორც თანამშრომლების უსაფრთხოებას, ასევე ეფექტურ მუშაობას. ხელშეკრულებები სერტიფიცირებულ კომპანიებთან, მუდმივი რისკების შეფასება, პერიოდული ტრენინგები და აღჭურვილობის სისტემატური შემოწმება იძლევა მყარ საფუძველს იმისთვის, რომ დაწესებულებამ შეინარჩუნოს უსაფრთხო სამუშაო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები ჩატარებული ინსტრუქტაჟებისა და ტრენინგების შესახებ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობს საჭირო აქტივობები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მიზნით. **ინდიკატორი 5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯს დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომლის მიხედვითაც დაწესებულების საქმიანობის ადმინისტრირებისათვის/საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორი ან დაწესებულების მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, კოლეჯის ფინანსურ მენეჯერთან ერთად, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით. საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების (მომზადება-გადამზადების პროგრამების) განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის ნუსხას ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შესყიდვის მიზნით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს მოდულის(მომზადება-გადამზადების პროგრამების) დაწყებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. შესაძლებელია, მასალა-ნედლეული შესყიდულ იქნას სასწავლო პროცესის დაწყებამდე წელიწადში ერთხელ ან ნაწილობრივად მოხდეს მარაგის შევსება, რა დროსაც დაცული უნდა იქნეს მასალა- ნედლეულის შენახვის ვადები და პირობები.

მოდულისათვის(შედეგისთვის), რომლის პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე და პარტნიორი დაწესებულება თავად უზრუნველყოფს მასალა-ნედლეულით პროცესს, რაც ასახულია ხელშეკრულებაში, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას კოლეჯი არ ახორციელებს (გამონაკლისის არსებობის შემთხვევაში, შესყიდვა განხორციელდება კოლეჯის მიერ);

მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიაზე საამისოდ გამოყოფილ ადგილას. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის/პროგრამის განმახორციელებელი პირისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი უშუალოდ მოდულის/მომზადება - გადამზადების პროგრამის დაწყებამდე.პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება ნარჩენი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება(ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც აღირიცხება მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კონკრეტული მასალა-ნედლეულის შენახვის წესების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი პროცედურების შესაბამისად, შეისწავალა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაესაუბრა მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ფინანსურ მენეჯერს, რომლიტაც დადასტურდა, რომ კოლეჯში აღნიშნული პროცედურა მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 5.1.1.6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯს დამტკიცებული აქვს :ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ მარეგულირებელი დოკუმენტი,რომლის შესაბამისადაც დაწესებულება მუდმივად ახორციელებს მატერიალური რესურსების შეფასებას. კოლეჯმა წარმოადგინა შემუშავებული კითხვარის ფორმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერსებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კითხვარების ანალიზის შედეგებიდან და ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები. **ინდიკატორი 5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - დაკმაყოფილებულია.**

8. კოლეჯში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულების თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. კოლეჯში შშმ პირებისთვის მოწყობილია სპეციალური სანიტარული კვანძი. **ინდიკატორი 5.1.1.8.- კოლეჯში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. - დაკმაყოფილებულია.**

9. კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი და ბიბლიოთეკის სამკითხველო უზრუნველყოფილია, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების სისტემებით. რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზუალური დათვალიერებით. **ინდიკატორი 5.1.1.9. ყველა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - დაკმაყოფილებულია.

10. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზუალური დათვალიერებით, კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობა მოწყობილია ისე, რომ თითოეულ სივრცეს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, რაც ხელს უწყობს სივრცეების ოპტიმალურ გამოყენებას და რესურსების სწორ განაწილებას. - **ინდიკატორი 5.1.1.10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაკმაყოფილებულია.**

11. კოლეჯს დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის მიზანს, ფუნქციებს, სამუშაო განრიგს, სტრუქტურას, ადგენს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესს და აწესრიგებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ბიბლიოთეკაში დაცულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, ელექტრონული წიგნები, მხატვრული, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალები.ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი(სამი ბიბლიოთეკარია აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

სასწავლო ლიტერატურა პროფესიული სტუდნტებისთვის, პროფესიული მასწავლებლებისთვის და კოლეჯში დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე, ელექტრონული სახით კოლეჯის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის სექციაში. გარდა ამისა, პროგრამების ფარგლებში საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ჩაწერილია CD დისკებზე.

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

ვიზუალური დათვალიერებით, შესწავლილი დოკუმენტაციის, ბიბლიოთეკარებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს, საგანმანათლებლო რესურსების სრულყოფილად მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისათვის და ხელს უწყობს, ზოგადი, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის ხელმისაწვდომობას მათთვის. - **ინდიკატორი 5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები;
2.იჯარის ხელშეკრულება;
3. კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
4. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
5. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები (მასალებისა და ნედლეულის შეუფერხებლად მიწოდების ნაწილში);
7. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
8. კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება;
9. ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნი;
10. ბიბლიოთეკის მომხმარებლის გამოკითხვის შედეგები, საბიბლიოთეკო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაწილში;
11. ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები: ინვენტარიზაციის კომისია, ოქმები, აქტი;
12. მოხსენებითი ბარათი მატერიალური რესურსის მოთხოვნის შესახებ;
13. კვლევის შედეგები;
14.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;
15.პერსონალის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (სანიტარული კვანძების ხელმისაწვდომობის შეფასების ნაწილში);
16.კომუნალური გადასახადების ქვითრები;
17. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
18.ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
19. შრომის უსაფრთხოების კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება; ჩატარებული ინსტრუქტაჟების მტკიცებულებები(დასწრების ფურცლები/ჟურნალები)
20. პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
21.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს, რომელიც დაცულია, როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური უსაფრთხოების ზომებით. ყველა სივრცე აღჭურვილია შესაბამისი სიგნალებით, ევაკუაციის გეგმებით, პირველადი დახმარების ნაკრებითა და სხვა აუცილებელი უსაფრთხოების მოწყობილობებით. შენობებში განთავსებულია უსაფრთხოების ინსტრუქციები და გაფრთხილებები, რომლებიც დეტალურად განმარტავს საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესებს. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს უსაფრთხოების მდგომარეობის მონიტორინგს და ყოველწლიურად ატარებს დათვალიერებებსა და ინსპექტირებებს, რათა ყველა უსაფრთხოების ნორმა სრულად შეესაბამებოდეს სტანდარტებს. საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების ზომები ახლდება და უმჯობესდება.

კოლეჯი თანამშრომლებს უტარებს სისტემატურ ტრენინგებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარების გასაუმჯობესებლად. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები მაქსიმალურადაა ადაპტირებული კოლეჯის სპეციფიკაზე და მოიცავს როგორც სტუდენტების/მსმენელების, ისე პერსონალის უსაფრთხოებას.

კოლეჯის უსაფრთხოების ღონისძიებები დასტურდება შესაბამისი ექსპერტიზებით: შენობის უსაფრთხოების შესახებ – შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნის თანახმად, კოლეჯის მიერ დაკავებული ფართები (ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №47/49 და ბოჭორმის ქ. №8) აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, არ აღენიშნება კონსტრუქციული დეფორმაციები, მზიდი კონსტრუქციები მდგრადია და გათვალისწინებულია 8 ბალიანი სეისმური დატვირთვა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება – შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნის მიხედვით, დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის №370 დადგენილების მოთხოვნებს („სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ“). აღნიშნულ ბიუროს აკრედიტაცია მინიჭებული აქვს სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლილი დოკუმენტაციის, კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებითა და ვიზუალური დათვალიერებით საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“ მუდმივად ზრუნავს უსაფრთხოების ზომების დაცვაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რათა შექმნას ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელი და უსაფრთხო სასწავლო გარემო ყველასთვის. - **ინდიკატორი 5.1.2.1.-დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცედურებს. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას კოლეჯში ახორციელებს ექთანი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭირო პირველადი გადაუდებელი დახმარება გაუწიოს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც გადაუდებელი დახმარებას საჭიროებს. თუ სიტუაცია ექთნის კომპეტენციის ფარგლებს სცდება, იგი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას და იღებს შესაბამის ზომებს, რათა ჯანმრთელობის საფრთხე მინიმუმამდე იყოს შემცირებული. კოლეჯის ყველა სართულზე განლაგებულია და შესაბამისი აღმნიშვნელითაა მითითებული პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვეტარითა და მასალებით. სისტემატურად ხორციელდება ყუთების შემადგენლობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხდება შევსება. პირველადი დახმარების დროული უზრუნველყოფისათვის კოლეჯში თვალსაჩინო ადგილებზე არის გამოკრული ექთნისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების (112) საკონტაქტო ტელეფონების ნომრები, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს და სტუდენტებს/მსმენელებს სწრაფად მიიღონ დახმარება გადაუდებელ სიტუაციებში. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს უტარდება ყოველწლიურად. პირველადი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, ამ ფაქტის რეგისტრაცია ხდება სპეციალურ ჟურნალში. - **ინდიკატორი 5.1.2.2.-დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯმა წარადგინა წერილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე, რათა შეთანხმებულიყო გეგმა ახალ მისამართზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის №8.) აღნიშნულის პასუხად 2023 წლის 30 იანვრის №260413 კორესპონდენციით საგანგებო სიტუაციების სამსახურმა დაადასტურა გეგმის შესაბამისობა 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების მოთხოვნებთან. გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით, რასაც ადასტურებს, როგორც შეხვედრის დასწრების ფურცლები ასევე, გასაუბრება. - **ინდიკატორი 5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯს ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომლის ძირითადი მოვალეობები მოიცავს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას მთელი კოლეჯის ტერიტორიაზე. დაცვის თანამშრომელი პასუხისმგებელია შემდეგზე: არ დაუშვას კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა, რომლებსაც არ აქვთ საჭირო ნებართვა ან აკრედიტაცია, აწარმოოს კონტროლი კოლეჯის შესასვლელ-გამოსასვლელებზე, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი უსაფრთხოების შეუსაბამობა, არ დაუშვას კოლეჯის ტერიტორიაზე პირების შესვლა, რომლებიც აშკარად იმყოფებიან ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, არ დაუშვას შეიარაღებული პირების შესვლა კოლეჯის ტერიტორიაზე, თუ მათ არ გააჩნიათ სპეციალური ნებართვა, აღკვეთოს ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება კოლეჯის ტერიტორიაზე, მათ შორის თამბაქოს მოხმარება კანონმდებლობით აკრძალულ ადგილებში. იმ პირებს, რომლებიც ამ საშუალებებს მოიხმარენ, დაუყოვნებლივ მოუწევთ კოლეჯის ტერიტორიის დატოვება.

დაცვის თანამშრომელი მეთვალყურეობას უწევს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. დაცვის თანამშრომელი უფლებამოსილია, გამოიყენოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა ზომა წესრიგის დარღვევის შემთხვევაში. თუ სამართალდარღვევის ფაქტი ხდება, დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს იმისათვის, რომ სიტუაცია დროულად და სათანადოდ იქნას მოწესრიგებული.

კოლეჯი ყურადღებას აქცევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებს. დაცვის თანამშრომელი უზრუნველყოფს მათი კომფორტულ და შეუფერხებელ გადაადგილებას კოლეჯის ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს მათ, რათა არ შეექმნათ პრობლემა კოლეჯში შესვლის ან ტერიტორიის დატოვების დროს.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, რომელიც ვალდებულია განახორციელოს კოლეჯის მისამართზე: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის №8 პერიმეტრული და საგანგაშო სიგნალიზაციით დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს მისი შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობას. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. კოლეჯის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (ჩაწერის სისტემით) უზრუნველყოფს კოლეჯის გარე პერიმეტრის სრულად დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ვიდეო კონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია დაწესებულების მთელი ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილებზე. ვიდეოჩანაწერის ნახვის უფლება აქვს: დირექტორს, დაცვის თანამშრომელს/თანამშრომლებს, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერსა და შრომის უსაფრთოხების სპეციალისტს. კოლეჯს ადგილზე მუდმივად აქვს ნარკო და ალკო ტესტი, რომელსაც გამოიყენებს გონივრული ეჭვის შემთხვევაში. კოლეჯში ყველა უსაფრთხოების მექანიზმი და წესრიგის დაცვის პროცედურა სტრუქტურულად არის ორგანიზებული და ეფექტურად მუშაობს. დაცვა უზრუნველყოფს როგორც კოლეჯის უსაფრთხოებას, ასევე სტუდენტების და თანამშრომლების კეთილდღეობას, აღკვეთს ნებისმიერი სახის კანონდარღვევას და უზრუნველყოფს შეუფერხებელი პროცესების მიმდინარეობას. - **ინდიკატორი 5.1.2.4. - დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1.დაწესებულების შენობანაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;

3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

3.პირველადი გადაუდებელი დახმარების შემთხვევათა აღრიცხვის ჟურნალი;

4. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან;

5.საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ;

7. დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;

8. ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან;

10.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;

11.უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები;

12.დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;

13.დაცვის კომპანიათან გაფორმებული ხელშეკრულება;

14.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

15.შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიური აპარატურით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. კოლეჯში ფუნქციონირებს ორი სპეციალიზირებული კომპიუტერული კლასი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებსა და პედაგოგებს ტექნოლოგიური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების გამარტივებასა და პროცესების ოპტიმიზაციას. სასწავლო პროცესისათვის უზრუნველყოფილია, კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა – კოლეჯში არსებული კომპიუტერები ტექნიკური პარამეტრებით სრულად შეესაბამება ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო (Wi-Fi), ისე კაბელიანი ინტერნეტი.

კოლეჯი უზრუნველყოფს ვირუსებისა და კიბერუსაფრთხოების რისკების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, სწრაფ რეაგირებას. აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებით, მაღალხარისხიანი ეკრანებითა და სხვა სასწავლო ტექნიკით.

კოლეჯი მუდმივად ახორციელებს IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას. IT რისკების მართვის ფარგლებში, რეგულარულად ხდება სისტემური ანალიზი, ტექნიკური პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშობას უზრუნველყოფს IT სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს საჭიროების შესაბამის პროგრამების ჩაწერას კომპიუტერებში.

ასევე, დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 60 % მეტი სტუდენტი. ყოველწლიური კველევები ადასტურებს, რომ კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განვითარებისთვის საჭირო რესურსებს და სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ არსებული ტექნოლოგიებით. კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუდმივად ახორციელებს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლებას, რათა ის შესაბამისობაში იყოს როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების ტენდენციებთან. კოლეჯი მუდმივად ცდილობს, რომ მისი IT ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების ყველა პროცესს და მუდამ მზად იყოს ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ინოვაციების დანერგვისთვის. - **ინდიკატორი 5.2.1.1 - დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად, დაწესებულება რეგულარულად აფასებს IT ინფრასტრუქტურისა და პროცესების ეფექტიანობას. IT რისკების მართვა კოლეჯში მოიცავს: რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას – მათ შორის მონაცემთა დაცვის, სისტემების ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის დაკარგვის ან არასწორი გამოყენების და სხვა საფრთხეების ანალიზს. რისკების ზეგავლენისა და ალბათობის განსაზღვრას – შეფასდება, რამდენად დიდ გავლენას მოახდენს თითოეული რისკი კოლეჯის ფუნქციონირებაზე და რამდენად მაღალია მისი ხდომილების ალბათობა. პრიორიტეტების განსაზღვრას და რისკების მართვის გადაწყვეტილებების მიღებას – პასუხისმგებელი პირები იღებენ გადაწყვეტილებებს IT უსაფრთხოების დაცვისა და ოპერაციული პროცესების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ინფორმირებულობის ამაღლებას – თანამშრომლები და დაინტერესებული მხარეები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას IT რისკების მართვის სტატუსზე, უსაფრთხოების ზომებსა და მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკებზე. კოლეჯში მოქმედი რისკების მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის პრევენციას და შესაბამისი ზომების დროულ მიღებას. IT რისკების მართვა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის უწყვეტობის გარანტიაა, რაც ხელს უწყობს კოლეჯის ეფექტიან ფუნქციონირებას. სისტემური ანალიზი და რეგულარული შეფასება ხელს უწყობს როგორც ტექნიკური, ისე ოპერაციული რისკების დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას. კოლეჯი მუდმივად ავითარებს IT უსაფრთხოების მექანიზმებს და ხელს უწყობს სტრატეგიულად გამართულ და უსაფრთხო ციფრულ გარემოს, რომელიც პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

„მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ (მუხლი 8. საინფორმაიო ტექნოლოგიების შეფასება და IT რისკების მართვა) დოკუმენტით იდენტიფიცირებულია საფრთხეები და რისკები, მათი პრევენციული და აღმოფხვრის ღონისძიებები, ალტერანტიული შესაძლებლობები, რათა დაწესებულების ფუნდამენტური პროცესები წარიმართოს შეფერხების გარეშე ან უწყვეტ რეჟიმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს დასაქმებული ჰყავს ელექტრონული შეფასების IT მხარდაჭერის სპეციალისტი და IT სპეციალისტი, რომელთა სამუშაო აღწერილობებითაც განსაზღვრულია, ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება, მათ შორის რისკების მართვა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საჭიროების შესაბამისად, ატარებენ კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა ტრენინგს ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ. - **ინდიკატორი 5.2.1.2 დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებაში მოქმედებს შიდა პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლებიც მიმართულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების სრული დაცვაზე. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემები, რომლებიც მიიღება სტუდენტების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, ინახებოდეს და დამუშავდეს მხოლოდ კანონით დასაშვები და უსაფრთხო გზებით. პერსონალური მონაცემების დაცვა კოლეჯში მკაცრად რეგულირდება და პროცესების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (მათ შორის მიღება, შენახვა, გამოყენება და განადგურება) განხორციელებულია შესაბამისი ზომებით. მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების მექანიზმები მოიცავს, როგორც ტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ ზომებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობის კონტროლს, დაშვების პოლიტიკას და მჭიდრო მონიტორინგს. კოლეჯს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებაზე და ნებისმიერი შესაძლო დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირებაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მუდმივად განახორციელებს მონაცემთა დაცვის სისტემების მონიტორინგს, ატარებს ტრენინგებს თანამშრომლებისთვის და უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისობას. ამგვარად, კოლეჯი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალური მონაცემების დაცვას და უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის პროცესების სრულად კანონიერ და დაცულ რეჟიმში განხორციელებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურეზის გაწევის თაობაზე, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანია ააიპ „ბიზნეს საქართველო“-სთან, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მომსახურებას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის „მატერიალური რესურსების განკარგვის“ წესის შესაბამისად, სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს, როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა.

ამ შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა სისტემის ყველა ასპექტს, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტურობას, მონაცემთა მართვას და უსაფრთხოებას, აგრეთვე IT სისტემების კომფორტულობას და ხელმისაწვდომობას, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პედაგოგებისთვის. შეფასება ემყარება კონკრეტულ მაჩვენებლებს, როგორიცაა სისტემის პასუხისმგებლობის დრო, ტრანზაქციების სიჩქარე, სისტემის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება სისტემის გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს მუდმივ განვითარებას და ადაპტაციას კოლეჯის ზრდასთან და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასთან. კოლეჯი ასევე ასრულებს სისტემის ტრენინგებს თანამშრომლებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ ახალი ტექნოლოგიებისა და პროცესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია და მზაობა ეფექტურად გამოიყენონ ისინი. **ინდიკატორი 5.2.1.4 - პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას - დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება .ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშობას უზრუნველყოფს IT სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს, როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს საჭიროების შესაბამის პროგრამების ჩაწერას კომპიუტერებში. კოლეჯში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი და წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისასაც. - **ინდიკატორი 5.2.1.5 - პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯში ინფორმირების პროცესი მოიცავს: ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღებისა და სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის დროს ერთიანი საკომუნიკაციო ბაზის შევსებას. საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ეფექტიან ინფორმირებას. ოფიციალური საკომუნიკაციო არხის განსაზღვრას – თანამშრომლები და სტუდენტები რეგისტრაციისას ხელს აწერენ დოკუმენტზე, რომ კოლეჯსა და მათ შორის კომუნიკაციის ოფიციალური საშუალება მათი მითითებული ელექტრონული ფოსტაა. კოლეჯის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩათვლილი იქნება მიწოდებულად სტუდენტისთვის/თანამშრომლისთვის, გარდა შემთხვევებისა, როცა მათ კოლეჯს ახალი საკონტაქტო ინფორმაცია დროულად აცნობეს. ელექტრონული ფოსტის შეცვლის შემთხვევაში, პირი ვალდებულია, ეს ინფორმაცია კოლეჯს არაუგვიანეს ერთი დღის ვადაში მიაწოდოს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს/თანამშრომლებს შორის გამჭვირვალე და უწყვეტ კომუნიკაციას, რაც მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესებისა და ორგანიზაციული მართვის ეფექტურობისთვის.

დაწესებულება ასევე იყენებს, დახურული ონლაინ ჯგუფების სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფიდენციალურ და დაცულ კომუნიკაციას სტუდენტებსა და პერსონალს შორის. ამ ჯგუფებში მხოლოდ რეგისტრირებული წევრები შედიან და ისინი გამოიყენება, სხვადასხვა კომუნიკაციური მიზნებისთვის: სწავლების პროცესთან დაკავშირებული გაცნობები და ინფორმაციის გაზიარება. კოლეჯის ადმინისტრაციისა და სტუდენტების/თანამშრომლების შორის კომუნიკაციის გამარტივება. კონკრეტული ჯგუფის საჭიროებების შესაბამისი კონტენტის გამოქვეყნება (მაგ. საკონფერენციო შეტყობინებები, განრიგი, დამატებითი მასალები). საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა – სტუდენტები და პედაგოგები საერთო საკითხებზე შეთანხმებისთვის. ეს სისტემები, კომუნიკაციის სტანდარტებთან ერთად, ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობას, ამაღლებს კომუნიკაციის სისწრაფეს და აუმჯობესებს თანამშრომლობას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა. **ინდიკატორი 5.2.1.6 დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი";
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთები ს (კომპიუტერული ტექნიკა,პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი;
3.ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანგარიში, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა საგანმანათლებლო გარემოს, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით;
4. პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
5. ინტერნტერპროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
6.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
7.შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი", რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში დოკუმენტების მართვის და საქმისწარმოების ერთიან და სტანდარტულ პროცედურებს და უზრუნველყოფს პროცესების ეფექტურობას, გამჭვირვალობასა და კანონმორჩილებას. ამ წესით დოკუმენტბრუნვის სისტემა მოიცავს, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვას, მოძრაობას და უსაფრთხო შენახვას. კოლეჯში დოკუმენტების განლაგება და აღრიცხვა ხდება სხვადასხვა ცალკეულ ჟურნალში, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გულისხმობს, როგორც მიღებული, ისე გაგზავნილი დოკუმენტების რეგისტრაციას და სხვა. თითოეული დოკუმენტი განიხილება და აღირიცხება სპეციალურ ჟურნალებში, რაც უზრუნველყოფს მათ სრულად გაკონტროლებულ და სისტემატურ მართვას.

საქმისწარმოების წესით დადგენილია პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დოკუმენტების დროულად გაცნობას შესაბამის პირებთან და მათი შესრულების აქტების აღრიცხვას. ყველა მოქმედი დოკუმენტი, მათ შორის აქტები, დროულად ზიარდება კოლეჯის თანამშრომლებთან, რათა მათ დროულად მიიღონ ინფორმაცია, შესაბამისი ცვლილებების და სიახლეების შესახებ. ასევე, აღრიცხვის პროცედურები განსაზღვრავს დოკუმენტების განადგურების პროცესს. აღნიშნული პროცესი ხდება მხოლოდ შესაბამისი განადგურების ვადების შესაბამისად და სასურველია, სამართლებრივი დოკუმენტაციის ანალიზის და საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტების განადგურებამდე მათი გადამოწმება. კოლეჯი ამ მიდგომით უზრუნველყოფს, რომ საქმისწარმოების პროცედურები სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და შესაბამისი შიდა ინსტრუქციების მოთხოვნებს.

ინდიკატორი5.2.2.1 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯი საქმისწარმოების მიზნებისთვის იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემას, ,,eflow". საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას. კოლეჯის „საქმისწარმოების წესის"(დამტკიცებული შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით)თანახმად, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული (,,eflow") სისტემის საშუალებით და მატერიალური ფორმით (მუხლი 5 პუნქტი 5.1.); აღნიშნული წესის მეექვსე მუხლში გაწერილია, თუ როგორ იმიჯნება ელექტრონული და მატერიალური წარმოება. მეექვსე მუხლის თანახმად: პუნქტი 6.4.კოლეჯში ელექტრონული სახით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტები: ა) შემოსული და გასული კორესპონდენცია; ბ) დირექტორის ბრძანებები; გ) ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების განცხადებები (იგულისხმება განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) და სამუშაო პროცესთან დაკავშირებული სხვა განცხადებები; დ) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განცხადებები; ე) პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამსახურში მიღების განცხადებები და სამუშაო პროცესთან დაკავშირებული სხვა განცხადებები;

პუნქტი 6.5.კოლეჯში მატერიალური სახით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტები: ა) შიდა დოკუმენტაცია (მოხსენებითი ბარათები, სამსახურებრივი ბარათები, ანგარიშები და ა.შ); ბ) სამუშაო ჯგუფის/ადმინისტრაციის/პერსონალის სხდომის ოქმები; გ)პარტნიორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგნიზაციებთან/პირებთან/პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები; დ) აქტები; ე)პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების უწყისები; მოდულის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები; ვ) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები - დიპლომები; ზ) მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სერტიფიკატები; თ)საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან/არასრულწლოვანთა შემთხვევაში მათ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ი) ადმინისტრაციის თანამშრომელთა/დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებელი პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას გააჩნია, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Eflow, სასურველია კოლეჯმა საქმისწარმოება განახორციელოს სრულად ელექტრონულად. მაგალითად, დოკუმენტების შესწავლის პროცესში, გამოიკვეთა, რომ დაწესებულება დოკუმენტების უმეტესობას ატარებს ელექტრონულად, მაგრამ სასწავლო პროცესის მენჯერის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათი გატარებული იყო მხოლოდ მატერიალური სახით და eflow სისტემაში აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოცემულ ბრძანებას არ ჰქონდა საფუძვლად აღნიშნული დოკუმენტი. კოლეჯი საქმისწარმოების პროცესებს ახორციელებს დაწესებულების მოქმედი „საქმისწარმოების წესის“ ფარგლებში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ***განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ, დოკუმენტბრუნვის პროცედურები განახორციელოს სრულად ელექტრონულად, რადგან იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემას „eflow“.***

ინდიკატორი 5.2.2.2 - პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის - დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების პირობებს.

დაწესებულება ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და მასში ინფორმაციის ასახვის ვადები და პროცედურები, ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პასუხისმგებელ პირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეესტრში ასახული მონაცემებისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, ახდენს ინფორმაციის ასახვას ბაზაში. **ინდიკატორი 5.2.2.3.დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, რომელიც არეგულირებს დოკუმენტებისა და დავალებების შესრულებისა და ვადების კონტროლს. ამ წესით განსაზღვრულია, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის პროცედურები და შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დროულ და ზუსტ შესრულებას. კოლეჯში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობას უწევს, დოკუმენტაციის დროული დამუშავებისა და მიწოდების პროცესებს. კოლეჯი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, აწვდის ანგარიშებს და საჭირო ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. შესაბამისად, კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, დროულად უზრუნველყოფს უკუკავშირის დაბრუნებას, ინფორმაციის მიწოდებას შესაბამის უწყებებთან და აქტიურად თანამშრომლობს მათთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერს, ასევე გადამოწმდა საქმისწარმოების ელექტორნული სისტემა. ზემოთა აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.2.4.- პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულების საქმისწარმოების წესი;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. „eflow“ -სისტემის შემოწმების შედეგები;
4. პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
5. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
6.შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას გააჩნია, როგორც ოფიციალური ვებ-გვერდი, ასევე სოციალური ქსელის გვერდი, რომელთაც იყენებენ დაინტერებულ მხარეებთან კონუმიკაციის მიზნით.

ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კოლეჯის საქმიანობასთან, მის სტრუქტურასთან და საგანმანათლებლო პროგრამებთან.

ვებ-გვერდზე განთავსებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, სამოქმედო დასტრატეგიული გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები. ვებგვერდის სტრუქტურა მარტივი და ლოგიკური რუბრიკებით არის წარმოდგენილი, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს სწრაფად და მარტივად მიიღოს საჭირო ინფორმაცია. გარდა ამისა, ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი ატარებენ როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქციას. წარმოდგენილია, დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები. - **ინდიკატორი 5.2.3.1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის მისიაში დაკონკრეტებული არაა საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, თუმცა დაწესებულება გეგმავს ამ კუთხით განვითარებას, შესაბამისად უზრუნველყოფს ვებ-გვერდზე ინგლისურენოვანი ინფორმაციის განთავსებასაც. - **ინდიკატორი 5.2.3.2., დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მისი საქმიანობის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია იყოს მხოლოდ სანდო და უტყუარი. თითოეული ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში, მაქსიმალურად ასახავს დაწესებულების აქტივობებს, მიღწევებს, პარტნიორობებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ეს მონაცემები სრულად შეესაბამება რეალობას და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებითა და მტკიცებულებებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას და ავტორიტეტულობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანი მოიცავს, არა მხოლოდ ტექსტურ ინფორმაციას, არამედ ვიზუალურ ელემენტებს, როგორიცაა ფოტო და ვიდეომასალა, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო კომპლექსურად და გასაგებად იყოს გადმოცემული კოლეჯის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ამგვარი მასალები ბევრად უფრო ნათლად ასახავს კოლეჯის პროექტებს, ღონისძიებებს, პროფესიული სტუდენტების აქტივობებს და სხვა მნიშვნელოვან პროცესებს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უკეთ შეიგრძნოს და გაიგოს დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობა და მისი მიღწევები.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ თითოეული კონტენტი, რომელიც ქვეყნდება მის ვებგვერდსა და სოციალურ მედია პლატფორმებზე, იყოს სრულყოფილი, სანდო, დროული და ყველაზე მეტად სასარგებლო მის ცალკეულ აუდიტორიებთან. - **ინდიკატორი 5.2.3.3 კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები წლების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემების, კოლეჯის ისტორიის, მისი მიზნების, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი სერვისების, მოცემულია ფოტო კოლაჟი დაწესებულების ინფრასტრუქტურის შესახებ, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ, განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. - **ინდიკატორი 5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. - დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას, რაც უზრუნველყოფს აქტუალური და რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისთვის. ამის დასტურად, კოლეჯს ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამები წლების მიხედვით, რომელიც მოიცავს წლებს 2023, 2024,2025. კატალოგი ქვეყდნება ანკეტა-კითხვარების შევსებამდე დაახლოებით 2 თვით ადრე და ასახავს კოლეჯის აქტიურ საგანმანათლებლო შეთავაზებებს და განახლებულ ინფორმაციას. კატალოგებში ასახული ინფორმაცია სანდო და რელევნატურია - **ინდიკატორი 5.2.3.5დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის“ შესაბამისად, რომელიც კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. ამ წესის მიხედვით, კოლეჯი აქტიურად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ავრცელებს ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციას, ასევე, კოლეჯის პროგრამების განმახორციელებელი პირების და პერსონალის ცნობადობის ზრდას. დაწესებულება ორგანიზებას უწევს შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, უზრუნველყოფს შიდა კომუნიკაციას და გეგმარებას კულტურულ-შემოქმედებითი და ექსტრაკურიკულური აქტივობებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი აქტიურად მართავს ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია, აწყობილია პრესკონფერენციები, სემინარები და სხვა საჭირო ღონისძიებები. აგრეთვე, კოლეჯი ამზადებს და ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და თანამშრომლების ინფორმირებას, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან. დაწესებულება აქტიურად ეძებს პრაქტიკის კომპონენტების განმახორციელებელ კომპანიებს და აფორმებს მათთან მემორანდუმებს. ასევე, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა და პროფესიული სტუდენტების დასაქმებას, ხოლო ინფორმაციის გავრცელებისას ზუსტად იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნებს. კოლეჯი აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სანდო და არ გამოიწვიოს შეცდომაში შეყვანა.

დაწესებულების თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მისთვის მიწოდებულ სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი 5.2.3.6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი;
2.სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი;
3.დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
4.საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
5.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2023; 2024, 2025 წლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობა დაფინანსებულია სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსებით. ეს რესურსი ფარავს ძირითადი სასწავლო პროცესების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ტრენინგების, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების განხორციელებას. გარდა ძირითადი დაფინანსების წყაროსა, კოლეჯი ასევე ახორციელებს რიგ აქტივობებს, რომლებიც საჭიროებენ მინიმალურ დანახარჯებს. ასეთ აქტივობებში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის კოლეჯის პარტნიორებთან თანამშრომლობას. კოლეჯი აქტიურად აყალიბებს და აძლიერებს კავშირებს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ბიზნესებთან და სხვა პარტნიორებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას ზოგიერთი პროექტის განხორციელებისთვის მცირე ხარჯები გასწიოს. დაწესებულება უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას ეფექტურად მართული ფინანსური რესურსებით. ძირითადი წყარო მაინც სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადია, თუმცა დამატებით აქტივობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს მინიმალური დანახარჯებით და პარტნიორების ჩართულობით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ხარჯების ოპტიმიზაციას და მდგრადი განვითარების გზაზე კოლეჯს ახალ შესაძლებლობებს აძლევს.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის სტრატეგიული და 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და ამ ხარჯების კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინების საკითხი. დამტკიცებული ბიუჯეტის შესწავლით, დაწესებულების თვითშეფასების დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულების დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, დგება შესყიდვების წლიური გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელება.

ინდიკატორი 5.3.1.1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. - დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯში საოპერაციო ხარჯების დაფარვა სრულად უზრუნველყოფილია წინასწარ დაგეგმილი ფინანსური რესურსებით. ფინანსური მენეჯმენტი ეფუძნება ეფექტურ დაგეგმვასა და სტრატეგიულ მიდგომას, რაც საშუალებას იძლევა ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა სახის აუცილებელი ხარჯები მუდმივად დაფაროს დაწესებულებამ. ბიუჯეტი შედგება ისე, რომ ყველა მიმდინარე და მოსალოდნელი საჭიროება გათვალისწინებული იყოს, ხოლო ფინანსური რეზერვების შექმნა დამატებით გარანტიას იძლევა, მათი საქმიანობის უწყვეტობისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური რესურსების რაციონალურ და მიზნობრივ გამოყენებას. ეს კოლეჯს აძლევს საშუალებას, რომ ყოველდღიური ოპერაციები განხორციელდეს შეუფერხებლად, ხოლო საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი და სტრუქტურული მდგრადობა იყოს დაცული. ფინანსური დაგეგმვა და კონტროლი ხორციელდება მკაფიო მექანიზმებით: რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება. მიღებული ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხელმძღვანელობა იღებს შედეგზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების სწორ განაწილებას და ოპერაციული ხარჯების დროულ დაფარვას. ამგვარი მიდგომით კოლეჯი ინარჩუნებს სტაბილურ ფინანსურ გარემოს, რაც პირდაპირ აისახება, როგორც საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობაზე, ისე სტრატეგიულ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სხვადასხვა მომსახურების, ინვენტარის შესყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. ასევე საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებისთვის საჭირო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. **ინდიკატორი 5.3.1.2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით; - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი სრულად ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნებს. შესაბამისი ანგარიშები სისტემატურად განთავსდება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ პორტალზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და საჯაროობას. ამასთან, კოლეჯი რეგულარულად იკვლევს და აანალიზებს დაფინანსების დინამიკას, რითაც შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მომდევნო წლების ფინანსური ტენდენციები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ბიუჯეტური გეგმების კორექტირება და შეიმუშაოს პრაქტიკული და ეფექტიანი სამოქმედო ნაბიჯები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ფინანსურ მენეჯერსა და დირექტორს. ასევე, გადამოწმდა, ბიუჯეტის ზრდის დინამიკის ბიუჯეტი წლების მიხედვით. - **ინდიკატორი 5.3.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯი საკუთარ ვებგვერდზე სისტემატურად აქვეყნებს როგორც სამოქმედო გეგმებს, ისე მათი შესრულების ანგარიშებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეების დროულად ინფორმირებას. ყოველწლიურად მომზადებული ანგარიშების საფუძველზე ტარდება ფინანსური შესაძლებლობების რეალისტური ანალიზი, რომლის შედეგებიც გამოიყენება მომდევნო წლის გეგმების დასაგეგმად. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის სტაბილურობას და ხელს უწყობს აქტივობების ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორი 5.3.1.4. - დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2.ფინანსური რესურსების განკარგვის წესი;
3.შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია.
4. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
5. ბიუჯეტის ზრდის დინამიკა, წლების მიხედვით;
6. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 04 მარტის #15 ბრძანება, ბოლო ცვლილება - 2025 წლის 27 სექტემბერი # 80 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	56
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის მართვის მენჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ემსახურება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური ფინანსური სპეციალისტების მომზადებას. აღნიშნული პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომელიც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის მხარდაჭერას. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზისა და განათლების სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ფინანსური სერვისების სპეციალისტების მომზადებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა: კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისათვის პროფესიული უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადება, მათი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა. „საფინანსო სერვისების“ პროგრამა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რაც აისახება პროფესიული სტუდენტების რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული გამოცდილების მიღების მექანიზმებში.

სწავლისა და სამუშაო გარემოს განვითარება: კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც მოიცავს შესაბამის ინფრასტრუქტურას, აღჭურვილობას, თანამედროვე სასწავლო მასალებსა და ტექნოლოგიებს. ზემოაღნიშნული ფაქტორები ადასტურებს, რომ კოლეჯი სრულად შეესაბამება მოცემულ ინდიკატორს და მის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება კარგად დასაბუთებულ, მიზანმიმართულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარებას და კვალიფიციური ფინანსური სერვისების სპეციალისტების მომზადებას.

ინდიკატორი 2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “საფინანსო სერვისების“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას და ამავე დროს სტუდენტი უნდა იყოს არანაკლებ 17 წლის.

საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

„საფინანსო სერვისები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს მხოლოდ იმ აპლიკანტების მიღებას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება, რაც აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სასწავლო შედეგების დროულად მიღწევისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრების წარმატებით გავლა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მზადყოფნას პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოსთან.

პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება როგორც დარგობრივ, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის სტანდარტს.

ამრიგად, „საფინანსო სერვისები“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები სრულ შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან და უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო პროცესის ეფექტიანად ათვისება და სასწავლო მიზნების მიღწევა განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

3. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ . საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათ შორის პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ . პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებს.

მეთოდოლოგიაში დეტალურად არის გაწერილი თუ რა ასპექტებს ითვალისწინებს სასწავლებელი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლისას მხედველობაში იქნა მიღებული სწავლების ინტენსივობა, პროგრამის სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტების რესურსები და სხვა ფაქტორები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის “საფინანსო სერვისები“ განკუთვნილია AB სასწავლო გარემო (აუდიტორია N.16.), რომელიც მოწყობილია 28 სტუდენტზე, სწავლა მიმდინარეობს ცვლებში, რაც საშუალებას იძლევა, ამ სივრცეში გატარდეს ორ ცვლაში 56 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული კვოტები გათვალისწინებულია პარტნიორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკიატორი 2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კოლეჯის საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის მიხედვით დადგენილი შედეგების მიღწევას. კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო გარემოს, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, რაც აუცილებელია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. სასწავლო გარემო (AB სივრცე) გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის.

გარემო გათვლილია 28 სტუდენტზე, რომლებიც ორ ცვლაში სწავლობენ (პროგრამაზე სულ 56 პროფ. სტუდენტი). თითოეულ სტუდენტს აქვს შესაბამისი სამუშაო ადგილი, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხსა და ეფექტურობას.

საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 04 მარტის #15 ბრძანება

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, კოლეჯის დებულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საფინანსო სერვისები“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. მოცემული პროგრამა მოიცავს ზოგად და სავალდებულო მოდულებს, ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.
მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 52 კრედიტია. პროგრამა მოიცავს 6 ზოგადი მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 67 კრედიტია

ინდიკატორი 2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია;
2. დაწესებულების მისია;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ სასწავლო გეგმა - პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მოდულები;
8. კოლეჯის დებულება;
9. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია N 16 (A,B), რომელიც აღჭურვილია 28 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 28 ც; სადაც ჩატვირთულია საბანკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის “Alta” დემო ვერსია. აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი; განთავსებულია აგრეთვე, 1 დაფა; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); ხმის აუდიო მოწყობილობა; გამომთვლელი 28 ც; ფულის სათვლელი მანქანა 1 ც; ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი 1 ც; ბანდეროლის მულაჟი 28 ც; ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟები; შტამპები; საინკასაციო ჩანთის მულაჟი 2 ც; ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი და სხვ. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ განაახლა პროგრამისთვის განკუთვნილი ტექნიკა, შეიძინა უფრო თანამედროვე მოწყობილობები, შესაბამისად წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას.

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სს. გუდვილი-56 პროფესიულ სტუდენტზე
- ლიბერთი ბანკი-56 პროფესიულ სტუდენტზე
- მისო „ლენდაფი – 56 პროფესიულ სტუდენტზე

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კომპანიები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებაში სულ ჩართულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 14 - პროფესიული მოდულების და 2 ქართული ენის განმახორციელებელი პირი. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემები, სადაც ასახულია კონკრეტული მასწავლებლების სრული დატვირთვა სასწავლო წლის მანძილზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები - საათების განაწილება კვირეების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;-დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის მიმართ პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: უმაღლესი/პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და შესაბამისი გამოცდილებით. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესისა და პროგრამის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დარგობრივი კომპეტენციის ყველა მოთხოვნას. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ახლავს სამუშაო აღწერილობა. ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისა და განვითარების პროცესში, კოორდინაციას უწევს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას, აფასებს პროგრამას დარგის სპეციფიკის, საგანმანათლებლო რესურსების საკმარისობისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით. იგი მუდმივად თანამშრომლობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებთან.

ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;-დაკმაყოფილებულია.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ასევე აღსანიშნავია, ბიბლიოთეკაში დაწესებულების მიერ (მათი ხარჯებით) დაბეჭდილი წიგნები მოდულებში არსებული სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა ავტორებიც მათი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს გაუმარტივებს სწავლის პროცესს და სახელმძღვანელოები ადაპტირებული იქნება კონკრეტული მოდულების შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურა, რომელიც „საფინანსო სერვისების“ პროგრამის ფარგლებში შექმნა დაწესებულების პროფესიულმა მასწავლებლებმა არის: „სერვის პლუსი“ ;ავტორი ლაშა გაბისონია. ეს არის დამხმარე სახელმძღვანელო „საფინანსო სერვისების“ პროგრამის სტუდენტებისათვის ;2025.

სახელმძღვანელო მორგებულია შესაბამის მოდულზე და ის კოლეჯმა საკუთარი სახსრებით გამოსცა.

ინდიკატორი 2.2.1.5. 5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის თანახმად სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.

7. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 14 პროფესიული სტუდენტით(ერთი ჯგუფის ფარგლებში), პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის გადასახადი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლის პირობებშიც პროგრამის რენტაბელობა(ერთ ჯგუფზე) არის 14 სტუდენტი და აღნიშნული ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. რომლის პირობებშიც პროგრამის რენტაბელობა(ერთ ჯგუფზე) არის 12 სტუდენტი და უზრუნველყოფილია.

ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ თანდართული დოკუმენტაციით;
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #120, 24.12.2021) და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მონიტორინგის, განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება #120, 24.12.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ეს აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

დაწესებულების პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ინდიკატორი 2.3.1.1. -პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

2. გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლის ვადები.

ინდიკატორი 2.3.1.2. - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მონიტორინგის, განვითარების მეთოდოლოგია;
3. კვლევის ანგარიშები (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევების შესახებ);
4. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რასაც ცხადყოფს დაწესებულების მიერ ცენტრის მეშვეობით გამოგზავნილი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განხორციელების განრიგი/ვადები. პროგრამის კომპონენტები, სწავლის შედეგების შინაარსისა და მათი სირთულის მიხედვით, ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა დაგეგმილი.

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის პერიოდი.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.

დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;-დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.

5. კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სს. გუდვილი-56 პროფესიულ სტუდენტზე
- ლიბერთი ბანკი-56 პროფესიულ სტუდენტზე
- მიკრსოსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდაფი – 56 პროფესიულ სტუდენტზე

მოცემული დოკუმენტები ითვალისწინებს მხარეთა ჩართულობას პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესებში. ამავე დროს საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების ჩატარებას. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტი პასუხისმგებლობას იღებს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ტექნიკური აღჭურვილობა და სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი.

ვიზიტის დროს, შედგა დისტანციური გასაუბრება ლიბერთი ბანკის წარმომადგენელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტები განაწილდებიან ლიბერთი ბანკის სხვადასხვა ფილიალში და გაეცნობიან რეალურ გარემოში კლიენტებთან ურთიერთობის კომუნიკაციის თავისებურებებს, აგრეთვე სხვადასხვა განყოფილების მუშაობის სპეციფიკას. წარმატებულ სტუდენტებს გაეწევათ რეკომენდაცია ბანკში დასაქმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისთვის განსაკუთრებული უსაფრთხოების მოთხოვნები არაა დადგენილი. სასწავლო გარემოზე ვრცელდება სტანდარტული უსაფრთხოების წესები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.4.1.6. - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“
2. სასწავლო გეგმები;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
5. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება ორი კვირით.

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს.

კოლეჯის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: ,,დამწყები" პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა.

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახოციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები" ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2024-2025 სასწავლო წელს, დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.4.2.2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი აწარმოებს უწყისების სარეგისტრაციო ჟურნალს. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება (შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით) სწავლის პროცესის შეფასებაა და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება. პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს.

ინდიკატორი 2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.-დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
2. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
3. პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
4. ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის № 36 ბრძანება ბოლო ცვლილება - 2025 წლის 27 სექტემბრის N 80 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	46
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება
.....
.....
.....

პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები
2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება
2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის # 120 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის შესწავლას, შეხვედრებს სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან და პარტნიორებთან, რესურსების ანალიზს, ადმინისტრაციასთან კონსულტაციებს და სხვა საჭირო აქტივობებს. პროფესიული პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ინიციატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლები და სხვა.

სამუშაო ჯგუფს ევალება შეისწავლოს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, განსაზღვროს პროგრამის სახელწოდება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/ პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, განახორციელოს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირება და განსაზღვროს საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის არჩევითი მოდულ(ებ)ი (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას), მოიძიოს და განახორციელოს წინასწარი შეთანხმება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მას შემდეგ რაც განისაზღვრება/შეირჩევა პროფესიული მასწავლებელი/განმახორციელებელი პირი ამა თუ იმ მოდულისათვის/შედეგისათვის, ჯგუფი უფლებამოსილია იგი ჩართოს პროგრამის შემუშავების ჯგუფში. სამუშაო ჯგუფი ასევე ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროგრამ(ებ)ის საბოლოო პროექტ(ებ)ს, მონიტორინგის მიზნით, ეცნობა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქცია ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, დადგენილ ვადაში განსახილველად/დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი, გენდერული და რეგიონული ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. აღნიშნული წყაროები ადასტურებენ, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებობს როგორც მიმდინარე, ასევე პროგნოზირებადი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა განვითარებასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“. ეს მიგნებები ხაზგასმით უსვამს პროგრამის მნიშვნელობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობაში და კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში.

კოლეჯის მისიაა: თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - **ინდიკატორი 2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ტესტირება, რომელიც უზუნველკყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტასა და აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის” თანახმად, კოლეჯი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს : სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, სასწავლო გარემოს ფართს, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ინვენტარსა და აღჭურვილობას, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობებს, საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას, საგანმანათლებლო რესურს და სხვა. გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.

4.კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

ინდიკატორი 2.1.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის N 36 ბრძანებით (ცვლილება: 30.12.2022წ. N84; 27.09.2025წ. N 80). დაწესებულების დებულების მუხლი 7 (პუნქტი 7.3.5.) და „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. - დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „აღმზრდელი“ პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.
დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *კოლეჯის მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარების გეგმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი"*
3. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;*
4. *„ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია;*
5. *გასაუბრება;*

შეფასება:

☒**შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით
1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

AC სასწავლო გარემო (№21), სადაც განთავსებულია პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი ფლეშ-მეხსიერება 1 ცალი; სტუდენტის მაგიდა- სკამი 23 პირზე; დაფა -1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი; ხმის აუდიო მოწყობილობა;მონიტორი, კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); პროგრამისთვის განკუთვნილი ვიზუალური თვალსაჩინოებები. - B სასწავლო გარემო - შერჩეულია აუდიტორია, სადაც განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 23 ცალი; ფლეშმეხსიერება 1 ცალი; სკამი-23 ცალი; დაფა-1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი).

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი" ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება". პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს ბაგა -ბაღი ,,ნეევერლენდთან" ოთხი ფილიალი - 44 პროფესიულ სტუდენტზე, შპს „ერუდიტებთან" - 40 პროფესიულ სტუდენტზე, თბილისის 45-ე ბაგა-ბაღთან - 40 პროფესიულ სტუდენტზე და თბილისის 20-ე ბაგა-ბაღთან- 46 პროფესიულ სტუდენტზე.

ხელშეკრულების თანახმად, თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელი" პროფესიული/დარგობრივი მოდულ(ებ)ის პრაქტიკული კომპონენტის და მოთხოვნის შემთხვევაში თეორიული კომპონენტის განხორციელებით. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების წარმართვა მოხდება კომპანიის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით. პარტნიორი ორგანიზაციის გადაწყვეტილებითა და საჭიროების მიხედვით მოხდება, არსებულ ვაკანსიებზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტების (ან/და კურსადამთავრებულების) დასაქმების ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება გარდა ამ ორი მოდულისა, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, პრაქტიკული უნარების გასავითარებლად აპირებს მოდულის „დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ გატანას, რაც შესაძლებლობას მისცემს კკოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, რეალურ გარემოში, ბავშვებზე უშუალო დაკვირვებით აწარმოონ ბავშვზე დაკვირვების ცხრილები და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით შეაფასონ იგი.

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ერთ–ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა–ბაღი ექვს ჯგუფიანია, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, დააკვირდნენ სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობა მიიღონ დღის განრიგის, კვირის გეგმებისა და ბავშვთა დაკვირვება შეფასების ფორმების შევსებაში, მათ საშუალება ექნებათ ასევე დამოუკიდებლად დაგეგმონ აქტივობები და დაწესებულების პერსონალის დახმარებით, წარმოადგინონ პრეზენტაცია გავლილი თემის ირგვლივ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ **ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 27 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 16 პროფესიული მოდულის, 8 ზოგადი და 3 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელების კომპეტენციაც აქვს კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

ექსპერტები გაესაუბრენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის ასევე პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შესწავლის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

დასტურდება, რომ **ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (02.12.2024წ. #01–06/39). პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება რომ **ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 ლეპტოპი, 1 პერსონალური კომპიუტერი და 1 ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, ბიბლიოთეკაში დაწესებულების მიერ (მათი ხარჯებით) დაბეჭდილი წიგნები მოდულებში არსებული სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა ავტორებიც მათი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს გაუმარტივებს სწავლის პროცესს და სახელმძღვანელოები ადაპტირებული იქნება კონკრეტული მოდულების შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურა, რომელიც „აღმზრდელი“ პროგრამის ფარგლებში შექმნა დაწესებულების პროფესიულმა მასწავლებლებმა არის:„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ; ავტორები: ია იაკობიძე, ხატია ლაშქარაშვილი; დამხმარე სახელმძრვანელო აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის; 2025.

სახელმძღვანელო მორგებულია შესაბამის მოდულზე, რომელიც კოლეჯმა საკუთარი სახსრებით გამოსცა.

არნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება **რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯის “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი” მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის 76 მუხლის თანახმად კოლეჯი ზრუნავს სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - „სსსმ“), მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - „შშმ“) სტუდენტებისთვის, მათ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი და კომფორტული სასწავლო და ფიზიკური გარემოს შექმაზე, რისთვისაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას სხვადასხვა ადაპტაციის მექანიზმებით, გამოავლენს აკომოდიციის/მოდიფიკაციის საჭიროებებს და ქმნის ადეკვატური სასწავლო მასალას/გარემოს ადაპტირებული/დამატებითი სასწავლო/მატერუალური რესურსის მობილიზებით. სსსმ სტუდენტისთვის ადეკვატური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს საჭიროებებს მორგებულ სასწავლო პროცესის შეთავაზებას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებით, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის სასწავლო პროცესში ეფექტიანად ჩართვის ან დაბრუნების ინსტრუმენტს და რომლის შედგენის პროცესში ჩართულია სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი და რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით განამხორციელებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო პროცესის მენეჯერის წარდგინებით.

შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით, დაცვის თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს პირის კონსულტაციას და დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარის მიერ პირისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 13 პროფესიულ სტუდენტზე ერთი ჯგუფის ფარგლებში. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების ანაზღაურება 2. მოდულებით გათვალისწინებული სახარჯი მასალა-ნედლეული 3. პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების განხორციელების (ბაზის მომსახურების) ხარჯი 4. პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განვითარების ხარჯი (ბიბლიოთეკა) 5. პროფესიული განათლების მასწავლებელის განვითარების ხარჯი 6. ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება 7. კომუნალური ხარჯი 8. საიჯარო ხარჯი 8. კომუნიკაციის ხარჯი 9. სამეურნეო ხარჯი (შენობის მოვლა, სანიტარული ჰიგიენის დაცვის საშუალებები, წვრილმანი ელ. საქონელი ოფისისთვის, დაზიანებული ინვენტარის შესაკეთებელი მასალები, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა და სხვა) 10. სხვა საერთო ხარჯი (სტუდენტთა/პერსონალის მხარდაჭერის ღონისძიებების/ინიციატივების მხარდაჭრის ხარჯი, წარმომადგენლობითი, პროფორიენტაციის, ექსტრაკურიკულური ღონისძიებები და სხვა) შესაბამისად დასტურდება, რომ **ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/ შრომითი ხელშეკრულებები;
3. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
4. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
6. “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
7. პროგრამის ბიუჯეტი;
8. გასაუბრება;
9. ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒**შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, რეგულარულად ხდება შრომის ბაზრის შესწავლა და შეფასება, რათა უზრუნველყოს დაწესებულებამ, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებდეს მიმდინარე მოთხოვნებს.

კოლეჯი მუდამ თვალს ადევნებს სხვადასხვა კვლევებს, ასევე თავადაც ახორვიელებს დამსაქმებლების კვლევას. შედეგები გამოიყენება პროგრამის შეფასებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების მომზადება შესაბამისად მიმდინარე ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს: კითხვარები და უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან, შეფასების პროცესში გამოიყენება შემუშავებული კითხვარები, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებას. აღნიშნული კითხვარები ყოველწლიურად ახლდება და მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ კითხვებს, ასევე ღია პუნქტებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, გამოავლინონ გამოწვევები და წარმატებები. კოლეჯი ავსებს პროგრამის შეფასების ფორმას, რაც საშუალებას იძლევა, აკონტროლონ გამოცხადებული ადგილებისა და დარეგისტრირებული აპლიკანტების თანაფარდობა, სტუდენტების გადინება, დასაქმების მაჩვენებელი და სხვა პარამეტრები რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისათვის. შესაძლებელია, პროგრამაში ცვლილებები განხორციელდეს სტანდარტის ცვლილებების შემთხვევაშიც შესაბამისობაში მოსვლის კუთხით. ან განმახორციელებელთა ინიცირებით შეიცვალოს სასწავლო რესურსი, შეიცვალოს შეფასების დრო.

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია სისტემატური შეფასებით და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებით. კონკრეტულად: კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარე შეფასებებს. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა წყაროები: სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის შეფასების შედეგები და სხვა. შემოწმება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:როგორ ახერხებენ სტუდენტები სასწავლო მიზნების მიღწევას, შედეგების დადასტურებას,რა პრობლემები და გამოწვევები აქვთ; თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი,შესაბამისია თუ არა რესურსები და სხვა; რა მუშაობს ეფექტურად და რა შეიძლება გაუმჯობესდეს; რომელ ასპექტებში უნდა მოხდეს ცვლილებები ან დამატებითი რესურსების დანერგვა; პროგრამის მიმართულებები, სადაც საჭიროა ახალი მიდგომების, მეთოდების ან მასალების გამოყენება; რამდენად შეესაბამება პროგრამა საგანმანათლებლო მიზნებს და რა შესაძლებლობებს იძლევა ეს მომავალ პროფესიაში. მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე, პსდ იღებს გადაწყვეტილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად, რომელიც მიმდინარეობს კოლეჯის მიერ განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. მაგალითად, შეიძლება განხორციელდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვა, სასწავლო პროცესის ორგანიზების ცვლილება, რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და პერსონალთან გასაუბრების შედეგებით.

ინდიკატორი 2.3.1.2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3.პროგრამის შეფასების ფორმა
4.გამოკითხვის შედეგები;
5.პროგრამის ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6.ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

[redacted]**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას
1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზეც. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვა საკითხების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი , რაც გულისხმობს თანამშრომლობას ასოციაციაში შემავალ კოლეჯებთან. პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადადასტურებენ დაწესებულების მაქსიმალურ მხარდაჭერას მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნავენ, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. თითოეულ მოდულში დეტალურადაა აღწერილი სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სისტემურობას. დარგობრივი ტექნოლოგიების ინტეგრაციას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც მუდმივად ეცნობიან სიახლეებს, ითვისებენ მათ და სტუდენტებს აწვდიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას. სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მაქსიმალურად სრულფასოვან ორგანიზებას. ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების ინტეგრირება ხელს უწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და ქმნის მათ პროფესიული განვითარების მყარ საფუძველს.

ზემოთაღნიშნული გარემოებები დასტურდება, ვიზუალური დათვალიერებითა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ინდივიდუალური გეგმის შედგენა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება; ასევე, როდესაც ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო სტუდენტს დროებით ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმი. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება სავალდებულო ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ასევე — ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ეს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი. ამავე მუხლი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დეტალურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.

5. „აღმზრდელის“ პროგრამა სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ორგანიზება ხდება კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმებები განსაზღვრავს თანამშრომლობის მიზნებს, მხარეთა ვალდებულებებს, პრაქტიკის განხორციელების კონკრეტულ დეტალებსა და ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობას. პრაქტიკის პროცესში პროფესიული სტუდენტები უშუალოდ ეცნობიან სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაციული მოწყობის პრინციპებს და მუშაობენ რეალურ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების სრულფასოვან მიღწევას. ხელშეკრულებები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ მოთხოვნას. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პროგრამს ფარგლებში შემდეგ დაწესებულებებთან: • შპს ბაგა -ბაღი ,,ნევერლენდ“ ოთხი ფილიალი - 44 პროფესიულ სტუდენტზე • შპს „ერუდიტები“ - 40 პროფესიულ სტუდენტზე • თბილისის 45-ე ბაგა-ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე თბილისის 20-ე ბაგა-ბაღი - 46 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან და ყველანაირ პირობებს უქმნის პროფესიულ სტუდენტებს რეალურ გარემოში დაადასტურონ და გამოიყენონ ცოდნა და უნარები, რომელსაც მათ კოლეჯი სთავაზობს.

ინდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკის პროცესში. კოლეჯში შემუშავებული და დამტკიცებულია სპეციალური უსაფრთხოების რეგულაციები, რომლებიც გამოკრულია სასწავლო სივრცეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაჩინო ადგილას. პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები, რაც მათ საშუალებას აძლევს უსაფრთხოების წესები პრაქტიკაში სრულად დაიცვან. პარტნიორ სამედიცინო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებს. პარტნიორი დაწესებულებები ვალდებულნი არიან სტუდენტთა პრაქტიკისას შექმნან უსაფრთხო სამუშაო გარემო, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგლამენტებით დადგენილი ნორმები და უზრუნველყონ საჭირო ინსტრუქტაჟები. კოლეჯი, თავის მხრივ, მუდმივად აკონტროლებს ხელშეკრულებებში განსაზღვრული პირობების შესრულებას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა სწავლების პროცესი წარიმართოს უსაფრთხო და დაცულ გარემოში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც სტუდენტთა ინტერესების, ისე პაციენტების უსაფრთხოების დაცვას და ამყარებს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების კულტურას სასწავლო პროცესში.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები დასტურდება შესწავლილი დოკუმენტაციით, ვიზუალური დათვალიერებითა და გასაუბრებით.

ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“;
2.სასწავლო და კალენდარული გეგმები;
3.განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
5. შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. დისტანციური სწავლების წესი;
7. სასწავლო გარემოს დაცთვალიერების შედეგები;
8. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
9.პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

[redacted]**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც სრულად მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები, მათი დანერგვისა და გამოყენების მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმები და პირობები. აღნიშნული წესი ასევე მოიცავს აპელაციის წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს, აგრეთვე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობითა და სამართლიანობით. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, თანმიმდევრული და ორიენტირებული როგორც სწავლების შედეგების, ისე სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის რეალურ ასახვაზე.

მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად გადამომწდა დოკუმენტაცია და ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა, პროფესიულ მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულება მოქმედებს დამტკიცებული მარეგულირებელი აქტების მიხედვით.

ინდიკატორი 2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელთა მიზანია შეფასების პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ სტანდარტებთან. ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს და ხელს უწყობს შეფასების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. ვერიფიკაციის პროცესი ორგანიზებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართულნი არიან სხვა სპეციალისტებიც — განათლებისა და დარგის ექსპერტები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სამართლებრივ ძალას და პროცესის ორგანიზებულობას. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები ასახულია ანგარიშში რომელიც ეცნობება დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს არა მხოლოდ შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტს, არამედ საფუძველს შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად. კოლეჯი პრაქტიკაში რეგულარულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს მათ ეფექტიანობასა და სანდოობას, ასევე აძლიერებს როგორც სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხს, ისე მთლიანად საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

ინდიკატორის 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. - დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ყველა მტკიცებულება ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. დოკუმენტები განთავსებულია სასწავლო პროცესის თანამშრომლების მიერ, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში ან ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მტკიცებულებების დაცვას და ხელმისაწვდომობას, როგორც შიდა, ისე გარე ვერიფიკატორებისთვის. შედეგად, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და სანდოობა კიდევ უფრო მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი. ზემოთაღნიშნული გარემოება დასტურდება შესწავლილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯი განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესისა და ინდივიდუალური განვითარებაზე. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება არა ქულების მინიჭებას, არამედ შედეგების ანალიზსა და მიზანმიმართულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას რეალურად დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას. შედეგების განხილვა და ანალიზი საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ცვლილებები სწავლების მეთოდებში, გაუმჯობესდეს შეფასების სისტემის ელემენტები ან დაინიცირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამ გზით, შეფასება გადაქცეულია არა მხოლოდ სწავლების შედეგების დადგენის ინსტრუმენტად, არამედ განვითარების მექანიზმად. კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ პროფესიულ ზრდასა და მომზადებას რეალური სამუშაო გარემოს გამოწვევებისთვის.

ზემოთაღნიშნული გარემოებები დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

1. *"სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
2. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
3. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
4. *ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან;*
5. *ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუში;*
6. *შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში;*
7. *ვალიდაციის დასკვნის ნიმუში.*

შეფასება:

[redacted]შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია(სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 22 თებერვალის ბრძანება ბოლო ცვლილება - 2025 წლის 27 სექტემბრის N 80 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	156
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.....

სტანდარტი/კომპონენტი	*საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	*ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*	■ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმი სმოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს “მრავალპროფილურ საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს” აქვს პროცედურა „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძ.N120. 24.12.2021წელი. (შესულია ცვლილება N78. 26.09.2025 წ.) მიხედვით, სადაც გამოკვეთილია პროგრამის საჭიროება. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო ,განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამა შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან, რომელიც გულისხმობს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებული მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით და დამსაქმებლების ინიციატივებით;

-პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;

- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვნების სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობას.

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)-ს“, უკვე 7 წელია ახორციელებს.

თბილისში ამ მიმართულების სპეციალიატების ნაკლებობაა და დიდია მოთხოვნა ისეთი სააფთიაქო ქსელებისგან როგორიცაა: სს „გეფას, შპს “PSP”,- შპს „ავერსი“ და შპს“იმპექსფარმა“ .გარდა ამისა კერძო აფთიაქებიდანაც, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს და დადამსაქმებლებმაც დაადასტურეს, მომართვიანობა დიდი აქვთ კადრებთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ქალაქში ამ მიმართულების პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე,არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს „ავერსი ფარმას“, “ჯი პი სის“, „ფარმადეპოს“, „პსპ-ს“ და „იმპექსის““-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ.კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „გეფასა“ და შპს „იმპექსფარმას“-ს სააფთიაქო ქსელებში და სხვა ფარმაცევტული დაწესებუყლებეშიც. **ინდიკატორი 2.1.1.1-პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია : შპს კოლეჯი „მრავალპროფილური საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის“ დირექტორის ბრძანებით №67 ბოლო ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 09.09..2025წ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე„ ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაცით.

ინდიკატორი დაკმყოფილებულია: საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით შპს „ მრავალპროფილური საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დირექტორის ბრძანება N67 09.09.2025წელი) ითვალისწინებს:პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (პროფესიულ ს აგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქოს“პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“) განსაზღვრას საფუძვლად უდევს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა, კერძოდ :

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის,,ფარმაცია(სააფთიაქო)''ს სწავლების მიზნებისთვის გააჩნია სამი A/C გარემო და ორი B გარემო მხოლოდ ამ პროგრამისთვის. ყველა გარემო პროგრამის მოთხოვნების მიხედვითაა აღჭურვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 156.

1. A/C სასწავლო გარემო 26 ადგილი (აუდიტორია 12);
2. A/C სასწავლო გარემო 26 ადგილი (აუდიტორია 14);
3. A/C სასწავლო გარემო-26 ადგილი; (აუდიტორია 15).
4. B სასწავლო გარემო 28 ადგილი.(აუდიტორია 16) განკუთვნილი მხოლოდ ამ პროგრამისთვის.
5. . B სასწავლო გარემო 22 ადგილი.(აუდიტორია 11) განკუთვნილი მხოლოდ ამ პროგრამისთვის.

პირველი - A/C (აუდიტ. .12) სასწავლო გარემო არის ლაბორატორი--აფთიაქის მოდელი, ეკრანი 1ც; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის ლეპტოპი-1 ც; სკამი 1ც; ფლეშ მეხსიერება1 ც; სამუშაო ადგილი 26 პროფ. სტუდენტისთვის; დაფა 1 ც; პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობა; ანატომიურ-ბიოლოგიური თვალსაჩინოებები;იმიტირებული აფთიაქის მოდული; პროგრამით გათვალისწინებული ვიზუალური თვალსაჩინოებები.

მეორე - A/C (აუდიტ. .14) სასწავლო გარემო არის ლაბორატორია--ქიმიურ-ტექნოლოგიური; ეკრანი 1ც; საგანმანათლებლო პროგრამისგანმახორციელებელი პირის ლეპტოპი-1 ც; სკამი 1ც; ფლეშ მეხსიერება1 ც; სამუშაო ადგილი 26 პროფ. სტუდენტისთვის; დაფა 1 ც; ქიმიური მაგიდა 4 ცალი 6 ადგ; 1 ც -2 ადგილიანი; პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობა; ქიმიურ-ტექნოლოგიური თვალსაჩინოებები; პროგრამით გათვალისწინებული ვიზუალური თვალსაჩინოებები.

მესამე - A/C (აუდიტ. .15) სასწავლო გარემო არის ლაბორატორი--აფთიაქის მოდელი,
ეკრანი 1ც; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის ლეპტოპი-1 ც; სკამი 1ც; ფლეშ მეხსიერება1 ც;
სამუშაო ადგილი 26 პროფ. სტუდენტისთვის;
დაფა 1 ც; პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობა; იმიტირებული აფთიაქის მოდელი; პრეპარატთა სიმულაციური ნიმუშები;
რეცეპტების ნიმუშები; პროგრამით გათვალისწინებული ვიზუალური თვალსაჩინოებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-გარემო B (კაბ.11). პროექტორი/ეკრანი 1 ც; კომპიუტერი.1 ც განმახორციელებელი პირისთვის; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი-22; ფლეშ მეხსიერება1 ც; სკამი განმახორციელებელი პირისთვის-1ც მაგიდა განმახორციელებელი პირისთვის--1ც; სკამი სტუდენტისთვის -22ც; მაგიდა სტუდენტისთვის-22ც;დაფა1 ცალი;

მეორე გარემო B (კაბ.16). პროექტორი/ეკრანი 1 ც; კომპიუტერი.1 ც განმახორციელებელი პირისთვის; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი-28;

ფლეშ მეხსიერება1 ც; სკამი განმახორციელებელი პირისთვის-1ც მაგიდა განმახორციელებელი პირისთვის--1ც; სკამი სტუდენტისთვის -28ც; მაგიდა სტუდენტისთვის-28ც; დაფა1 ცალი;

პსდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში“, გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. შემუშავებულია აუდიტორიათა აღწერილობა ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები, რაც გაწერილია პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში, პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა. ასევე ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ გაფორმებული შპს იმპექსფარმას„“; თან“ 30. 01. 2023 N 11/23 . 30 პროფესიულ სტუდენტზე; ხელშეკრულება სს „გეფასთან“ 07.აგვისტო 2025 წელი. 144 პროფესიულ სტუდენტზე,ქ. ხელშეკრ. N21/05; ხელშეკრულება შპს „ ავერსთან“144 პროფესიულ სტუდენტზე 11 აგვისტო 2025 წელი . ხელშეკრულება N10/25 ქ. თბილისი.

2.1.1.3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით. საგნმნათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე გათვალისწინებულია :

1.სასწავლო გარემო -A/C (კაბ. 12)-აფთიაქის მოდელი განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : საუშაო ორადგილიანი მაგიდა- 26 სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). აქვე მოთავსებულია აფთიაქის კარადები სიმულაციური პრეპარატებით და რეკლამები, თვალსაჩინოებები, რეცეპტის ბლანკები, ბავშთა კვებისა და მოვლის საშუალებები, ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებები, დეკორატიული კოსმეტიკის და თავის მოვლის საშუალებათა ნიმუშები და სხვა.

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (კაბინეტი 16) რომელშიც განთავსებულია28 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 28 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ29 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა.

B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი(მოდული ხორციელდება 8 კვირიდან 16 კვირის ჩათვლით სასწავლო გეგმის მიხედვით) კომპიუტერული აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში. გარემო განკუთვნილია მხოლოდ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის.

3.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(კაბ .14) ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 26 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (5 ც ქიმიური მაგიდა 6 ადგილიანი, და 1 მაგიდა 4 ადგილიანი 26 ლაბორატორიული სკამი) , რომელიც ღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით. .აქვეა კედელზე გამოკრული „ უსაფრთხოების წესები მომწამლავ და ფეთქებად და ცეცხლსაშიშ ნივთიერებებთან მუშაობის დროს.“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგადი წესები“; „პირველადი დახმარების მეთოდები ლაბორატორიაში“ და მარკირების ნიშნები.

4.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(კაბ .15) ქიმიური ლაბორატორია და სააფთიაქო ბლოკი ბლოკი განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის 26 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (13 ცალი მაგიდა 2 ადგილიანი, 26 სკამი) , რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სიმულაციური აფთიაქის კარადებით, პრეპარატთა სიმულაციური ნიმუშებით, რეცეპტის შევსებული და შეუვსებელი ბლანკებით, ვიზუალური სარეკლამო ბროშურებითა და ფლაერებით.აქვეა გამწოვი კარადა, რეფრაქტომეტრი, შტატივები და ყველაქიმიური ლაბორატორიის აღჭურვილობა,სინჯარები, სხვადასხვა ტევადობის კოლბები, სასწორები, საწონების კომპლექტები, წყლის ააბაზანები, შტატივები, სპირტქურები, საჭიროზე მეტი რაოდენობით. ასევე ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ჰაერისა და მაცივრის თერმომეტრები, ჰიგროსკოპები, მაცივარი, ლაბორატორიაში მუშაობის, უტილიზაციის და პირველადი დახმარების წესები.

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (კაბინეტი 11) რომელშიც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 22 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა.

B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი(მოდული ხორციელდება 8 კვირიდან 16 კვირის ჩათვლით სასწავლო გეგმის მიხედვით) კომპიუტერული აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში. გარემო განკუთვნილია მხოლოდ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების 144 -144 პროფ. სტუდენტზე პს „ავერსთან“; თან“ ; „გეფა“სთან და 30 სტუდენტზე „იმპექსთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანს,მხარეთა უფლება მოვალეობებს, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობას (144-144 და იმპექსთან 30), მომსახურების ღირებულებას და ანაზღაურების წესს, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულებისძალაში შესვლა და მისი გაუქმებას, შეთანხმებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ორი პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს კოლეჯის 144 პროფესიული სტუდენტს ხოლო იმპექსი 56 სტუდენტს. ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწვლებასა და შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას, და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. "სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში";
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება";
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება";
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში";
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა";
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა";
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა";
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა"

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 144 +144+30 სტუდენტზე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას მოცემულ მომენტში ყავს 129 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულნი არიან "ავერსის" „გეფას" და „იმპექსის" ფილიალებში ორ ცვლაში შესაბამისად 3-3სტუდენტი ცვლაში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით თითოეულ ობიექტზე..

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამა„ფარმაცია(სააფთიაქო) “ მოდულების განხორციელების გარემო.

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოიცავს არჩევით მოდულს „მზა სამკურნალწამლო ფორმები“(სამი კრედიტის მოცულობით), რომელიც ლოგიკურ კავშირშია, როგორც სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, ასევე, მისანიჭებელ კვლიფიკაციასთან.

ინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს მრავალპროფილური საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის “დირექტორის ბრძანება N50 - 22.02.2019წ. 23.12.2021 წ. ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 27.09. 2025 წ. N2 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)’ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტს.დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიული მოდული, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთი არჩევით მოდული, ჯამური 3 კრედიტის მოცულობით.), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (123 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 153 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 23 სასწავლო თვე (92 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 31 სასწავლო თვე (124 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, მეხუთე დონე, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებულია შპს"მრავალპროფილური საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის" საზოგადოებრივი კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესები. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს (მათ შორის ლოგიკურსაც), დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის,(10 დღე) პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.- დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. *მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის „სტრატეგიული განვითარების გეეგმა" კოლეჯის დირექტორის დამტკიცებულია : შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივ კოლეჯ იმედის დირექტორის 2020 წლის 09 მარტის № 10 ბრძანებით; N 48 ბრძნებით შესულია ცვლილება 2020 წლის 17 სექტემბერს ; დირექტორის # 54 ბრძნებით შესულია ცვლილება 2022 წლის 23 სექტემბერს.*
2. *პსდ-ს„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" დამტკიცებულია შპს იმრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის ის დირექტორის მიერ ბრძანება N67 - 09/09/2025;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ხელშეკრულება მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ გაფორმებული შპს იმპექსფარმას„“; თან“ 26. 01. 2023 N 11/23 . 56 პროფესიულ სტუდენტზე;

4. ხელშეკრულება სს „გეფასთან“ 07.აგვისტო 2025 წელი. 144 პროფესიულ სტუდენტზე,ქ. თბილისი ხელშეკრ. N21/05; 6. 5. ხელშეკრულება შპს „ ავერსთან“144 პროფესიულ სტუდენტზე 11 აგვისტო 2025 წელი . ხელშეკრულება N10/25 ქ. თბილისი

5. .პსდ-ს „მისია, ხედვა, ღირებულებები“

6. 6. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს „მრავალპროფილური საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის“დირექტორის საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 22 თებერვალის გრძანება. ცვლილებები; 16.04.2019 წ; 19.02.2020 წ; 19.04.2021 წ 25.06.2021 წ 29.10.2021 წ; 13.12.2021წ; ბოლო ცვლილება შესულია: 27.08.2025წ .N 80.

7. „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია შპს „მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის“ დირექტორის მიერ გრძანება N120 – 24.12.2021წ. ცვლილება: გრძანება N78 -27.09.2025წ.

8. „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დამტკიცებულია შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის „ დირექტორის მიერ გრძანება N111 - 29/11/2023წ.

9. დანართი N1. მატერიალური რესურსი

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პსდ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ქეთევან წამებულის პრ.47/49, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

1. სასწავლო გარემო -A/C (კაბ. 12)-განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : სამუშაო 13 ორადგილიანი მაგიდა-26სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). ბიოლოგიურ სააფთიაქო ლაბორატორია.

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (კაბინეტი 11) რომელშიც განთავსებულია22 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 22 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა. აქვეა მოთავსებული პრინტერის მთელი მოწყობილობა.

3.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(კაბ .15) ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 26 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (4 ც ქიმიური მაგიდა 6 ადგილიან და ერთი ორადგილიანი, 26 ლაბორატორიული სკამი) , რომელიცაღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით, აკლოჰოლომეტრული ,ნივთიერებათა ხსნადობის ცხრილები. შევსებული რეცეპტის ნიმუშებით..

4.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(კაბ .14) ქიმიურ-სააფთიაქო ბლოკი განკუთვნილია 26 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 26 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (13 ცალი მაგიდა 2 ადგილიანი, 26 სკამი) , რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სიმულაციური აფთიაქის კარადით, პრეპარატთა სიმულაციური ნიმუშებით, რეცეპტის შევსებული და შეუვსებელი ბლანკებით, ვიზუალური სარეკლამო ბროშურებითა და ფლაერებით.ასევე ქიმიური ლაბორატორიის აღჭურვილობით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს„ილია ჭავჭავაძის სახ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯს“ გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ შპს „ავერსთან“; თან“ 144 პროფესიულ სტუდენტზე; შპს“იმპექსფარმასთან“ 30 პროფესიულ სტუდენტზე; სს „გეფასთან“ 144 პროფესიულ სტუდენტზე.

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანს,მხარეთაუფლება მოვალეობებს, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობას (40), მომსახურების ღირებულებას ანაზღაურების წესს, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახურონ კოლეჯის 144+144+30 პროფესიული სტუდენტს.

ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწვლებასა და შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას, და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;

3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;

4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;

5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;

6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;

7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;

8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 156 პროფესიულ სტუდენტს.საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებში, შპს „ავერს“-ში, სს „გეფა“-ში და შპს“იმპექსში“ რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველწლიურად თითოეული 159 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას.

ინდიკატორი 2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 29 პირი, მათ შორის 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 17. ყველა პროფესიული პედაგოგი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ადგენს შეფასების ინსტრუმენტს, კალენდარულ გეგმას, მონაწილეობს ვალიდაციის პროცესში.

აგრეთვე ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები(კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის სწავლებით.ინტერვიურებისას თვალსაჩინო იყო რომ ბევრი მათგანი მუშაობდა პროგრამის გადამზადებაზეც და გადამუშავებაზე და აქვთ მაღალი გამოცდილება, ცოდნა დარგისა და სწავლების მიმართულებით.ასევე აღსანიშნავია რომ ყავთ პროგრამის როგორც ხელმძღვანელი, ასევე თანახელმძღვანელი და მენტორი პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგისთვის,რომელიც მუდმივად ამოწმებს პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა პრაქტიკული სწავლის პროცესს.

ჩვენ გადავწყვიტეთ ეს გამოგვეტანა დასკვნაში როგორც საუკეთესო გამოცდილება, რადგანაც პრაქტიკის ობიექტებზე ქალაქში ნამდვილად დიდი მუშაობაა და პროფესიული პრაქტიკანტი სტუდენტების სწავლების პროცესის მონიტორინგი დაწესებულების მხრიდან ცალკე მენტორის სახით ნამდვილად კარგი და მისაბაძი პრაქტიკაა.

ინდიკატორი 2.2.1.3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,_რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირი, დარგის სპეციალისტი, მოქმედი,რომელსაც აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების, მათ შორის პრაქტიკული სწავლების, მრავალწლიანი გამოცდილება, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, რომელიც გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინსიტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპების დაცვით,საჭიროებისამებრ ჩაერთვება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; - დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია,როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტმომსახურების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მუდმივ ინტერნეტ კავშირს. დაწესებულება ჩართულია პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებელი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიბლიოთეკარი არის თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტი და საკმაოდ კარგად იცნობს ბიბლიოთეკაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსს და სწრაფად მოქმედებს მოთხოვნის შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია, ბიბლიოთეკაში დაწესებულების მიერ (მათი ხარჯებით) დაბეჭდილი წიგნები მოდულებში არსებული სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა ავტორებიც მათი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს გაუმარტივებს სწავლის პროცესს და სახელმძღვანელოები ადაპტირებული იქნება კონკრეტული მოდულების შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურა, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ფარმაცია(სააფთიაქო“) პროგრამის ფარგლებში შექმნა დაწესებულების პროფესიულმა მასწავლებლებმა არის:„ფარმაკოლოგია“;ავტორი: ზიზილა წიკლაური,(2024 წელი) სახელმძღვანელო მორგებულია შესაბამის მოდულზე, კოლეჯმა საკუთარი სახსრებით გამოსცა და ყველა კოლეჯს რომელიც ახორციელებს ფარმაციის პროგრამას საჩუქრად გადასცა.

ინდიკატორი 2.2.1.5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.

6. პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა პსდ-ს„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პროგრამისგანხორციელების მდგრადობა რეგულირდება დაწესებულების ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესით.” დამტკიცებულია: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2025 დამტკიცებულია პროგრამის ბიუჯეტი. კოლეჯში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ . პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან.ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს:ადმინისტრაციის და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის და სხვა ხარჯს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლის პირობებშიც პროგრამის რენტაბელობა(ერთ ჯგუფზე) არის 12 სტუდენტი და უზრუნველყოფილია პროგრამის ფინანსური მდგრადობა. ამ შემთხვევაში მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.

ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თანდართული დოკუმენტაციით
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
3. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში („ინდივიდუალური საგანმანათლებლო გე გმის შემუშავება“ ინკლუზიური განათლება.)
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
6. პროფესიულ სტუდენტთა ზრვრული რაოდენობა. დამტკიცებული დირექტორის ბრძ. N12024 დეკემბერი 2021წ.
7. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
9.პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება პროგრამის პრაქტიკული კომპონენისგანხორციელების შესახებ;
10. გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელთან და პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება;
11. პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქოს) ბიუჯეტი; დამტკიცებულია: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2025 წლის 02 ივნისის № 32 ბრძანებით
12. ბიბლიოთეკაში მუშაობის წესი;
13. ბიბლიოთერკართან გასაუბრების შედეგები.
14. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.
14.გასაუბრება პრაქტიკის მენტორთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
შეფასება:
☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების , შესახებ.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში. შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/ვალიდაციის პროცესში. ამავე დოკუმენტით გაწერილია იმ პირთა და პროცესების წრე, რომელთა კვლევის შედეგადაც ხდება შეფასება.

შეფასების მექანიზმი დამყარებულია კვლევის მეთოდებზე, ინსტრუმენტებზე, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესებზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტის, დამსაქმებლების) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე. შეფასების წესი მოიცავს განმეორებითი შეფასების, შუალედური და საბოლოო შეფასებების, შედეგების გაცნობის,გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესებისადმინისტრირების საკითხებს. დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედეგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიულისა განმანათლებლო პროგრამების განხორციელების და შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა /წარმომადგენლები და პროფესიულისა განმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისიხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ინდიკატორი 2.3.1.1პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. - დაკმაყოფილებულია.

2. გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ინდიკატორი 2.3.1.4 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.- დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. ხარისხისუზრუნველყოფის მექანიზმები.
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,განხორციელების,შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიის შესახებ" დირექტორის ბრძანება;
4. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თან განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე -ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 23 სასწავლო თვე, 92 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 31 სასწავლო თვე, 124 სასწავლო კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათსსასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. - **ინდიკატორი 2.4.4.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ გაწერილი აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურები. დაწესებულება ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება, მაგ. სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, შიდა/გარე მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების და მისი განხორციელების პრაქტიკა.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აკადემიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან , ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

ინდიკატორი 2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. - დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელ-რესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივიიერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანიები, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება,

ინდიკატორი 2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია .სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი) გაწერილია როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტების უზრუნველყოფა სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატისის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის შედგების მიღწევის შესაძლებლობები

ინდიკატორი 2.4.1.4-პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. - დაკმაყოფილებულია.

5. პსდ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ავერსთან"-თან; შპს „იმპექსთან"; სს „გეფასთან". ამ ხელშეკრულებებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (სულ 144+144+30) პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ბაზაზე. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობსნ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს (მათ შორის მოდული, სასწავლო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის შედგენა, ვალიდაცია,ვერიფიკაციის პროცესებს). *პსდ-ს* თანამშრომლობა, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, დასტურდება როგორც ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით. **ინდიკატორი 2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თან განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პსდ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით ,სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებულია ხელშეკრულება და პირადი საქმე.შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დიპლომი, სერტიფიკატი); შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას რეგულაციები.

პსდ-ს შემუშავებული აქვს ასევე„ფარმაცია (სააფთიაქოსთვის)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები: დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის "ნარჩენების მართვის წესი" (ბრძანება დაწესებულებაში C გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, ჩამოყალიბებული აქვს წესი „პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში“ რომლებსაც სტუდენტები ეცნობიან პირველ პრაქტიკულზე., პროგრამის დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია გამწოვი კარადა. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობა ხორციელდება „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები" .-ის გათვალისწინებით. ასევე უტილიზაცია ხორციელდება "ნარჩენების მართვის წესის" მიხედვით უტილიზაციის კომპანიის მიერ. (2025 წლის 01 იანვარის ხელშეკრულება შპს „ექსპრესდიაგნოსტიკასთან"). .ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოსა და გარშემო მყოფ პირებს. ნარჩენების მართვა გაწერილია ზემოთ აღნიშნულ წესში.

გასაუბრებისას სტუდენტებმაც და პედაგოგებმაც დაადასტურეს პირველ ლექციაზე სტუდენტებისთვის როგორც მუშაობის წესების, პირველადი დახმარების წესების გაცნობა ასევე უტილიზაციის წესის ცოდნაც. ლაბორატორიაში ასევე გადამოწმდა ცეცხლმაქრები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება:

1. *2025 წლის 15 იანვრის ხელშეკრულება შპს „ექსპრესდიაგნოსტიკასთან");*
2. *ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი;*
3. *პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში;*
4. *ნარჩენების უტილიზაციის წესი;*
5. *დათვალიერების შედეგები;*
6. *სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*
7. *ხელშეკრულება შპს „ავერსთანთან";*
8. *ხელშეკრულებაა „იმპექსფარმათან"*
9. *ხელშეკრულება „გეფასთან".*
10. *ნარჩენების მართვის წესი";*
11. *პსდ-ს ,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;,*
12. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;*
13. *შრომის უსაფრთხოების ჟურნალი რისკების შეფასება*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მუხლი 56; 57; 58;-ში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტისა, შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურები: შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს ორ ეტაპს: შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ვალიდაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები შეფასების მიმართულების მიხედვით ადგენს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები დაწესებულების რეგულაციით უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია უზრუნვეყოფს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის) დაცვას. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრულ სავალდებულო ინფორმაციას. სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ. გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ. შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს. განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციის დასკვნის ფორმის შევსებისას ვალიდატორი აღნისნავს ყველა შედეგის და კრიტერიუმის ვალიდურობას და ადასტურებს ბოლოში წარწერით "ვალიდურია". **ინდიკატორი 2.4.2.1. - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.**

2.კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი,; დირექტორი ამტკიცებს ვერიფიკაციის ჯგუფს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი ან რექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი,ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან, სასწავლო პროცესის მენეჯმენტთან ჩატარდა ინტერვიუები, რომლებმაც დაადასტურეს ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური.

განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული პროფესიულ სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გაუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება განმსაზღვრელი შეფასებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღველი შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასების მიდგომა და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფის პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას, სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. განმეორებითი შეფასების დაადსტურების შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, ასეთ შემთხვევაში პირს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს.

რეგულაციით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი შეფასებისთვის გამოყენებულია სხვა შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი იქნა ორი შევსებული შეფასების ინსტრუმენტი (ერთი პრაქტიკული მოდულის და ერთი თეორიული მოდულის) , ვალიდაციის დასკვნის ნიმუში და ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუში.ინსტრუმენტები იქნა გადამოწმებული და ნამდვილად ვალიდური იყო. სათანადოდ იყო შედგენილი როგორც ვალიდაციის, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის ფორმები, რომლებიც ნამდვილად ამომწურავ კრიტერიუმებს მოიცავს და სწორადაა შევსებული.

შეფასების მიმართულებებია: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც, რადგანაც პრაქტიკული უნარები ცოდნას ეფუძნება, თუმცა, იშვიათად იძლევა ცოდნის ფართო სპექტრის შეფასების შესაძლებლობას. პრაქტიკული დავალება -დაკვირვებით შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში.

- ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;- დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანიწესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებული და აღრიცხულია სპეციალურ რეესტრებში.პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს მიეცემათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის მიზნით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად გამოიყენებენ კონსულტაციებს. **ინდიკატორი 2.4.2.4. -პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*
2. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.*
3. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.*
4. *ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.*
5. *ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუში*
6. *შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ვალიდაციის დასკვნის ნიმუში.

შეფასება:
☒ **შეესაბამება**
☐**მეტწილად შეესაბამება**
☐**ნაწილობრივ შეესაბამება**
☐**არ შეესაბამება**

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის № 36 ბრძანება; ბოლო ცვლილება - 2025 წლის 27 სექტემბრის №80 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	87
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....

პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (ბრძანება #120, 24.12.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის მართვის მენჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მისიასთან. განხორციელების მიზანშეწონილობა ერთი მხრივ განპირობებულია პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 16.07.2019 „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია“), რომლის თანახმად ექთანთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. - **ინდიკატორი 2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ საექთნო საქმე“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება დაწესებულების დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით (დირექტორის 2021 წლის 24.12. ბრძანება # 120), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დათვლილი აქვს წლების მიხედვით და ჯამში 3 წელზე შეადგენს 87 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 29 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელურ რეჟიმში, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევს 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, ანუ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 58 (29+29) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მეორე წლის მეორე ნახევრიდან სასწავლო პროცესი გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ შემთხვევაშიც, კოლეჯის ბაზაზე პარალელური სწავლება, ასევე უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს (58 პროფესიული სტუდენტი). პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პარტნიორ დაწესებულებებში კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილია პრაქტიკის ინსტრუქტორებით, თანაფარდობით - 1/7.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექვს პარტნიორ კლინიკასთან:

1. შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (14.04.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
2. შპს ,,ნიუ ჰოსპიტალს“ (11.04.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
3. შპს ,,ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ (29.05.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
4. შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა (01.09.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
5. შპს ,,ღია გულის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ (12.08.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
6. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (25.09.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე.

ვიზიტის დროს შეირჩა პარტნიორი, კლინიკა შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ რომლის წარმომადგენელთანაც გასაუბრება განხორციელდა, კლინიკის წარმომადგენლმა მზაობა გამოხატა, რომ მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

ინდიკიატორი 2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ასევე შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციების სახელმწიფო ლიცენზიების სფერო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული კლინიკები ფარავენ საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.

საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 20 ივლისის № 36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძანება №80, 27.09.2025). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, კოლეჯის დებულებით.

ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო საქმე“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.

8. საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი (09109-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ (90 კრედიტი), ასევე კლინიკური (90 კრედიტი) სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 32 სასწავლო თვე, 128 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 210 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 40 სასწავლო თვე, 160 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ვადები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორი 2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია;
2. დაწესებულების მისია;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე, სასწავლო გეგმა - პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მოდულები;
8. კოლეჯის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები. შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მრავალპროფილიან კოლეჯ იმედს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

AC სასწავლო გარემო - განკუთვნილია 29 პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორია აღჭურვილია ფუნქციური საწოლით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

AC გარემო - განკუთვნილია 29 პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორია აღჭურვილია თემატური პლაკატებით, სასწავლო მულაჟებით, ატლასებით.

B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი - პროფესიული სტუდენტისთვის 29 სამუშაო ადგილით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

„საექთნო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“, შპს ,,ნიუ ჰოსპიტალს“, შპს ,,ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“, შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა, შპს ,,ღია გულის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“.

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი ოპერატორები არიან, აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2023 - 2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 87 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 29 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 58 (29+29) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 58 პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაფარდობით - 1/7.

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა - 59 აქტიური პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეჩერებული აქვს სულ - 12 პირს. სტატუსი შეწყვეტილი აქვს - 6 პირს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ფლობს არა მხოლოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ინვენტარს/აღჭურვილობას არამედ, დარგის მიმართულებით არსებულ უახლეს რესურსსა და ტექნოლოგიებს.

ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 40 პირი, მათ შორის 11 ზოგადი მოდულების (3 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 3 - კომუნიკაცია, 3- ქართული ენა) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 29.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები - საათების განაწილება კვირეების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;-დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „საექთნო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორი ხელმძღვანელი „საექთნო საქმის“ დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით.

კვალიფიკაციით - ექიმი პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით (2016 წლიდან დღემდე) აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

კვალიფიკაციით ექთანი (ტრენერი) დარგში მუშაობის გამოცდილებით (2007 წლიდან დღემდე).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართული არიან პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებიან პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;-დაკმაყოფილებულია.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.5. 5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის. წესის თანახმად სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.

7. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით(ერთი ჯგუფის სწავლების ფარგლებში), რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 135300 ლარს შეადგენს. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის გადასახადი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქართნო საქმე“ თანდართული დოკუმენტაციით;
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #120, 24.12.2021) და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მონიტორინგის, განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება #120, 24.12.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე

ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ეს აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

დაწესებულების პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ინდიკატორი 2.3.1.1. -პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

2. გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლის ვადები.

ინდიკატორი 2.3.1.2. - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მონიტორინგის, განვითარების მეთოდოლოგია;
3. კვლევის ანგარიშები (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევების შესახებ);
4. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო საქმე“ კოლეჯს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 40 სასწავლო თვე, 160 სასწავლო კვირა (210 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 32 სასწავლო თვე, 128 სასწავლო კვირა (180 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის პერიოდი.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.

დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. აღსანიშნავია, კოლეჯის ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილება თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობისა და გამოყენების თვალსაზრისით, ეს არის სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების აქტიური დანერგვა. კერძოდ, ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგიების გამოყენება საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, რაც წარმოადგენს თანამედროვე პროფესიული განათლების საუკეთესო პრაქტიკას. კოლეჯი ფლობს უახლესი მოდელის 7 ცალ VR მოწყობილობას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. აღნიშნული ტექნოლოგია გამოიყენება ანატომია-ფიზიოლოგიის მოდულის შესწავლისას. ასევე ტექნოლოგიის გამოყენებით ხორციელდება სიმულაციური სწავლება, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში შეისწავლონ მრავალფეროვანი კლინიკური სიტუაციები, იმუშაონ პაციენტის მოვლის სხვადასხვა სცენარზე და განივითარონ კრიტიკული სიტუაციების მართვის პრაქტიკული უნარები.ასევე აღნიშნული მიდგომა ქმნის რეალისტურ სამუშაო გარემოს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული მზაობის გაძლიერებას. VR ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის სტუდენტთა ჩართულობას, მოტივაციას და პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება სწავლების ხარისხსა და კურსდამთავრებულთა პროფესიულ მზადყოფნაზე. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც ინოვაციური და მაღალი ეფექტიანობის მქონე მიდგომა.

პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;-დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.

5. კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებულებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალის გამოყოფის შესახებ ვალდებულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექვს პარტნიორ კლინიკასთან:

1. შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (14.04.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
2. შპს ,,ნიუ ჰოსპიტალს“ (11.04.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
3. შპს ,,ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ (29.05.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
4. შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა (01.09.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
5. შპს ,,ღია გულის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ (12.08.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
6. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (25.09.2025) - 90 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე.

ექსპერტთა ჯგუფი შემთხვევითი შერჩევით გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირების არსებობა (1 პერსონალი - ექთანი და შრომის უსაფრთოების სპეციალისტი -1 პირი). პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამას - საექთნო საქმე არ სჭირდება დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.4.1.6. - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე;
2. სასწავლო გეგმები;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
5. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება ორი კვირით.

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს.

კოლეჯის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,დამწყები“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა.

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახოციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“, ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2024-2025 სასწავლო წელს, დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.4.2.2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი აწარმოებს უწყისების სარეგისტრაციო ჟურნალს. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება (შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით) სწავლის პროცესის შეფასებაა და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს.

ინდიკატორი 2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.-დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
2. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
3. პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
4. ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	"ინფორმაციის ტექნოლოგია"
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის № 36 ბრძანება ბოლო ცვლილება - 2025 წლის 27 სექტემბრის N81 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამა ემსახურება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. აღნიშნული პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომელიც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის მხარდაჭერას. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზისა და განათლების სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის სპეციალისტების მომზადებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა: კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, თანამედროვე შრომის ბაზრისათვის პროფესიული უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადება, მათი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რაც აისახება პროფესიული სტუდენტების რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული გამოცდილების მიღების მექანიზმებში.

სწავლისა და სამუშაო გარემოს განვითარება: კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც მოიცავს შესაბამის ინფრასტრუქტურას ,აღჭურვილობას, თანამედროვე სასწავლო მასალებსა და ტექნოლოგიებს. ზემოაღნიშნული ფაქტორები ადასტურებს, რომ კოლეჯი სრულად შეესაბამება მოცემულ ინდიკატორს და მის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება კარგად დასაბუთებულ, მიზანმიმართულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარებას და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

ინდიკატორი 2.1.1.1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფენ მხოლოდ იმ პირების მიღებას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება, რაც აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დროულად მიღწევისთვის.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრების გავლა, რომელიც უზუნველკყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. პროგრამის მიღების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება დარგობრივ და ეროვნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მისი ხარისხის მაღალ სტანდარტს. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ ინდიკატორთან და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ყველა მონაწილე შეძლებს მის ათვისებას და სასწავლო მიზნების მიღწევას განსაზღვრულ ვადებში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფომრაციის ტექნოლოგია“ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრმაზე „ინფომრაციის ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

3. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ . საგანმანათლებლო პროგრამებზე(მათ შორის პროგრამაზე “ინფორმაციის ტექნოლოგია“) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თუ რა ასპექტებს ითვალისწინებს დაწესებულება ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას. ესენია:ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა/მსმენელთა გადანაწილების შესაძლებლობა; საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; საგანმანათლებლო რესურსი; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები); საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები; და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას, ზუსტად გამოთვალოს კოლეჯმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რესურსების/შესაძლებლობების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის "ინფორმაციის ტექნოლოგია" განკუთვნილია ABC სასწავლო გარემო(აუდიტორია N11), რომელიც მოწყობილია 22 სტუდენტზე, სწავლა მიმდინარეობს ცვლებში, რაც საშუალებას იძლევა, ამ სივრცეში გატარდეს ორ ცვლაში 44 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლისას მხედველობაში იქნა მიღებული სწავლების ინტენსივობა, პროგრამის სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტების რესურსები და სხვა ფაქტორები. ამრიგად, კოლეჯი დოკუმენტში აღწერილი მეთოდოლოგიით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, რაც სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს და უზრუნველყოფს სტუდენტების განათლების მაღალი ხარისხის შესრულებას.

ინდიკატორი 2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის მიხედვით დადგენილი შედეგების მიღწევას. კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო გარემოს, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, რაც აუცილებელია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. სასწავლო გარემო (ABC სივრცე) გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის.

სასწავლო გარემო გათვლილია 22 სტუდენტზე, რომლებიც ორ ცვლაში სწავლობენ(პროგრამაზე სულ 44 პროფ. სტუდენტი). თითოეულ სტუდენტს აქვს შესაბამისი სამუშაო ადგილი, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხსა და ეფექტურობას. ინდივიდუალური კომპიუტერები უზრუნველყოფს, სტუდენტების ინდივიდუალურ მუშაობას, რაც საშუალებას იძლევა ტექნიკური და თეორიული პროგრამების შესაბამისი სწავლების განხორციელებას. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება კოლეჯში, იმიტირებულ გარემოში.

ინდიკატორი 2.1.1.4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია" არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; -დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის ადმინისტრაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება აღნიშნულ ინდიკატორს. კოლეჯის დირექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში ცვლილებები, რასაც ცხადყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დებულების მუხლი 7(პუნქტი 7.3.5.)რომლის თანახმად დირექტორი „ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს.“ შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება “ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს, რადგან ის ზუსტად ასახავს პროგრამით განსაზღვრულ პროფესიულ მიმართულებას და საქმიანობას, რომელსაც აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული განახორციელებს. აღნიშნული პროგრამა მოიცავს დარგობრივ კომპონენტებს, რომლებიც ემსახურება IT მამრთულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას. სახელწოდება "ინფორმაციის ტექნოლოგია“ ამ კუთხით სწორად და ნათლად ასახავს პროგრამის მიზანს . პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება სახელწოდებას.საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი-პალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: 1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი; 2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები; 3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი; 4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა; 5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება; 6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები; 7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი; 8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი; 9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები; 10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება “ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მისაღწევ შედეგებს. სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს ინდიკატორს.

ინდიკატორი 2.1.1.7. - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგია" შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავება და დამტკიცება ხდება კონკრეტულ კანონმდებლობასა და რეგულაციებზე დაყრდნობით, რაც ითვალისწინებს შემდეგი ეტაპების განხორციელებას: კანონმდებლობის შესაბამისობა – საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, რათა ყველა ეტაპი შესაბამისობაში იყოს დადგენილ მოთხოვნებთან პროგრამის შემუშავება და დამტკიცება მოხდა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული " საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიის" შესაბამისად.

პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია, დადგენილი სტანდარტები და საჭირო რესურსები. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ და სხვა.

ინდიკატორი 2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროგრამის შეფასების ფორმა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
3. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითრების გეგმა;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგია"
5."სასწავლო პროცესის მარეგულირებე;ი წესი"
6.„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია"
7.საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 44 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია N11- აუდიტორია, სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება , 22 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 22 კომპიუტერი, კარადა სადაც განთავსებულია დარგობრივი მოდულისთვის საჭირო აღჭურვილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.

2. „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; - დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დასტურდება მათი კომპეტენცია.ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის მიმართ პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: უმაღლესი/პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესისა და პროგრამის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დარგობრივი კომპეტენციის ყველა მოთხოვნას. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ახლავს სამუშაო აღწერილობა. ის აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისა და განვითარების პროცესში, კოორდინაციას უწევს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას, აფასებს პროგრამას დარგის სპეციფიკის, საგანმანათლებლო რესურსების საკმარისობისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით. იგი მუდმივად თანამშრომლობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებთან. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში და, საჭიროების შემთხვევაში, აპელაციის განხილვაში, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

მისი კომპეტენცია მოიცავს სტუდენტთა ქვოტის განსაზღვრაში მონაწილეობას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის მომზადებასა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი ერთვება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რათა განისაზღვროს მათი სიზუსტე და ეფექტიანობა. ასევე მონაწილეობს შუალედურ და საკვალიფიკაციო შეფასებებში და, საჭიროებისამებრ, თანამშრომლობს ვერიფიკაციის ჯგუფთან პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადასტურებლად. ხელმძღვანელი ასევე შეიძლება ჩაერთოს განათლების აღიარების პროცესში. ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, ხელმძღვანელი მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებულ სწავლის პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვან განხორციელებას, რათა სტუდენტებმა მიიღონ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და მუდმივად მონაწილეობს კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში. იგი ასევე ჩართულია კოლეჯის შიდა რეგულაციების პროექტების შემუშავებაში და აქტიურად მუშაობს შიდა სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში. საერთო ჯამში, პროგრამის ხელმძღვანელი ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და კანონმდებლობით, და რომელიც უკავშირდება მისთვის დელეგირებულ პასუხისმგებლობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება, რომლიტაც დასტურდება მისი კომპეტენტურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; - დაკმაყოფილებულია.

5. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის, როგორც ელექტრონული ასევე, მატერიალური სახით და აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკაში დამატებითი რესურსების გაცნობის საშუალებაც აქვთ მათ სფეროს მიხედვით, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" მუხლი 76. გაწერილია ინკლუზიური საგანმანათლებლო მომსახურების მექანიზმები. კოლეჯი ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების („სსსმ"), მათ შორის შეზღუდლი შესაძლებლობის მქონე („შშმ") სტუდენტებზე,იგი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მათ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი და კომფორტული სასწავლო და ფიზიკური გარემოს შექმნაზე, რომლითაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას სხვადასხვა ადაპტაციის მექანიზმებით, გამოავლენს აკომოდიციის/მოდიფიკაციის საჭიროებებს და ქმნის ადეკვატურ სასწავლო მასალას/გარემოს ადაპტირებული/დამატებითი სასწავლო/მატერუალური რესურსის მობილიზებით.

სსსმ სტუდენტისთვის ადეკვატური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს საჭიროებებს მორგებულ სასწავლო პროცესის შეთავაზებას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებით.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია, პროცესში სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვაც შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადაპტირებული სასწავლო გარემოთი; ა) დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით; ბ) კოლეჯს ყავს შტატში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ასევე დაცვის თანამშრომლი უზრუნველყოფს პირის კონსულტაციას და დახმარებას, ასევე შეუფერხებელ გადაადგილებისას დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე. გ) ადმინისტრაციის თანამშრომლი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. დ) ბიბლიოთეკით საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; 2024 წელს ერთ-ერთ პროგრამაზე ჰყავდა კოლეჯს სსსმ პირი, მისთვის ხორციელდებოდა დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები, შეფასების დროს ეძლეოდა დამატებითი დრო. სტუდენტმა პროგრამა დაასრულა წარმატებით და დაძლია ყველა სწავლის შედეგი. სსსმ და შშმ პირების ინტერესები დაცულია სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ მასწავალებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელტა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ზემოთ აღნიშნული გარემოებები.

ინდიკატორი 2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.

7. „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ ხარჯების სახეობებს: პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება; მოდულებით გათვალისწინებული სახარჯი მასალა-ნედლეული; პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განვითარების ხარჯი (ბიბლიოთეკა); პროფესიული განათლების მასწავლებელის განვითარების ხარჯი; ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება; კომუნალური ხარჯი; საიჯარო ხარჯი; კომუნიკაციის ხარჯი ; სამეურნეო ხარჯი (შენობის მოვლა, სანიტარული ჰიგიენის დაცვის საშუალებები, წვრილმანი ელ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქონელი ოფისისთვის, დაზიანებული ინვენტარის შესაკეთებელი მასალები, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა და სხვა) ;სხვა საერთო ხარჯი (სტუდენტთა/პერსონალის მხარდაჭერის ღონისძიებების/ინიციატივების მხარდაჭრის ხარჯი, წარმომადგენლობითი, პროფორიენტაციის, ექსტრაკურიკულური ღონისძიებები და სხვა). პროგრამის ბიუჯეტის დაფინანსების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება.პროგრამის რენტაბელობა(ერთ ჯგუფზე) არის 13 სტუდენტი და აღნიშნულის გათვალსწინებით, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა. ამ შემთხვევაში მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.

ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსების ფლობის ამსახველი დოკუმენტაცია;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების(პერსონალის)პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;
3. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის სქემა;
4.პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება, პირადი საქმე;
5.საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
6.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
7.საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები;
8.ელექტრონული ბიბლიოთეკა;
9.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
10.ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. დაწესებულების მხრიდან, რეგულარულად ხდება შრომის ბაზრის შესწავლა და შეფასება, რათა უზრუნველყონ, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებდეს მიმდინარე მოთხოვნებს.

კოლეჯი მუდამ თვალს ადევნებს სხვადასხვა კვლევებს, ასევე თავადაც ახორვიელებს დამსაქმებლების კვლევას. შედეგები გამოიყენება პროგრამის შეფასებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების მომზადებ შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად.

პროგრამის შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს: კითხვარები და უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან - შეფასების პროცესში გამოიყენება შემუშავებული კითხვარები, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებას. აღნიშნული კითხვარები, ყოველწლიურად ახლდება და მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ კითხვებს, ასევე ღია პუნქტებს, რომლებიც საშუალებას აძლევს დაწესებულებას გამოავლინონ გამოწვევები და დადებით შედეგები. კოლეჯი ავსებს პროგრამის შეფასების ფორმას, რაც საშუალებას იძლევა აკონტროლონ, გამოცხადებული ადგილებისა და დარეგისტრირებული აპლიკანტების თანაფარდობა, სტუდენტების გადინება, დასაქმების მაჩვენებელი და სხვა პარამეტრები რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია პროგრამაში ცვლილებები განხორციელდეს სტანდარტის ცვლილებების შემთხვევაშიც შესაბამისობაში მოსვლის კუთხით. ან განმახორციელებელთა ინიცირებით შეიცვალოს სასწავლო რესურსი, შეიცვალოს შეფასების დრო.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციულ პერსონალთად გასაუბრების შედეგად დასტურდება ზემოთ აღნშნული გარემოებები.

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების მხრიდან, პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია სისტემატური შეფასებით და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებით. კონკრეტულად: კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარე შეფასებებს. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა წყაროები: სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის შეფასების შედეგები და სხვა. შემოწმება მოიცავს შემდეგ ასპექტებს: როგორ ახერხებენ სტუდენტები სასწავლო მიზნების მიღწევას, შედეგების დადასტურებას,რა პრობლემები და გამოწვევები აქვთ; თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი,შესაბამისია თუ არა რესურსები და სხვა; რა მუშაობს ეფექტურად და რა შეიძლება გაუმჯობესდეს; რომელ ასპექტებში უნდა მოხდეს ცვლილებები ან დამატებითი რესურსების დანერგვა; პროგრამის მიმართულებები, სადაც საჭიროა ახალი მიდგომების, მეთოდების ან მასალების გამოყენება; რამდენად შეესაბამება პროგრამა საგანმანათლებლო მიზნებს და რა შესაძლებლობებს იძლევა ეს მომავალ პროფესიაში.

მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე, პსდ იღებს გადაწყვეტილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად. ამ ცვლილებების განხორციელება ხდება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. მაგალითად, შეიძლება განხორციელდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვა, სასწავლო პროცესის ორგანიზების ცვლილება, რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია და ა.შ.

შესწავლილი დოკუმენტაციის, ადმინისტრაციულ პერსონალტან, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება ზემოთაღნიშნული გარემოებიბი.

ინდიკატორი 2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. გამოკითხვის შედეგები;
4. პროგრამის შეფასების ფორმა;
5. პროგრამის ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6.ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია სარეკომენდაციო მიმდევრობა და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 10 სასწავლო თვეს (55 კრედიტის მოცულობთ); არაქართულენოვანი პროფესიული სტუდნეტებისთვის 14 სასწავლო თვეს (70 კრედიტის მოცულობით). ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1. 1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვა საკითხების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი , რაც გულისხმობს თანამშრომლობას ასოციაციაში შემავალ კოლეჯებთან. პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადადასტურებენ დაწესებულების მაქსიმალურ მხარდაჭერას მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნავენ, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. თითოეულ მოდულში დეტალურადაა აღწერილი სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სისტემურობას. დარგობრივი ტექნოლოგიების ინტეგრაციას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც მუდმივად ეცნობიან სიახლეებს, ითვისებენ მათ და სტუდენტებს აწვდიან, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას. სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მაქსიმალურად სრულფასოვან ორგანიზებას. ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების ინტეგრირება ხელს უწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და ქმნის მათ პროფესიული განვითარების მყარ საფუძველს.

ზემოთაღნიშნული გარემოებები დასტურდება, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და კურსდამტავრებულებთან გასაუბრების შედეგებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ინდივიდუალური გეგმის შედგენა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება; ასევე, როდესაც ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო სტუდენტს დროებით ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმი. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება სავალდებულო ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ასევე — ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ეს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი. ამავე მუხლი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დეტალურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.

5. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, იმიტირებულ სამუშაო/სასწავლო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, როგორც სასწავლო, ისე კლინიკური პრაქტიკის პროცესში. კოლეჯში შემუშავებული და დამტკიცებულია ზოგადი უსაფრთხოების რეგულაციები, ასევე კომპიუტერთან უსაფრთხო მუშაობის წესები, რომლებიც გამოკრულია სასწავლო სივრცეებში თვალსაჩინო ადგილას. პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები, რაც მათ საშუალებას აძლევს უსაფრთხოების წესები პრაქტიკაში სრულად დაიცვან.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო და კალენდარული გეგმები;
2.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
3.შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. დისტანციური სწავლების წესი;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგია"
6.პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
7.დაწესებულების გარემოს ვიზუალური დათვალირების შედეგები;
8.გასაუბრების შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც სრულად მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები, მათი დანერგვისა და გამოყენების მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმები და პირობები. აღნიშნული წესი ასევე მოიცავს აპელაციის წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს, აგრეთვე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობითა და სამართლიანობით. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, თანმიმდევრული და ორიენტირებული როგორც სწავლების შედეგების, ისე სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის რეალურ ასახვაზე.

ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელთა მიზანია შეფასების პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ სტანდარტებთან. ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს და ხელს უწყობს შეფასების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. ვერიფიკაციის პროცესი ორგანიზებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართულნი არიან სხვა სპეციალისტებიც — განათლებისა და დარგის ექსპერტები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სამართლებრივ ძალას და პროცესის ორგანიზებულობას. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები ასახულია ანგარიშში, რომელიც ეცნობება დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს არა მხოლოდ შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტს, არამედ საფუძველს შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად. კოლეჯი პრაქტიკაში რეგულარულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს მათ ეფექტიანობასა და სანდოობას, ასევე აძლიერებს როგორც სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხს, ისე მთლიანად საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

ინდიკატორის 2.4.2.2 კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. - დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ყველა მტკიცებულება ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. დოკუმენტები განთავსებულია სასწავლო პროცესის თანამშრომლების მიერ, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში ან ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მტკიცებულებების დაცვას და ხელმისაწვდომობას როგორც შიდა, ისე გარე ვერიფიკატორებისთვის. შედეგად, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და სანდოობა კიდევ უფრო მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორის 2.4.2.3. - დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯი განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესისა და ინდივიდუალური განვითარებაზე. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება, არა ქულების მინიჭებას, არამედ შედეგების ანალიზსა და მიზანმიმართულ უკუკავშირს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას რეალურად დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას. შედეგების განხილვა და ანალიზი საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ცვლილებები სწავლების მეთოდებში, გაუმჯობესდეს შეფასების სისტემის ელემენტები ან დაინიცირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამ გზით, შეფასება გადაქცეულია არა მხოლოდ სწავლების შედეგების დადგენის ინსტრუმენტად, არამედ განვითარების მექანიზმად. კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ პროფესიულ ზრდასა და მომზადებას რეალური სამუშაო გარემოს გამოწვევებისთვის.

ინდიკატორის 2.4.2..4პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაცია

3. ვერიფიკაციის მექანიზმები;

4. ჩატარებული ვერიფიკაციის ანგარიშები;

5.პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები;

6. შეფასების უწყისები;

7.გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2025 წლის 25 სექტემბრის N77 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის № 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მიზნად ისახავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ როგორც საწარმოო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და ნებისმიერ ორგანიზაციაში უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას, ასევე გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების გამოყენებასა და განვითარებას. აღნიშნული პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიის ძირითად პრინციპებს – კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების ხელშეწყობას. პროგრამის შინაარსი დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევასა და სახელმწიფოს პრიორიტეტებზე, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ინსპექტორებისა და გარემოსდაცვითი სფეროს სპეციალისტების მომზადებას. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება საფუძვლიან დასაბუთებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კოლეჯი „იმედი“ სრულად აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განვითარება და განხორციელება ემყარება მისიას, ხედვასა და სტრატეგიულ მიმართულებებს. კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ისეთი პროფესიული სტუდენტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას და კარიერულ განვითარებას მოთხოვნად სფეროებში. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება – პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესშივე ერთვებიან პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც მათ რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას უწყობს ხელს. სწავლების გარემო და ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია პროგრამის განსახორციელებლად, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც მოიცავს უსაფრთხოების სიმულაციურ გარემოს, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სასწავლო რესურსებსა და თანამედროვე სწავლების საშუალებებს. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სექტორის წარმომადგენლებთან, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ გამოცდილებას და მათ ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესში. ვიზიტის პროცესში დათვალიერდა სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინტერვიურება ჩატარდა როგორც ადმინისტრაციულ ერთეულთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და დამსაქმებლებთან. ყოველივე ამის საფუძველზე, ვთვლით, რომ კოლეჯი შეესაბამება მოცემულ ინდიკატორს და მისი განხორციელება ეფუძნება კარგად დასაბუთებულ, მიზანმიმართულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარებას და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

ინდიკატორის 2.1.1.1 კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. - დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფენ მხოლოდ იმ პირების მიღებას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება, რაც აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დროულად მიღწევისთვის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ტესტირება, რომელიც უზუნველკყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. პროგრამის მიღების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება დარგობრივ და ეროვნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მისი ხარისხის მაღალ სტანდარტს. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ ინდიკატორთან და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ყველა მონაწილე შეძლებს მის ათვისებას და სასწავლო მიზნების მიღწევას განსაზღვრულ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. - დაკმაყოფილებულია.

3. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ . საგანმანათლებლო პროგრამებზე(მათ შორის პროგრამაზე “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებს. მეთოდოლოგიაში დეტალურად არის გაწერილი თუ რა ასპექტებს ითვალისწინებს ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას. ესენია: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოს ფართი; სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო წლების მიხედვით გადანაწილების შესაძლებლობა; საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; საგანმანათლებლო რესურსი; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები; აღნიშნულის გათვალისწინებით, ზუსტად არის გათვლილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რესურსების/შესაძლებლობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”განკუთვნილია A/C სასწავლო გარემო(აუდიტორია N.2), რომელიც მოწყობილია 50 სტუდენტზე, სწავლა მიმდინარეობს ცვლებში, რაც საშუალებას იძლევა, ამ სივრცეში გატარდეს 150 სტუდენტი. შესაბამისად, B სასწავლო გარემოშიც გათვალისწინებულია გამტარუნარიანობა, რათა თითოეულმა სტუდენტმა შეძლოს სრულფასოვნად მიიღოს სასწავლო პროცესში მონაწილეობა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლისას მხედველობაში იქნა მიღებული სწავლების ინტენსივობა, პროგრამის სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტების რესურსები და სხვა ფაქტორები. პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”ფარგლებში კოლეჯის მიერ პარტნიორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც გათვალისწინებულია ზღვრული ოდენობები. ამრიგად, კოლეჯი დოკუმენტში აღწერილი მეთოდოლოგიით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, რაც სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს და უზრუნველყოფს სტუდენტების განათლების მაღალი ხარისხის შესრულებას.

ინდიკატორი 2.1.1.3პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის მიხედვით დადგენილი შედეგების მიღწევას. კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო გარემოს, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, რაც აუცილებელია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული სასწავლო გარემო (A/C და B სივრცეები) გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის. შედეგების მიღწევისთვის განსაზღვრულია AC სასწავლო გარემო, რომელიც გათვლილია 50 პროფესიულ სტუდენტზე. ცვლებში სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვისათვის სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ კვირეული დატვირთვა არ ცდება კვირაში 24 საკონტაქტო საათს, რაც იძლევა საშუალებას სწავლა განხორციელდეს სამცვლიანი დატვირთვით. გარემო აღჭურვილია, პროგრამის პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, მზომი ხელსაწყოებით, მულიაჟებით, მასალა ნედლეულით, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაბამისი სამუშაო ადგილი, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხსა და ეფექტურობას. B სასწავლო გარემო: კომპიუტერული კლასი უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალურ მუშაობას კომპიუტერებთან, რაც საშუალებას იძლევა ტექნიკური და თეორიული პროგრამების შესაბამისი სწავლების განხორციელება. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება როგორც კოლეჯში, ისე პარტნიორი ორგანიზაციებში. პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს რამდენიმე პარტნიორ ორგანიზაციასთან, რაც დამატებით უზრუნველყოფს პრაქტიკულ სწავლებას და დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. პარტნიორთან გამოფრმებული ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს მიღებული №416 დადგენილების მოთხოვნებს. შესაბამისად სხვა დანართებთან ერთად ახლავს მოდულებით განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობას და სასწავლო პროცესში გამოყენებას პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის ბაზაზე.

ინდიკატორი 2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის დირექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში ცვლილებები, რასაც ცხადყოფს კოლეჯის დებულების მუხლი 7(პუნქტი 7.3.5.)რომლის თანახმად დირექტორი „ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/ მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს.“ ამრიგად,კოლეჯის ადმინისტრაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება აღნიშნულ ინდიკატორს.

ინდიკატორი 2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. - დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს, ვინაიდან იგი ზუსტად ასახავს პროფესიულ მიმართულებას და იმ საქმიანობას, რომლის შესრულებაც კურსდამთავრებულებს ევალებათ. პროგრამა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ასევე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასთან და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასთან. სახელწოდება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სწორედ ამ კუთხით სწორად და ნათლად გამოხატავს პროგრამის მიზანს – მომავალი პროფესიონალების აღზრდას, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად იმუშაონ როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე გარემოს დაცვის მიმართულებით.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სახელწოდებასთან. კურსდამთავრებულები შეიძენენ საჭირო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რაც მათ საშუალებას მისცემს დასაქმდნენ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სფეროს სხვადასხვა პოზიციაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ასევე გარემოსდაცვითი გეგმა; შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები; შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი; შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები; დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები; განახორციელოს ევაკუაციის პროცესები; გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება; გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები; აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება; შეაფასოს გარემოზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა; განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი; დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება; აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება; აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სრულად ასახავს მის შინაარსსა და შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი და პროგრამა აკმაყოფილებს შესაბამის ინდიკატორს.

ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.

8. პროგრამის შემუშავება და დამტკიცება ხდება კონკრეტულ კანონმდებლობასა და რეგულაციებზე დაყრდნობით, ამ შემთხვევაშიც პროგრამის შემუშავება და დამტკიცება მოხდა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული “ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიის” შესაბამისად. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია დადგენილი სტანდარტები და საჭირო რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული სგანამანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები;

3. პროგრამის შეფასების ფორმა (დანართი 1);

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი (დანართი 2);

5. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითრების გეგმა;

6. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია;

7. „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;

8. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

9. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

10. პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;

11. შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;

12. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების აქტები;

13. კოლეჯის დებულება;

14.ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შპს საზოგადოებრივი კოლეჯს „იმედი“ იჯარის ხელშეკრულებით განკარგავს ფართს, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი ; წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის №8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია- AC სასწავლო გარემო (№2), სადაც განთავსებულია პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; ფლეშ-მეხსიერება 1 ცალი; სტუდენტის მაგიდა და სკამი 60 სტუდენტზე; დაფა -1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი; ხმის აუდიო მოწყობილობა; მონიტორი; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); პროგრამისთვის განკუთვნილი ვიზუალური თვალსაჩინოებები და აღჭურვილობა. - B სასწავლო გარემო - შერჩეულია აუდიტორია, სადაც განხორციელდება მხოლოდ ერთი მოდულის სწავლება “ინფორმაციული წეიგნიერება 2 „ სამი კრედიტი. - პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან : ააიპ „ბიზნეს საქართველო“; შპს „სეიფთი მენეჯმენტ გრუპ“ შპს „ეიჩ ეს ი ჯეორჯია“;

ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებაში სულ ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 8 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 14 - პროფესიული მოდულების და 3 ქართული ენის განმახორციელებელი პირი. აგრეთვე კოლეჯს ყავს დამატებით შერჩეული სარეზერვო კადრი პროგრამის განსახორციელებლად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემები, სადაც ასახულია კონკრეტული მასწავლებლების სრული დატვირთვა სასწავლო წლის მანძილზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2.-პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. - დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კოლეჯში მასწავლებლებისადმი განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: უმაღლესი/პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება. ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი მიღებულია მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების შესაბამისად, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათ აქვთ, როგორც სწავლების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება, სისტემატიურად უტარდებათ განმავითარებელი ტრენინგები, რაც ასევე დასტურდება პირად საქმეებში დაცული შესაბამისი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯის მიმართ პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: უმაღლესი/პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესისა და პროგრამის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დარგობრივი კომპეტენციის ყველა მოთხოვნას. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ახლავს სამუშაო აღწერილობა. ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისა და განვითარების პროცესში, კოორდინაციას უწევს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას, აფასებს პროგრამას დარგის სპეციფიკის, საგანმანათლებლო რესურსების საკმარისობისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით. იგი მუდმივად თანამშრომლობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებთან. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში და, საჭიროების შემთხვევაში, აპელაციის განხილვაში, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. მისი კომპეტენცია მოიცავს სტუდენტთა ქვოტის განსაზღვრაში მონაწილეობას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის მომზადებასა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი ერთვება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რათა განისაზღვროს მათი სიზუსტე და ეფექტიანობა. ასევე მონაწილეობს შუალედურ და საკვალიფიკაციო შეფასებებში და, საჭიროებისამებრ, თანამშრომლობს ვერიფიკაციის ჯგუფთან პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადასტურებლად. ხელმძღვანელი ასევე შეიძლება ჩაერთოს განათლების აღიარების პროცესში. ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, ხელმძღვანელი მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებულ სწავლის პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვან განხორციელებას, რათა სტუდენტებმა მიიღონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და მუდმივად მონაწილეობს კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში. იგი ასევე ჩართულია კოლეჯის შიდა რეგულაციების პროექტების შემუშავებაში და აქტიურად მუშაობს შიდა სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში. საერთო ჯამში, პროგრამის ხელმძღვანელი ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და კანონმდებლობით, და რომელიც უკავშირდება მისთვის დელეგირებულ პასუხისმგებლობებს.

ინდიკატორი 2.2.1.4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. - დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ფორმით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ პლატფორმაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ელ. სახელმძღვანელოების ბაზა | იმედი კოლეჯი), ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და მასწავლებლებს ყველა საჭირო სახელმძღვანელოსა და სხვა საგანმანათლებლო მასალით. მასალები რეგულარულად ახლდება და შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. დაწესებულება საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფს რესურსების განახლებას, რაც უზრუნველყოფს არამარტო საგანმანათლებლო პროცესის განახლებას, არამედ აძლიერებს სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ სასწავლო მასალების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" მუხლი მუხლი 76. გაწერილია ინკლუზიური საგანმანათლებლო მომსახურების მექანიზმები. კოლეჯი ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების („სსსმ"), მათ შორის შეზღუდლი შესაძლებლობის მქონე („შშმ") სტუდენტებზე, იგი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მათ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი და კომფორტული სასწავლო და ფიზიკური გარემოს შექმნაზე, რისთვისაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას სხვადასხვა ადაპტაციის მექანიზმებით, გამოავლენს აკომოდიციის/მოდიფიკაციის საჭიროებებს და ქმნის ადეკვატური სასწავლო მასალას/გარემოს ადაპტირებული/დამატებითი სასწავლო/მატერუალური რესურსის მობილიზებით. სსსმ სტუდენტისთვის ადეკვატური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს საჭიროებებს მორგებულ სასწავლო პროცესის შეთავაზებას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია პროცესში სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა. შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი; დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით; კოლეჯს ყავს შტატში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ასევე დაცვის თანამშრომლი უზრუნველყოფს პირის კონსულტაციას და დახმარებას, ასევე შეუფერხებელ გადაადგილების დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე; ადმინისტრაციის თანამშრომლი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. ბიბლიოთეკით საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას. საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2024 წელს ერთ-ერთ პროგრამაზე დაწესებულებას ყავდა სსსმ პირი, რომლისთვისაც ხორციელდებოდა დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები, შეფასების დროს ეძლეოდა დამატებითი დრო. სტუდენტმა პროგრამა დაასრულა წარმატებით და დაძლია ყველა სწავლის შედეგი. სსსმ და შშმ პირების ინტერესები დაცულია სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

ინდიკატორი 2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს განხორციელებისთვის შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ ხარჯების სახეობებს: პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება; მოდულებით გათვალისწინებული სახარჯი მასალა-ნედლეული; პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების განხორციელების (ბაზის მომსახურების) ხარჯი; პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განვითარების ხარჯი (ბიბლიოთეკა); პროფესიული განათლების მასწავლებელის განვითარების ხარჯი; ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება; კომუნალური ხარჯი; საიჯარო ხარჯი; კომუნიკაციის ხარჯი; სამეურნეო ხარჯი (შენობის მოვლა, სანიტარული ჰიგიენის დაცვის საშუალებები, წვრილმანი ელ. საქონელი ოფისისთვის, დაზიანებული ინვენტარის შესაკეთებელი მასალები, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა და სხვა); სხვა საერთო ხარჯი (სტუდენტთა/პერსონალის მხარდაჭერის ღონისძიებების/ინიციატივების მხარდაჭრის ხარჯი, წარმომადგენლობითი, პროფორიენტაციის, ექსტრაკურიკულური ღონისძიებები და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.7კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *საპროგნოზო ბიუჯეტი;*
2. *საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსების ფლობის ამსახველი დოკუმენტაცია;*
3. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
4. *საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;*
5. *მატერიალური სახელმძღვანელოების და ელ. სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ბაზა;*
6. *პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება და პირადი საქმე;*
7. *საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;*
8. *საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის სქემა;*
9. *პრაქტიკის ხელშეკრულებები;*
10. *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, რეგულარულად ხდება შრომის ბაზრის შესწავლა და შეფასება, რათა უზრუნველყონ, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებდეს მიმდინარე მოთხოვნებს. კოლეჯი მუდამ თვალს ადევნებს სხვადასხვა კვლევებს, ასევე თავადაც ახორციელებს დამსაქმებლების კვლევას. შედეგები გამოიყენება პროგრამის შეფასებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების მომზადება ბაზრის საჭიროებების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს: კითხვარები და უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან შეფასების პროცესში, რისტვისაც გამოიყენება შემუშავებული კითხვარები, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებას. აღნიშნული კითხვარები ყოველწლიურად განახლდება და მოიცავს როგორც ინდივიდუალურ კითხვებს, ასევე ღია პუნქტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოწვევების და წარმატებების გამოვლენას. კოლეჯი ავსებს პროგრამის შეფასების ფორმას, რაც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს გამოცხადებული ადგილებისა და დარეგისტრირებული აპლიკანტების თანაფარდობა, სტუდენტების გადინება, დასაქმების მაჩვენებელი და სხვა პარამეტრები რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისთვის. შესაძლებელია პროგრამაში ცვლილებები განხორციელდეს სტანდარტის ცვლილებების შემთხვევაშიც შესაბამისობაში მოსვლის კუთხით. ან განმახორციელებელთა ინიცირებით შეიცვალოს სასწავლო რესურსი, შეიცვალოს შეფასების დრო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.. - დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია სისტემატური შეფასებით და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებით. კონკრეტულად: კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს პროგრამიების ხარისხის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარე შეფასებებს. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა წყაროები: სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის შეფასების შედეგები და სხვა. შემოწმება მოიცავს შემდეგ ასპექტებს: როგორ ახერხებენ სტუდენტები სასწავლო მიზნების მიღწევას, შედეგების დადასტურებას, რა პრობლემები და გამოწვევები აქვთ. თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, შესაბამისია თუ არა რესურსები, რა მუშაობს ეფექტურად და რა შეიძლება გაუმჯობესდეს. რომელ ასპექტებში უნდა მოხდეს ცვლილებები ან დამატებითი რესურსების დანერგვა. პროგრამის მიმართულებები, სადაც საჭიროა ახალი მიდგომების, მეთოდების ან მასალების გამოყენება. რამდენად შეესაბამება პროგრამა საგანმანათლებლო მიზნებს და რა შესაძლებლობებს იძლევა ეს მომავალ პროფესიაში. მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე, პსდ იღებს გადაწყვეტილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად, რათა გამოყენებულ იქნას გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამ ცვლილებების განხორციელება ხდება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. მაგალითად, შეიძლება განხორციელდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვა, სასწავლო პროცესის ორგანიზების ცვლილება, რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია და ა.შ. ყველა ცვლილება ხდება ორგანიზაციის შიდა რეგულაციების, დოკუმენტების და სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და კონსისტენტურობას. ამ ინდიკატორის შესაბამისად, კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. *საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;*
2. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
3. *გამოკითხვის შედეგები;*
4. *საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 20 სასწავლო თვეს (120 კრედიტის მოცულობა); არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 25 სასწავლო თვეს (150 კრედიტის მოცულობით).
   სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით და ასევე, კოლეჯის ვებგვერდზეც. **ინდიკატორის 2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვასაკითხების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი , რაც გულისხმობს თანამშრომლობას ასოციაციაში შემავალ კოლეჯებთან.**ინდიკატორის 2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. - დაკმაყოფილებულია.**
3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. თითოეულ მოდულში დეტალურადაა აღწერილი სწავლების მეთოდები, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სისტემურობას. დარგობრივი ტექნოლოგიების ინტეგრაციას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც მუდმივად ეცნობიან სიახლეებს და ითვისებენ მათ. სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მაქსიმალურად სრულფასოვან ორგანიზებას. ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების ინტეგრირება ხელს შეუწყობს, სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და შექმნის მათი პროფესიული განვითარების მყარ საფუძველს.

ინდიკატორი 2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. - დაკმაყოფილებულია.

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ინდივიდუალური გეგმის შედგენა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება; ასევე, როდესაც ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო სტუდენტს დროებით ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმი. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება სავალდებულო ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ პროფესიული სტუდენტისარგებლობს მობილობით, ასევე — ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ეს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი. ამავე მუხლი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დეტალურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.

5. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროგრამა სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ორგანიზება ხდება კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმებები განსაზღვრავს თანამშრომლობის მიზნებს, მხარეთა ვალდებულებებს, პრაქტიკის განხორციელების კონკრეტულ დეტალებსა და ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობას. პრაქტიკის პროცესში პროფესიული სტუდენტები უშუალოდ გაეცნობიან სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაციული მოწყობის პრინციპებს და ისწავლიან რეალურ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო შედეგების სრულფასოვან მიღწევას. ხელშეკრულებები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ მოთხოვნას. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პროგრამს ფარგლებში შემდეგ დაწესებულებებთან: ააიპ ბიზნეს საქართველოს -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 50 პროფესიული სტუდენტის მიღება; შპს სეიფთი მენეჯმენტ გრუპ -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 50 პროფესიული სტუდენტის მიღება; შპს ''ეიჩ ეს ი ჯეორჯია'' -- 150 პროფესიული სტუდენტის მიღება;

ინდიკატორი 2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკის პროცესში. კოლეჯში შემუშავებული და დამტკიცებულია სპეციალური უსაფრთხოების რეგულაციები, რომლებიც გამოკრულია სასწავლო სივრცეებში თვალსაჩინო ადგილას. პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები, რაც მათ საშუალებას აძლევს უსაფრთხოების წესები პრაქტიკაში სრულად დაიცვან. პარტნიორ სამედიცინო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებს. პარტნიორი დაწესებულებები ვალდებულნი არიან სტუდენტთა პრაქტიკისას შექმნან უსაფრთხო სამუშაო გარემო, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგლამენტებით დადგენილი ნორმები და უზრუნველყონ საჭირო ინსტრუქტაჟები. კოლეჯი, თავის მხრივ, მუდმივად აკონტროლებს ხელშეკრულებებში განსაზღვრული პირობების შესრულებას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა სწავლების პროცესი წარიმართოს უსაფრთხო და დაცულ გარემოში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტთა ინტერესების, ისე პაციენტების უსაფრთხოების დაცვას და ამყარებს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების კულტურას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პრფოესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები";*
2. *სასწავლო და კალენდარული გეგმები;*
3. *განმახორციელებლებთან, დამსაქმებლებთან და ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს შედეგები;*
4. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
5. *შეხვედრების და ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
6. *დისტანციური სწავლების წესი;*
7. *სასწავლო გარემოს დაცთვალიერების შედეგები;*
8. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
9. *პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
10. *პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;*
11. *პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც სრულად მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები, მათი დანერგვისა და გამოყენების მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმები და პირობები. აღნიშნული წესი ასევე მოიცავს აპელაციის წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს, აგრეთვე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობითა და სამართლიანობით. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, თანმიმდევრული და ორიენტირებული როგორც სწავლების შედეგების, ისე სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის რეალურ ასახვაზე.

   ინდიკატორი 2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. - დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელთა მიზანია შეფასების პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ სტანდარტებთან. ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს და ხელს უწყობს შეფასების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. ვერიფიკაციის პროცესი ორგანიზებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართულნი არიან სხვა სპეციალისტებიც — განათლებისა და დარგის ექსპერტები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სამართლებრივ ძალას და პროცესის ორგანიზებულობას. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები ასახული იქნება ანგარიშში, რომელიც ეცნობება დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს არა მხოლოდ შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტს, არამედ საფუძველს შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად. კოლეჯი პრაქტიკაში რეგულარულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს მათ ეფექტიანობასა და სანდოობას, ასევე აძლიერებს როგორც სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხს, ისე მთლიანად საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

   ინდიკატორის 2.4.2.2 კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ყველა მტკიცებულება ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. დოკუმენტები განთავსდება სასწავლო პროცესის თანამშრომლების მიერ, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში ან ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მტკიცებულებების დაცვას და ხელმისაწვდომობას, როგორც შიდა, ისე გარე ვერიფიკატორებისთვის. შედეგად, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და სანდოობა კიდევ უფრო მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორის 2.4.2.3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯი განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესისა და ინდივიდუალურ განვითარებაზე. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება არა ქულების მინიჭებას, არამედ შედეგების ანალიზსა და მიზანმიმართულ უკუკავშირს, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას რეალურად დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას. შედეგების განხილვა და ანალიზი საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ცვლილებები სწავლების მეთოდებში, გაუმჯობესდეს შეფასების სისტემის ელემენტები ან დაინიცირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ პროფესიულ ზრდასა და მომზადებას რეალური სამუშაო გარემოს გამოწვევებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
2. *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაცია;*
3. *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
4. *ჩატარებული ვერიფიკაციის ანგარიშები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
6. *პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები;*
7. *შეფასების უწყისები;*
8. *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
9. *შეფასების მტკიცებულებები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. განცხადება
დანართი 3. ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

თარიღი: 15/01/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: